სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 27 მარტი 1999 №55 (828) | ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითამაშოთ საქართველოსთვის!

ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. IV ტური.

საქართველო — სლოვენია

27 მარტი. თბილისი. ეროვნული. 20 საათი

ბოლო შანსი მეოცე საუკუნეში

ალექს ციფლიანის ფოტო

სლოვენია ამაყად მოდის. როგორ წავა?

გუშინ დამთავრდა საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების სამზადისი. მიილია ათდღიანი შეკრების ვადა. ათი დღე-ღამის მანძილზე ნაფიქრალი დღეს უნდა გაცხადდეს. ათჯერ გაზომილი დღეს უნდა გაიჭრას. მორჩა, ყველაფერი თავიდან იწყება. წარსულის გახსენების დრო არ გვაქვს, არც მომავალზე ფიქრის. მხოლოდ დღევანდელ დღეს უნდა დავუთმოთ მთელი ყურადღება, მისკენ უნდა მივმართოთ მთელი ძალისხმევა. ან დღეს, ან... როდისღა!

სლოვენია ამაყად მოდის. ექსიუგოსლავიელებმა თავიანთი საფეხბურთო წარსული დაივიწყეს. დაივიწყეს თუ როგორ იოლად ამარცხებდა ჩვენი „დინამო" მათ ლიუბლიანის „ოლიმპიას". მაშინ მოყვარულების დონეზე ვთამაშობდით, დღეს კი პროფესიონალები ვართო — აცხადებენ სრეჩკო კატანეცის შეგირდები. ჩვენც უნდა დავივიწყოთ გარდასულ დღეთა ეპოქა. ემოციებს უნდა ვძლიოთ. მხოლოდ გამარჯვება გვჭირდება. სხვაგვარად ფიქრი სიკეთეს არ მოგვიტანს.

იხილეთ მესამე გვერდი

რაგბი. მსოფლიოს თასის შესარჩევი მატჩი.

საქართველო — ტონგა

28 მარტი. თბილისი. ეროვნული. 16 საათი

ალექსი ნიკოლაძის ფოტო

ქართველ მორაგბეებს კვლავაც კლოდ სორელი (მარცხნივ) და გურამ მოდებაძე სარდლობენ

ყველანი რაგბიზე!

სანახაობა მუქთაა, ქომაგობა კი სინდის-ნამუსზე

დღეს და ხვალ ეროვნული სტადიონი დიდი ბრძოლების მოწმე შეიქნება. ქართველ და სლოვენიელ ფეხბურთელთა შეხვედრის მეორე დღეს ამ სარბიელზე რჩეული ქართველი მორაგბეები ტონგელებს დაუპირისპირდებიან. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი მატჩი ქართული რაგბის ისტორიას არ ახსოვს. ტონგელთათვის 31-ქულიანი უპირატესობის ართმევა ბორჯღალოსნებს მსოფლიოს თასის კარიბჭეს მიაყენებს. ეს უძნელესი, მაგრამ შესაძლო საქმეა, ოღონდ ქართველთაგან ქართველთა გულიანი გამხნევებაცაა აუცილებელი საერთო გაშარჯვების მისაღწევად. აკი არაერთხელ და ალალად უთქვამთ ჩვენს მორაგბეებს გაშარჯვებისას, ეს თამაში ხალხმა მოგვაგებინაო...

ამიტომაც ყველას, ვისაც მოენატრა ქართულის, ვაჟკაცურის ხილვა, ვისაც უყვარს ქართული სპორტი, აფასებს შუდამ შეჭირვებულ, მაგრამ გაუტეხელ ქართულ რაგბის, ვისშიც არ ჩამკვდარა ეროვნულის ქომაგობის ფინი, ხვალ, 16 საათზე, ეროვნულ სტადიონზე ელის ბორჯღალოსანთა და ტონგელ ზღვის არწივთა საარაკო შერკინება. მატჩზე დასწრება და სანახაობა მუქთაა, ქომაგობა კი სინდის-ნამუსზე. ასე რომ, ყველანი რაგბიზე!

იხილეთ მეთორმეტე-მეცამეტე გვერდები

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. IV ტური

საქართველო — სლოვენია

27 მარტი. თბილისი. ეროვნული. 20 საათი

გუცაევი გვპირდება

პრესკონფერენცია

ვლადიმერ გუცაევი წუხანდელი პრესკონფერენციისას

გადრი კვეთელაძის ფოტო

სლოვენიის ნაკრები რომ პაიჭაძის სახელობის სტადიონზე წვიმის ქვეშ ილუმპებოდა, ვლადიმერ გუცაევმა ჟურნალისტებისთვის მინი-პრესკონფერენცია გამართა.

პირველი, რაც ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში შესულს თვალში ეცემოდა, ჟურნალისტების, კერძოდ, ქართველი ჟურნალისტების სიმცირე იყო. საოცარია, მაგრამ ფაქტია, გუცაევს ათიოდე ქართველი და შვიდი-რვა სლოვენი ჟურნალისტი დახვდა. ვლადიმერ გუცაევი ჩვეულებრივ წყნარი და მწვიდი გახლდათ. ამავე დროს ჩქარობდა და კითხვა-პასუხის სწრაფი მომთავრება გვთხოვა.

...როგორც იცით, ოცდასამი ფეხბურთელი გამოვიძახეთ — სამი მეკარე და ოცი მინდვრის მოთამაშე. დღესვე საბოლოოდ გაირკვა, რომ ვერ ითამაშებს არჩილ არველაძე. მას ავადმყოფობა გაურთულდა, ბრონქები გაუღიზიანდა და უნდა იმკურნალოს, ფოცხვერიაც ფაქტობრივად ტრავმირებულია, მას სექტემბერში ოპერაცია წარუმატებლად გაუკეთეს მენისკზე, რის შედეგსაც ახლა იმკის — ვეჭვობ, მიშა გუნდს დაეხმაროს. ნატკენი მხრით ჩამოვიდა აკაკი დევაძეც. ნაკრების ექიმთან კონსულტაციის შემდეგ ჩავთვალე, რომ დევაძის დაყენება ამ ეტაპზე გამორიცხულია, მას მცირე ოპერაცია სჭირდება და ამდენად, ვერ ითამაშებს. დაშავებულია შოთა არველაძეც. 24-ში ორმხრივი თამაშისას მან ფეხის წინა კუნთი იტკინა, მცირე დატვირთვებით ვარჯიშობს და მატჩის დღესღა, დილის ვარჯიშზე, გავარკვევთ, შეძლებს თუ არა შოთა თამაშს.

...ნემსაძეს რაც შეეხება. კი, მართალია, მოიწამლა, მაგრამ უკვე თავს კარგად გრძნობს და ნაკრებს სლოვენიასთანაც ის უკაპიტნებს.

...თავის ჩვეულ ადგილას ითამაშებს ჯამარაული. იგი უწინდელზე უკეთეს ფორმაშია და ვფიქრობ, უთუოდ გამოადგება გუნდს.

...ქეცბაიაზე კითხვა-პასუხმა დამღალა. მოვრჩეთ ამაზე ლაპაარკს ერთხელ და სამუდამოდ.

...ქინქლაძე სრულ მზადყოფნაში ვერაა, მაგრამ მისი თამაში არ არის გამორიცხული. მოვიქცევით ისე, როგორც სიტუაცია და მატჩი გვიკარნახებს. ალბათ, თუ საჭიროდ ჩავთვლი, მეორე ნახევარში გამოვიყვან.

...ზაჰოვიჩი კარგი ფეხბურთელია. ვინ ითამაშებს მის წინააღმდეგ ან როგორ ტაქტიკას მივმართავთ დაცვაში, ამას ნუ მათქმევინებთ. კატანეცმა რომ გაიგოს? ისე დავალებები ყველას ჩამოვურიგე და ახლა მთავარი მათი მინდორზე შესრულებაა.

...ტაქტიკური სქემა: 4-4-2-ს ვუერთგულებთ. განლაგებას რაც შეეხება, იგი რამდენჯერმე დავამუშავეთ, მატჩის წინა ვარჯიშზეც მივუბრუნდებით და, ვფიქრობ, ამ მხრივ ნაკრებს პრობლემა არ ექნება.

ზაზა ჯანაშია რომ დროზე არ ჩამოვიდა, უფრო „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობას დავაბრალოთ. ფეხბურთელმა თქვა, რომ ფაქსები არც უნახებიათ. თვითონ მას ვერ ვუკავშირდებოდით „ლოკომოტივის“ ოფისიდან გვპასუხობდნენ, საზარდულები ტკივაო. ერთი სიტყვით, დომხალი იყო, მაგრამ ჩამოვიდა ზაზა და როგორც ვარჯიშებზე დავინახეთ, საკმაოდ კარგადაა და თუ ამ ღამეს კატასტროფა არ მოხდა, ითამაშებს.

...რახანია ვიძახი — ნაკრებს ბაზა უნდა ჰქონდეს. „დინამოს“ და „შევარდენის“ მესვეურების იმედზე ყოფნა ვერაფერი ვაჟკაცობაა. ეს ხალხი კი გვეხმარება, მაგრამ მინდორს ცალკე ვუფუჭებთ და მალე არც მათთვის იქნება ვარგისი ეს ბაზები, არც ჩვენთვის. ისე, რა გახდა, აფრიკის ქვეყნების ნაკრებებს აღარ უჭირთ ერთი სათამაშო მინდორი.

ამ ნაღვლიან ნოტაზე დაასრულა ქართველთა თავკაცმა პრესკონფერენცია, საინტერესო მატჩს დაგვპირდა და მერე სლოვენიელთა ვარჯიშის საცქერად გაემართა.

კონსტანტინე გოგიშვილი

EURO 2000
ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

VII ჯგუფი

პორტუგალია 7:0 აზერბაიჯანი

1:0 სა პინტუ (28), 2:0 ფოო პინტუ (36), 3:0 მადეირა (67), 4:0 კონსეისაო (75), 5:0 ფოა პინტუ (77), 6:0, 7:0 პაულეტა (82, 83)

პორტუგალია: ბია (ესპინია 77), სეკრეტარიო, მადეირა, კოუტუ, დიმაში, პაულუ სოუზა, რეი კოშტა (ბარბოსა 88), კონსეისაო, ფიგუ (პაულეტა 73), სა პინტუ, ფოაო პინტუ

აზერბაიჯანი: ერამარენკო, აბუშევი, ახმედოვი, აგაევი, სტეკლინ, ასადოვ, მეკ

საქართველოს ნაკრების მოთამაშენი ვლადიმერ გუცაევის ერთ-ერთ ბოლო დარიგებას ისმენენ

ბოლო შანსი მეოცე საუკუნეში

რეპორტაჟი დღიმის ბაზიდან

ორივე ნაკრებმა გუშინ ბოლო ვარჯიში ჩაატარა. ახალგაზრდულებმა ადრიანად მოილიეს საქმე. ერთსაათიანი ბურთაობა გააჩაღეს და ტალახში ამოთხვრილებმა დატოვეს დიღმის ბაზა. თითოეულ მათგანს შესაშური საბრძოლო განწყობილება აქვს. ყველანი მწყობრში არიან, ლეგიონერ ლაშა ჯაკობიას გარდა. მან ტრავმა მიიღო და, ალბათ, ვეღარ დაეხმარება თანაგუნდელებს.

ტრავმების მოძალებაა ეროვნულ გუნდშიც. არჩილ არველაძე კვლავ შეუძლოდაა, ფეხი აწუხებს მის ტყუპისცალ შოთას, ვარჯიშზე დაშავებულ აკაკი დევაძეს მხრის ტკივილმა უმატა, მიხეილ ფოცხვერიას კი არავინ იცის, როდის შეახსენებს თავს ძველი იარა. და კიდევ, ადვილი შესაძლებელია, ეროვნულმა ნაკრებმა სლოვენიასთან მატჩში კაპიტანი მოისაკლისოს. გიორგი ნემსაძე გუშინ მოიწამლა და ვარჯიშზე მაყურებლად მოგვევლინა. თუმცა თავად ფეხბურთელმა დავაიმედა — სერიოზული არაფერია, რადაც უნდა დამოჯდეს, უნდა ვითამაშოო.

გუცაევმა მსუბუქად დატვირთა ბიჭები. ძირითადი შემადგენლობისთვის შეგულებულებს ლურჯი მოსასხამები გადააცვა და კვადრატი ათამაშა. მოელი ყურადღება მათკენ გადაიტანა. ოცი წუთის შემდეგ კი მწვრთნელმა მეორე შემადგენლობიდან შოთა არველაძეს და გიორგი დემეტრაძეს უხმო. ფეხბურთელები ტაქტიკური სქემის მიხედვით განალაგა მოედნის ერთ ნახევარზე — დაცვაში: გიორგი ბალაშვილი, მამუკა წერეთელი, ვაჟა თარხნიშვილი, გია ჩხაიძე; ნახევარდაცვაში: გორა ჯამარაული, კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, რატი ალექსიძე; თავდასხმაში: ზაზა ჯანაშია, შოთა არველაძე. თუმცა არაა გამორიცხული, დღეს შოთას ნაცვლად გიორგი დემეტრაძეს დაავალოს შეტევის ხაზზე თამაში. რამდენიმეწუთიანი პრაქტიკული მეცადინეობა ჩაუტარა მათ. ყველაფერი ცალსახად ჩანდა. ნათლად გაირკვა ის ტაქტიკა, რომელსაც გუცაევი დღეს გამოიყენებს. ეროვნული ნაკრები დღეს ითამაშებს...

აქ უნდა შევჩერდეთ. ზედმეტი ცნობისმოყვარეობა არ გვარგებს, ამ ინფორმაციით შამოვიფარგლოთ. მატჩის წინ კარტებს არავინ ხსნის. ცხოვრება თამაშია. თამაშს კი თავისი წესები აქვს. ამ წესებს უნდა იცავდეს ყველა — ჟურნალისტი თუ გულშემატკივარი, მწვრთნელი თუ ფეხბურთელი.

ფეხბურთიც, პირველყოვლისა, თამაშია. გამარჯვებისთვის მხოლოდ ერთი ტაქტიკა არსებობს. თუ გინდა მოიგო, ითამაშე მხოლოდ ფეხბურთი და არაფერი ფეხბურთის გარდა. მაყურებლისა და ოვაციისთვის თამაში განწირულია. ხალხი მალევე ივიწყებს-წუთიერ აფეთქებას, ხალხს დიდხანს მხოლოდ შედეგი ამახსოვრდება, საბოლოო შედეგი.

მეოცე საუკუნის ბოლო ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად არცთუ ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. ვინ იცის, კიდევ როდის მოგვეცემა ასეთი შანსი. მისი ხელიდან გაშვება მხოლოდ ბედის ირონია როდი იქნება. წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ჩვენში უნდა ვეძებოთ.

და მაინც, როგორ უნდა მოვუგოთ სლოვენიას?

როგორ და, უკრაინაში საქართველოს სტუმრობის შემდეგ „სარბიელი" წერდა — კიევის ქუჩები აჭრელებულია სარეკლამო დევიზით — „გრაემო ზა უკრაინუ რაზომ". ჩვენ როდისღა უნდა ვითამაშოთ საქართველოსთვის?!

დღეს...

ხვიჩა სანიკიძე

ბაბური კეთილაძის ფოტო

ლევან კობიაშვილი და კახა კალაძე

ვარჯიშის დასრულების შემდეგ ნაკრების წევრებს ვთხოვეთ, ორიოდ სიტყვა ეთქვათ სლოვენიასთან დღევანდელი თამაშის შესახებ

კახა კალაძე: უკანდასახევი გზა არ გვაქვს. წაგება გამორიცხულია, ფრეც, აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ვფიქრობ, ყველანაირად მზად ვართ, ბიჭებიც კარგ ფორმაში არიან. თავად მე, ალბათ, 80 პროცენტით ნორმალურ ფორმაში ვარ, უკრაინაში ხომ სეზონი ახლახანს განახლდა.

ლევან სილაბაძე: უნდა მოვიგოთ, უეჭველად უნდა გავიმარჯვოთ.

გოგა გახოკიძე: ყველანაირად მზად ვარ, ეგაა მათამაშებენ კი?

შოთა არველაძე: რა ვქნა არ ვიცი, ფეხი ისევ მტკივა, ისიც არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა, ეს ტრავმებიც ჩემდა ჭირად დამჩემდა.

დღევანდელ მატჩში ქართველთა კარს, ალბათ, უფრო **სოსო გრიშიკაშვილი** დაიცავს, ვარჯიშებზეც ყოჩაღად გამოიყურებოდა და უკრაინასთან დაშვებული შეცდომის გამეორებას არ აპირებს: ისეთი მატჩი გველის, რომ უფლება არა გვაქვს, მოუმზადებელნი შევხვდეთ. საბრძოლო განწყობაა ბიჭებში, მოსაგებად გავალთ. ყველანაირად მზად ვართ.

უკრაინელებთან მატჩისას ვერცხლისწყალივით მოძრავი **გიორგი დემეტრაძე** სლოვენიელებსაც არ ეპუება: გადამწყვეტი მატჩია, ან უნდა დავეწიოთ ჩვენზე წინ მყოფ გუნდებს, ან სიმბოლური სახე მიეცემა მომავალ თამაშებს. თუ ძირითადს მანდობენ, თავს არ დავზოგავ, შევეცდები, გოლითაც დავასაჩუქრო სლოვენიელები. ფიზიკურად კარგადა ვარ, ასევე ფსიქოლოგიურადაც.

გოჩა ჯამარაული: ვფიქრობ, ძალიან დაძაბული და ძნელი თამაში გველის. ყველაფერი უნდა გავიღოთ, რომ მოვიგოთ. ბიჭებიც არ გამოვიყურებით ურიგოდ. არც სათამაშო პრაქტიკის უქონლობას ვუჩივით, რადგან თითქმის ყველა სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატში თამაშობს. ერთი ეგაა, ბევრს ტრავმა აწუხებს, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ. ვინც დღეს მინდორზე ნაკრების მაისურით გავა, ყველამ თავი უნდა დადოს.

გიორგი დარასელია: ადვილი თამაში არ გველის. სლოვენიელები, ისევე როგორც ჩვენ, ფინალურ ეტაპზე გასასვლელად იბრძვიან და დღეს თავს არ დაზოგავენ, ჩვენც ბევრის დამტკიცება მოგვიწევს, ვართ კიდეც საამისოდ განწყობილნი. მთავარია მონდომება, რაც ნამდვილად არ გვაკლია. სხვა რა გითხრათ, ყველაფერს თამაში დაგვანახებს.

მიხეილ ფოცხვერია: ბოლო დროს ტრავმა კი მაწუხებდა, მაგრამ ახლა მოვიშუშე და თავს კარგად ვგრძნობ. რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, პროგნოზებისგან თავს შევიკავებ. წინასწარ რამეს თქმა არ მიყვარს, მით უმეტეს, სლოვენიელები სულაც არ არიან ხელწამოსაკრავნი. ისე კი დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ დასრულდება.

გიორგი ქინქლაძე: როგორც უნდა დასრულდეს დღევანდელი მატჩი, ფინალურ ეტაპზე გასასვლელად მაინც ვიბრძოლებთ, მაგრამ თუ გავიმარჯვებთ, შანსები ერთიორად გაგვეზრდება. გვჯერა, მოვიგებთ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი გვაქვს და განწყობაც შესაბამისია. ვინც დღეს მინდორზე გავა, ბოლომდე უნდა დაიხარჯოს, სხვანაირად მიზნის მიღწევა გაგვიჭირდება.

ვანო ოქროპირიძე
გიორგი ვაშაკიძე

ბაბური კეთილაძის ფოტო

გოჩა ჯამარაული მშვენიერ განწყობაზეა

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. IV ტური

საქართველო — სლოვენია

27 მარტი. თბილისი. ეროვნული. 20 საათი

რუდუნებით ნაგებმა „ბოინგმა“ თავისი მისია პირნათლად შეასრულა. დღის ორ საათზე სლოვენიის ორივე (ეროვნული და ახალგზრდული) ნაკრები თანმხლებ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ პირებთან ერთად მშვიდობით დაეშვა თბილისის აეროპორტის დასაფრენ ზოლზე. მშვიდობიან დაჯდომას სტუმრებმა ოფიციალური მხარის მონესრიგება მოაყოლეს და რამდენიმე წუთში აეროპორტის მოსაცდელში დამხვდურთა წინაშე მორჩილად წარსდგნენ. პირველი შთაბეჭდილება — ჩვეულებრივი, საოცრად წყნარი, ყურადღებიანი და თავაზიანი ხალხია. ეროვნული ნაკრების წევრები ცივილურად, ერთნაირ შარვალ-ჰალსტუხ-პიჯაკში გამოწყობილი დაუხვდა მოსაცდელში მოფუსფუსე ჟურნალისტებს. შემდეგ კი ტრადიციული მისალმება, გულთბილი ღიმილი და...

რეპორტაჟი აეროპორტიდან

ZERO-ZERO?!

ბადრი კეთილაძის ფოტო

სერჟო კატანეცმა გუშინდელი „სარბიელის“ ხილვა აეროპორტშივე მოასწრო

ითამაშებს არველაძე?

პირველად სლოვენიის ნაკრების მწვრთნელი, ერთი კვირის წინ თბილისში მზვერავად ჩამოსული **სერჟო კატანეცი** ვიხილეთ. კითხვებზე ამჯერადაც ხალისით გვიპასუხა, თუმც სხვა რა გზა ჰქონდა. ინტერვიუზე უარს როგორ გეტყვითო, ხომ გვითხრა სატელეფონო საუბრისას...

— ნოვაკი და გალიჩი, თქვენი წამყვანი ფეხბურთელები რომ გამოგაკლდათ, ვიცით. დანარჩენები ყველანი თბილისში არიან?

— ვისი იმედიც მაქვს, აგერ, თქვენს თვალწინ დგანან. ამ ორის გარდა არავინ გვაკლია.

— ნოვაკისა და გალიჩის შემცვლელებად ვინ გეგულებათ?

— მოვახერხებთ რამეს. მართალია, მათი სრულფასოვანი შეცვლა გაგვიჭირდება, მაგრამ...

— ორიოდ დღის წინ გვითხარით, თბილისში ფრეზეც ყაბულს ვარო. აზრი არ შეგიცვლიათ?

— ჩემი ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ ფრის მისაღწევად ვითამაშებთ. როცა ორივე გუნდის შესაძლებლობები შევაფასე, იმიტომაც გითხარით, ფრეზე თანახმა ვარ, კანონზომიერი ეგ შედეგი იქნება-მეთქი. დარწმუნებული ვარ, ძალიან ძნელი მატჩი გველის. ქართველებს კარგი გუნდი გყავთ. ფეხბურთელები ცნობილ კლუბებში თამაშობენ. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ვეცდებით, შინ 3 ქულით დაბრუნდეთ.

— თამაშის წინა დღეს რატომ ჩამოხვედით?

— აბა, როდის ჩამოვსულიყავით?

— გუშინ.

— რა აზრი აქვს, საქართველოსა და სლოვენიის ჰავა ისე არ განსხვავდება, აკლიმატიზაცია გაგვიჭირდეს. მატჩამდე ერთი დღე საკმარისია.

— გმადლობთ.

— ერთი კითხვა მეც მაქვს. შოთა არველაძე ითამაშებს?

— ალბათ. შოთა თბილისშია და თქვენთან შეხვედრისთვის ემზადება. რატომ მკითხეთ?

— კარგი იქნება, არ ითამაშოს.

ჩვენ გოლებს გავიტანთ

სლოვენიელთა კაპიტანი, მცველი **დარკო მილანიჩი** იქვე იდგა...

— დაცვაში გალიჩი დაგაკლდებათ. უმისოდ არ გაგიჭირდებათ?

— მისი ადგილი შესაძლოა მე დავიკავო.

— მაშინ თქვენს ადგილზე მოუწევს კატანეცს შესაფერისი ფეხბურთელის გამწესება.

— გამოსავალს ნახავს.

— ნოვაკს ვინ შეცვლის?

— კატანეცმა იცის.

— ისინი ძალიან დიდ ძალას წარმოადგენდნენ თქვენი ნაკრებისთვის...

— სამაგიეროდ, გვყავს ზაჰოვიჩი...

— ქართველ ფეხბურთელებს იცნობთ?

— „აიაქსში“ მოთამაშე შოთა არველაძე გამიგია. სახიფათო დავდამსხმელია, თუმცა, იმედი მაქვს, გოლს ვერ გაგვიტანს. აი, ზაჰოვიჩი და რუდონია კი გაიტანენ.

— დარწმუნებული ხართ?

— იმედი მაქვს.

მილანიჩმა **მლადენ რუდონიას** ხელმკლავი გამოსდო.

— ეგრეა?

— რა?

— გაუტან საქართველოს ნაკრებს?

— გავუტან კი არა, იქნებ ვერ ვითამაშო.

— რატომ?

— სასურველ ფორმაში არ ვარ.

— კატანეცის აზრი იცით?

— თავად მითხრა, უკეთეს შემთხვევაში მეორე ტაიმში გათამაშებო.

ხუმარა

შვეიცარიული „იანგ ბოიზის“ თავდამსხმელი **საშო უდოვიჩი** ყველაზე კარგი მოსაუბრე გამოდგა, ჟუჟუნა წვიმამ კი ხუმრობის ხასიათზეც დააყენა.

— ტრადიციული კითხვით დავიწყოთ...

— როგორ დამთავრდება მატჩი?

— არა, მაგრამ თქვენეული პროგნოზიც საინტერესო იქნება.

— ამინდის პროგნოზზე მეკითხებით?

— ლუბლიანაში როგორი ამინდი იყო?

— ჩვენ კარგ ფორმაში ვართ და ვფიქრობ, გავიმარჯვებთ. ისე კი, ძალიან საინტერესო თამაში იქნება, ორივე გუნდისთვის მნიშვნელოვანი. თქვენ აუცილებლად მოგება გჭირდებათ და ეს უფრო გაგირთულებთ საქმეს. ჩვენ ფრეც გვაკმაყოფილებს. ხვალ რომ წაგოთ, ჩათვალეთ, ჯგუფში გამარჯვების შანსი დაკარგეთ.

— შვეიცარიაში მოთამაშე ქართველებს იცნობთ?

— გრასჰოპერელი ყაველაშვილისა და ნემსაძის წინააღმდეგ არაერთხელ მითამაშია. თუმცა ახლა, მგონი, ნემსაძე სხვა კლუბში გადავიდა. ახლახან კი გავიგე, რომ „ციურიხში“ თამაშობს ერთი ქართველი. მათზე კარგის მეტი არაფერი მეთქმის, ჩინებული ფეხბურთელები არიან.

— ხვალ გოლს გაიტანთ?

— თუ საშუალებას მომცემენ, რა თქმა უნდა, გავიტან.

— პროგნოზი არ გითქვამთ...

— მართლაც მიჭირს. ალბათ, 0:0. ჩვენ ჭკვიანურად ვითამაშებთ. საქართველოში ფრე სრულიად დაგვკმაყოფილებს.

სამი ქართველის ნაცნობი

მირან პავლინი სულაც ჩვენებურების — ცქიტიშვილის, კობიაშვილისა და იაშვილის თანაგუნდელია გერმანულ „ფრაიბურგში“.

— „ფრაიბურგში“ სამი ქართველი თამაშობს. მეგობრობთ მათთან?

— გერმანული ენა თქვენებურებმა ახლახანს ისწავლეს. მანამდე ურთიერთობა არც გვქონდა, მხოლოდ ვარჯიშისას თუ მივესალმებოდით ერთმანეთს. ახლა კი სხვადასხვა თემებზეც ვსაუბრობთ. კარგი ბიჭები არიან, არც ფეხბურთელობა დაეწუნებათ. იაშვილი სულაც „ფრაიბურგის“ ლიდერია. რაც იგი დაშავდა, ძლიერ გაგვიჭირდა, ფაქტობრივად გოლის გამტანი აღარ გვყავს.

— სამ ქართველს იცნობთ. მათ შემხედვარეს, საქართველოს ნაკრებზე თუ გაქვთ წარმოდგენა?

— ბევრი არაფერი ვიცი, თუმცა, თუ თქვენი ნაკრები სულ „ფრაიბურგის“ ქართველების დარი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, უდავოდ ძალიან ძლიერი გუნდი იქნება.

— საქართველოს ეროვნული გუნდის ყველაზე ძლიერი რგოლი ნახევარდაცვაა. თქვენც შუა ხაზში თამაშობთ. შეძლებთ მათ გაუვნებლებას?

— ბევრი პრობლემა გვექნება. მაგრამ ნახევარმცველებზე ყოჩაღები, მგონი, თავდამსხმელები არიან. ყაველაშვილი, არველაძე... მათზე ბევრი რამ მსმენია.

არავის არაფერს ვპირდები

თბილისში ჩამოსულ სლოვენიელ ფეხბურთელთაგან ყველაზე სახელდაგდებული **ზლატკო ზაჰოვიჩია**. აეროპორტის მოსაცდელში სტუმართაგან იგი ერთ-ერთი პირველი შემოვიდა. პორტუგალიური „პორტუს“ მრისხანე თავდამსხმელი მშვიდად ესაუბრებოდა მთავარ მწვრთნელ სერჟო კატანეცს, შემდეგ კი ჩვენთვისაც მოიცალა.

— ქართველების წინააღმდეგ ხუთი წლის წინ, მალტის ტურნირზე გითამაშიათ...

— თქვენ რომ არ გეთქვათ, არც მახსოვდა.

— რატომ, იმ შეხვედრაში ქართველებმა ვერაფრით დაგამახსოვრეს თავი?

— აა, მგონი, მოგიგეთ. ასეა?

— დიახ. მაშინ 1:0 მოიგეთ. ამჯერად რას გვპირდებით?

— იმავეს გაკეთებას ამჯერადაც შევეცდებით, თუმცა ვიცი, ძალიან გაგვიჭირდება. თქვენი ნაკრები ხომ შინ ითამაშებს.

— პრობლემას მარტო ამაში ხედავთ?

— არა. ჩვენ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე გვაკლია, ჯერ მარტო ნოვაკი რად ღირს. თუმცა არა უშავს, გუნდში საბრძოლო განწყობილებაა და თქვენებს დიდ ბრძოლას გავუმართავთ. ისე, არ დაგავიწყდეთ, ჯგუფში თქვენზე წინ ვართ, ესე იგი, საბოლოო წარმატების მიღწევის უფრო მეტი შესაძლებლობა გვაქვს.

ბადრი კეთილაძის ფოტო

ფრაიბურგელი მირან პავლინი

— საბოლოო წარმატებაში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გასვლას ხომ არ გულისხმობთ?

— რა, არარეალურია? ჩვენ შეგვწევს ამის უნარი. საქართველოს ნაკრების ძლევით ერთიორად გავიადვილებთ საქმეს — ჯგუფში ხელსაყრელ ადგილზე გავალთ. ჰო, მახსოვს. მალტაზე ადვილად მოგიგეთ.

— ასე დარწმუნებული რომ ხართ ქართველთა ძლევაში, რა ინფორმაციას ფლობთ მეტოქეზე? თუ ამას მალტის ტურნირზე თქვენი გამარჯვება გაფიქრებინებთ? კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, მას მერე ხუთი წელია გასული.

— კარგით, შევთანხმდეთ. თქვენები ფავორიტები არიან. ჩვენ ჩვენსას შევეცდებით.

— ამას წინათ განაცხადეთ, ჯგუფში ფავორიტები ნორვეგიის, საბერძნეთის და სლოვენიის ნაკრებები არიანო. დღესაც ასე ფიქრობთ?

— თქვენდა სამწუხაროდ, დიახ.

— რატომ, იქნებ თქვენს აზრს მეც ვიზიარებ?

— არა მგონია. სხვაგვარად ჩანს.

— კარგით. სერჟო კატანეცი გვარწმუნებდა, რომ თბილისში გოლს გაიტანდით.

— ვითომ კატანეცმა ეს თქვა?

— გარწმუნებთ, თქვა. თქვენ რა, ხომ არ გინდათ, კატანეცს უმტყუნოთ?

— მე გოლის გატანას არავის ვპირდები, ის კი არა, სიტყვასაც ვერავის მივცემ, რომ კარგად ვითამაშებ.

— ბოლო დროს „პორტუში“ მეგოლის სახელი დაიგდეთ...

— პორტუგალიაში მართლაც მშვენივრად ვგრძნობ თავს და კონტრაქტის პირობების ბოლომდე შესრულებასაც ვაპირებ — უახლოესი სამი

იხილეთ მეხუთე გვერდი



ბადრი კეთილაძის ფოტო

სლოვენიის ნაკრების მთავარი მეგოლე ზლატკო ზაჰოვიჩი

დასაწყისი მეოთხე გვერდზე

წლის განმავლობაში ისევ ამ კლუბში დავრჩები, შემდეგ კი ვნახოთ.

— ისევ საქართველო-სლოვენიის შეხვედრას დავუბრუნდეთ. მატჩის პროგნოზს ხომ არ გამოიმეტებდით?

— ჩემს გუნდს კარგი შედეგის მიღწევა ძალუძს. ისე, თუ გნებავთ, კატანეცის პირობაც გაითვალისწინეთ...

ZERO-ZERO

სრეჩკო კატანეცის არ იყოს, მილენკო აჩიმოვიჩიც შინაურად გრძნობდა თავს ქართულ მიწაზე. შარშან „ცრვენა ზვეზდას“ ნახევარმცველმა პირადად ჩაუტარა პატარა საფეხბურთო გაკვეთილები ჩვენებურ „კოლხეთს“. ფოთში აჩიმოვიჩი სტუმართაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო და მასთან საუბარიც ამ მატჩის გახსენებით დავიწყეთ.

— მილენკო, „კოლხეთი“ გემახსოვრებათ.

— მიკვირს, ამას რომ მეკითხებით. თქვენები ხომ მაშინ, მომიტევეთ და გავაბითურეთ. ამ გუნდზე მეტად ქართველთა სტუმარ-მასპინძლობა მახსოვს. საცრად გულთბილად მიგვიღეთ და თქვენზე მხოლოდ კარგი შთაბეჭდილება შემექმნა. მჯერა, ეს ამჯერადაც განმეორდება.

— საქართველოს ნაკრებზე რა იცით?

— ვიცი, ბევრი კარგი მოთამაშე გყავთ. ისიც ვიცი, ისინი საზღვარგარეთულ კლუბებში გარკვეულ ამინდსაც რომ ქმნიან. გამოგიტყდებით, ყველაზე ძალიან ქეცბაია გვაფიქრებდა და მოხარული ვარ, რომ იგი თამაშს ვერ შეძლებს.

— სლოვენიელთა ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსებს როგორ შეაფასებდით?

— დარწმუნებით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ერთი რამ ვიცი, თუ თბილისში წარმატებით გამოვედით, უკვე არცთუ უსაფუძვლო ამბიციები გაგვიჩნდება.

— რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გაყლიათ. ხომ არ გაგიჭირდებათ?

— ძალიან დიდ მნიშვნელობას ნუ მისცემთ ამ მოთამაშეების არყოფნას. გარწმუნებთ, მშვენიერი გუნდი გვყავს და ქართველების დამარცხებაც შეგვიძლია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად გავიმარჯვებთ. რეალურად ვაფასებ თქვენი ნაკრების ძალასაც და აქედან გამომდინარე, მატჩის ჩემეული პროგნოზიც მაქვს.



სლოვენიელთა მეკარე მარკო სიმეუნოვიჩი

ბადრი ქუთელაძის ფოტო

— და როგორია იგი?

— ZERO-ZERO (0:0). ვფიქრობ, ამ ანგარიშით უკმაყოფილო არც თქვენები დარჩებიან.

ჩაფიქრებული ვეტერანი

სლოვენიელ ფეხბურთელთაგან მარკო სიმეუნოვიჩს საქართველოს ნაკრების ხუთი წლის წინანდელი შეხვედრა ყველაზე უკეთ ახსოვდა და ამ მატჩის შესახებ ბევრიც გაიხსენა, თუმცა მანამდე ვეტერანი მეკარე (31 წლის გოლკიპერი ყველაზე „უხუცესია“ გუნდში) ოდნავ დაბნეული მომეჩვენა. ამ ყოველივემ კი ამას წინათ უკრაინის ნაკრების სტუმრობა და „შერატონის“ ჰოლში გაკვირვებული შევჩენკო გამახსენა და სამეუნოვიჩთან საუბარი არასაფეხბურთო თემით დაიწყე.

— გაკვირვებული ჩანხართ. ამის მიზეზი სასტუმრო „შერატონი“ ხომ არ არის, მსგავსი რამ ერთი კვირის წინ უკრაინის ნაკრების ფეხბურთელებსაც დაემართათ.

— ოო, მესმის უკრაინელების. მოდი და ნუ გაგიკვირდება კაცს. მართლაც მშვენიერი სასტუმრო გაქვთ. სიმართლე გითხრათ, მსგავს ნაგებობას ბევრგან ვერ ნახავ. მშვენიერი, ძალიან მშვენიერია ყველაფერი.

— ხუთი წლის წინ მალტის ტურნირზე სლოვენიის ნაკრების კარს იცავდით...

— ის შეხვედრა კარგად მახსოვს. მართალია, მაშინ გავიმარჯვეთ, მაგრამ თქვენები ურიგოდ სულაც არ გამოიყურებოდნენ. პირიქით, თანაბარი თამაში იყო, მაგრამ ჩვენები მეტად მონდომებულნი იყვნენ. თავის ქებად ნუ ჩამითვლით, გოლი არ გამიშვია და ამანაც ბრძოლის ჟინი შემატა ჩემს თანაგუნდელებს. სლოვენიის მოგებაც ამ ფაქტორმა უფრო განაპირობა.

— კარის მშრალად შენახვას ამჯერადაც შეძლებთ?

— ოო, რა მოგახსენოთ. ეს უფრო მწვრთნელის გადასაწყვეტია. თუ დამაყენა ძირითად შემადგენლობაში, ბუნებრივია, ჩემსას შევეცდები.

— სლოვენიელების შანსებზე რას იტყვით?

— სიმართლე გითხრათ, ახლა ამაზე არ ვფიქრობ. ჩემი აზრები მთლიანად უახლოეს მატჩს დასტრიალებს.

— იქნება გამანდოთ თქვენი ფიქრები...

— ვიცი, რომ ძალიან მძიმე ბრძოლა გველის. მეტად გამოცდილი მოთამაშეები გვაკლია და ესეც მაფიქრებს. თანაც თქვენები მასპინძლის რანგში არიან და მოგებით საგრძნობლად გაიუმჯობესებენ სატურნირო მდგომარეობას. არა, არა, უეჭველად გაგვიჭირდება, მაგრამ ჩვენსას შევეცდებით.

— თანაგუნდელთაგან ყველაზე ხელსაყრელ პოზიციაზე თამაშობთ, როგორია მეკარის ბაქნიდან დანახული სლოვენიის ნაკრები?

— ჩვენ ბევრი პლუსები გვაქვს. თუნდაც საიმედო დაცვა და კონტრშეტევების განხორციელების ხშირ შემთხვევაში უზადო უნარი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ შეცდომებსაც ვუშვებთ. კონკრეტულად გეტყვით. დამაგვირგვინებელ ფაზაში მოვიკოჭლებთ და, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, ცოტა გამოცდილებაც გვაკლია.

— ზოგიერთმა თქვენმა თანაგუნდელმა პროგნოზებიც გაგვანდო.

— სამწუხაროდ, უნდა გაგაწბილოთ. ამას არ ვარ ჩვეული. ჯობს, ისევ მატჩს დაველოდოთ.

მადონა გიორგაძე
პაატა კვანტალიანი
კობა ინასარიძე



„ცრვენა ზვეზდას“ მილენკო აჩიმოვიჩი საქართველოში მეორედაა

ბადრი ქუთელაძის ფოტო

თვით ტაბლოს კი ვარჯიშობდა

რეპორტაჟი სტადიონიდან

თბილისი. 19.30. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. ეს-ესაა სლოვენიის ეროვნული ნაკრები მინდორზე გავიდა და თბილისური წვიმის აკომპანიმენტის ქვეშ ვარჯიშს შეუდგა.

ბევრი ნაკრები მინახავს ბოლო წლების მანძილზე საქართველოში მატჩის წინა დღეს ვარჯიშისას, მაგრამ სლოვენები ყველასგან გამოირჩევიან. გამოირჩევიან უპირველესად მონდომებით, მწვრთნელისადმი უსიტყვო მორჩილებით და... ოპტიმიზმითაც. არ ვიცი, რას ელიან და რას ფიქრობენ სრეჩკო კატანეცის ბიჭები დღევანდელ მატჩზე, მაგრამ მათ მობილურ გუნდს უხასიათობას ნამდვილად ვერ დასწამებ კაცი.

სლოვენებს შორის უდავო ავტორიტეტი მწვრთნელი კატანეცი ჩანს, მის მერე კი ზლატკო ზაჰოვიჩის პიროვნებაა აღსანიშნავი. მართალია, ვარჯიშისას ზაჰოვიჩი სხვებივით თავქუდმოგლეჯილი არ დარბოდა მინდორზე, მაგრამ ბურთს მიიღებდა თუ არა, იმწასმვე ჩანდა მისი კლასი და ოსტატობის დონე.

ტალიკ-ტალიკი ბიჭები ჩანან მეტოქეები. „დირ-დირი“ რომ გაახურეს, ნათლად გამოჩნდა, რომ ფლანგების ათვისება უფრო ეხერხებათ და, ვგონებ, ჩვენი ნაკრების ამასწინდელ მეტოქე უკრაინას არც დაცვიდან შეტევაში ელვისებური გადასვლით ჩამორჩებიან.

ერთი სიტყვით, არ ჰყავს გუცაევის გუნდს ხელწამოსაკრავი მეტოქე.

ყველაფერთან ერთად, ჟინითაც გამოირჩევიან ჩვენი მეტოქეები. კვადრატის, კარში დარტყმის, „დირ-დირის“ დროს მათი ნებისმიერი მოქმედება ჟინით და აზარტით იყო დამუხტული და როცა ვარჯიშის ბოლო სტადიაზე „აჩიმოვიჩის გუნდმა“ „ზაჰოვიჩის გუნდის“ კარში გადამწყვეტი ბურთი გაიტანა, გამარჯვებულის წევრებმა იმგვარი ყიჟინა მორთეს, თითქოს, ჩვენ ჯვარი გვწერია და, ნორვეგიელები დაემარცხებინოთ.

რაც შეეხება ტაბლოს, მასზე მორიგეობით იწერებოდა საქართველო-სლოვენია, RENO, გუნდების შემადგენლობები და სხვა ამგვარები.

ერთი სიტყვით, გუშინ თვით ტაბლოც კი გამალებით ემზადებოდა.

კონსტანტინე გოგიშვილი

დარკო მილანიჩმა და სლოვენიელებმა გუშინ ეროვნულზე ივარჯიშეს

ბადრი ქუთელაძის ფოტო

ლანდი დარჩა!

ბადრი ქუთელაძის ფოტო

გუშინწინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია თბილისში მოულოდნელად ჩამოსულ, აქამდე ახალგაზრდული ნაკრების კონსულტანტს იტალიელ რობერტო ლანდის შეხვდა.

რაზე ილაპარაკეს? რა გადაწყვიტეს პრეზიდენტმა და სტუმარმა?

გუშინ სასტუმრო „შერატონში“ იტალიელმა გვამცნო, გასარკვევ-გასარჩევიც არაფერი ყოფილა, მე კვლავაც ჩამოვალ საქართველოში და როგორც შემეძლება, ისე დავეხმარები თქვენებურ მწვრთნელებსო. ლანდის არაფერი დაუკონკრეტებია, არც თავის კომპეტენციაზე უთქვამს რამე.

ასე რომ, ჩათვალეთ — ლანდი ახალგაზრდებთან რჩება და თანამშრომლობას აგრძელებს.

კობა ინასარიძე

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებიდ. ინგლისი — პოლონეთი

შიში ცუდი თანამგზავრია

მართალია! შიში ცუდი თანამგზავრია. იმდენად ცუდი, რომ მისმა გახსენებამაც კი შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაყაროს.

შაბათს „უემბლიზე“ ინგლისის ნაკრები პოლონეთს მასპინძლობს. ამ მატჩში ინგლისის პირველი გუნდის მწვრთნელის რანგში კევინ კიგანის დებიუტი შედგება, მაგრამ ამჯერად სულ სხვა რამეზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას. ევროპის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელის, კევინ კიგანის ინგლისის ნაკრების თავკაცად დანიშვნა თავისთავად უკვე დიდი მოვლენაა, თუმცა ქვემოთ იმ შიშზე მინდა გესაუბროთ, პოლონეთის ნაკრები რომ შეუპყრია.

თურმე ნუ იტყვით — პოლონელებს ალან შირერი აფრთხობთ.

საერთოდ, ამ ორი გუნდის დაპირისპირების ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ პოლონეთს ინგლისი ხშირად გაუმწარებია. ხანდახან იმდენადაც, რომ გუნდი მსოფლიოს ან ევროპის პირველობის მიღმა დაუტოვებია. ეს იყო ადრე, ბოლო ოფიციალურ თამაშებში კი ინგლისმა პოლონეთი პირწმინდად დაამარცხა: მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ინგლისი და პოლონეთი ერთ შესარჩევ ჯგუფში ასპარეზობდნენ და ალბიონელებმა მეტოქე შინაც სძლიეს და სტუმრადაც.

და რა შუაშია აქ ალან შირერი? საქმე ისაა, რომ ინგლისელთა უპირველესმა თავდამსხმელმა ალან შირერმა პოლონელებს იმ ორ მატჩში სამი გოლი გაუტანა. მათ ახლაც ეშინიათ, რომ შირერი გააგრძელებს მათ წინააღმდეგ შედეგიან თამაშს.

— შირერმა ორჯერ დაგვამარცხა და ეს საგულისხმო ფაქტია. წინა შესარჩევ ციკლში ინგლისმა ორჯერ მოგვიგო, ორჯერვე ალან შირერის ძალისხმევით, ჩვენ კი არ გვსურს, ახლაც იგივე განმეორდეს. შირერი, აუცილებლად უნდა შევაჩეროთ — წარმოგიდგენიათ? ალან შირერს არა მარტო პოლონეთის ნაკრები, არამედ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ანეი პავლეციც უფრთხის. ვერ არის კარგი ამბავი.

ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეხუთე ჯგუფში, სადაც პოლონეთი, ინგლისი, შვედეთი, ბულგარეთი და ლუქსემბურგი ასპარეზობს, პოლონელები ლიდერები არიან. აქამდე გამართულ ორი ოფიციალურ მატჩიდან მათ ორივე მოიგეს — ერთნაირი ანგარიშით 3:0 დაამარცხეს სტუმრად ბულგარეთი, შინ კი ლუქსემბურგი. ინგლისი სამი თამაშიდან მოგებით და ფრით ჯერჯერობით მესამეა.

კვლავ შირერი.

ალან შირერი, ისევე, როგორც მთელი ინგლისის ნაკრები, პოლონელებთან მატჩისთვის განსაკუთრებით ემზადება. ფეხბურთის სამშობლოში კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ თუ ამ და კიდევ რამდენიმე პრინციპულ შეხვედრას ვერ მოიგებენ, ევროპის ჩემპიონატზე თამაშს გამოემშვიდობებიან.

ნისლიან ალბიონზე შირერის იმედი აქვთ, პოლონეთში კი...

— ინგლისთან მატჩზე იმდენად არ ვფიქრობ, რამდენადაც შინ შვედეთან პაექრობაზე. ცხადია, „უემბლიზე“ თამაშიც მნიშვნელოვანია, მაგრამ მე უფრო შვედებთან ორთაბრძოლა მაღელვებს — პოლონეთის ნაკრებისა და შოტლანდიური „დანდის“ ნახევარმცველი დარიუშ ადამჩუკი თითქოს ინგლისელებთან მატჩზე საუბარს თავს არიდებდა.

ნუთუ პოლონელებს შირერისა მართლა ეშინიათ?

სამეფოს სახელით

ინგლისის ეროვნული გუნდის საწვრთნელ ბანაკს „ბიშემ ებიში“ მისმა უდიდებულესობამ, პრინცმა ენდრიუმ მიაკითხა. ოფიციალურად სტუმრობის მიზეზი მსოფლიოში ბავშვებზე ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა გახლდათ, მაგრამ ეჭვი არაა უაგვუსტესი პერსონა ფეხბურთელებს პოლონელებთან მოახლოებულ მატჩზეც გაესაუბრებოდა და მოსაგებად წააქეზებდა კიდეც

ინგლისი — პოლონეთი

1	05.01.66	ამ	ლივერპული	1:1	რ. მური; სადეკი
2	05.07.66	ამ	ხოჟუვი	1:0	რ. ჰანტი
3	06.06.73	მჩშ	ხოჟუვი	0:2	ლუბანსკი, ბანიაში
4	17.10.73	მჩშ	ლონდონი	1:1	კლარკი; ლომარსკი
5	11.06.86	მჩ	მონტერკი	3:0	ლინეკერი (3)
6	08.02.89	მჩშ	ლონდონი	3:0	ლინეკერი, ჯ. ბარნსი, ნ. ვები
7	11.10.89	მჩშ	ხოჟუვი	0:0	
8	17.10.90	ეჩშ	ლონდონი	2:0	ლინეკერი, ბერდსლი
9	13.11.91	ეჩშ	პოზნანი	1:1	ლინეკერი; შევჩუკი
10	29.05.93	მჩშ	ხოჟუვი	1:1	ი. რაიტი; ადამჩუკი
11	08.09.93	მჩშ	ლონდონი	3:0	ფერდინანდი, გესქოინი, პარი
12	09.10.96	მჩშ	ლონდონი	2:1	შირერი-2; ციტკო
13	31.05.97	მჩშ	კატოვიცე	2:0	შირერი, შერინგემი

ფენლი, ცხადია, არის

„უემბლიზე“ თამაშის დაწყების წინ პოლონელ ფეხბურთელებს მილიონი დოლარი ეხსომებათ, მაგრამ არ არსებობს იმაზე დიდი და ძველი მოტივაცია, რაც 1973 წლის, იან ტომაშევსკის დროინდელი ნაკრების შედეგის გამეორებაა. მაშინ პოლონეთმა ფრედ ითამაშა და მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდა, ინგლისი კი... პოლონელებმა კარგად უწყიან, რომ ინგლისის ნაკრები ბოლო სამ შეხვედრაში მესამე მწვრთნელის ხელმძღვანელის ხელმძღვანელობით გადის მოედანზე და გრძნობს, რომ ამაზე უკეთესი შანსი შეიძლება აღარც დაუდგეთ.

ისე ნუ გაიგებთ, თითქოს პოლონეთის ნაკრების ბანაკში ყველაფერი იდეალურად იყოს. მაგალითად, მათი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია 1996 წლის ვიზიტთან შედარებით „უემბლიზე“ გამარჯვებისთვის პრემიის შემცირებას ცდილობდა და საქმეში მწვრთნელის, იანუშ ვუიჩიკის ჩარევის შემდეგლა დარჩა გასამრჯელო ისეთი, როგორიც მაშინ იყო — 200 ათასი დოლარი.

თუმცა, საკუთრივ ვუიჩიკსაც ეეჭვება, რომ მისმა მოთამაშეებმა საბოლოოდ მიიღონ ის მილიონი დოლარი, რომელიც იმ შემთხვევისთვისაა დაწესებული, თუ გუნდი ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე გავა. არადა, დაგვეთანხმებით, მილიონი დოლარი დიდი ფულია, თუნდაც საკმაოდ სწრაფად განვითარებული პოლონეთისთვის.

პოლონეთი რომ ეკონომიკური აყვავების გზას ადგას, იქიდანაც ჩანს, რომ დღევანდელი შეხვედრა ამ ქვეყანაში მხოლოდ ფასიანი ტელევიზიით გადაიცემა, ხოლო „უემბლიზე“ დასასწრები 6 ათასი ბილეთი ტურისტულმა საგენტოებმა გვარიანად ძვირ სამოგზაურო პაკეტთან ერთად გაყიდეს.

რაც შეეხებათ გულშემატკივრებს: ათასი ბილეთი ლონდონში მცხოვრებმა პოლონელებმა შეიძინეს. მოკლედ, „უემბლიზე“ სტუმართა ქომაგების ნაკლებობა ნამდვილად არ იქნება. არადა, ტრიბუნაზე არეულობის საშიშროება არსებობს, რადგან პოლონური ფეხბურთი ბოლო დროს ფრიად ჩხუბიანი გახდა. მაგალითად, გასულ უქმეებზე ქვეყნის პირველობის თამაში „გურნიკსა“ და „ოდრას“ შორის ჩაიშალა, ვინაიდან მოედანზე ჩაცვენილმა გულშემატკივრებმა ფეხბურთელები გალახეს. ამასთან დაკავშირებით შვედეთის ფეხბურთის ფედერაციამ თავის მოსახლეობას ურჩია, ოთხშაბათს, პოლონეთისა და შვედეთის თამაშზე დასასწრებად, პოლონეთში არ ჩავიდეს.

დასამალი არაფერია: კოული და შირერი

კევინ კიგანი ის კაცია, რომელიც კარტს დამალვის მიზნით მკერდთან არასდროს მიიკრავს: მან გამოაცხადა, რომ პოლონეთის ნაკრების წინააღმდეგ შეტევაში დიდ წყვილს, ენდი კოულსა და ალან შირერს ათამაშებს. ამაში გასაკვირი არც არაფერია, მით უფრო, რომ ბოლო ხანებში ინგლისელთა ბანაკს, თავდამსხმელთა ტრავმებმა გადაურბინა.

ფეხბურთელები „უემბლიზე“ სავარჯიშოდ რომ მიიყვანა, მწვრთნელმა პირველი რაც გააკეთა, ის იყო, რომ შირერი და კოული რაც შეიძლებოდა შორს დაიყენა გრიპიანი ტონი ადამსისგან, მერე ორივეს საჯარიმო მოედნისკენ მიუთითა და დევიდ ბექმის, გარი ნევილის, გრეგ ლე სოსა და სტივ მაკმანამანის ჩაკიდულ ბურთებს გამოადევნა.

მაშ ასე, კიგანი ნაცნობ ფორვარდებს ენდობა. შირერიცა და კოულიც „ნიუკასლის“ მწვრთნელობის დროს მის ხელში იყვნენ.

„ალანს და ენდის ერთი რამ საერთო აქვთ: ხასიათი და გამარჯვების წყურვილი“ — ამბობს ნაკრების დროებითი თავკაცი.

კოული მეოთხედ ითამაშებს ეროვნული გუნდის მაისურით, თუმცა ძირითად შემადგენლობაში პირველად იქნება. აღსანიშნავია, რომ კიგანი მეოთხე შეხვედრაში მისი მეოთხე ხელმძღვანელი იქნება. დიახ, კოულს მართალია ნაკრებში თამაშის დიდი გამოცდილება არ აქვს, მაგრამ მწვრთნელებს კი იცოცხლეთ, მოსწრებია და აიმტომაც გაამახვილეს ინგლისელმა ჟურანლისტებმა ყურადღება იმაზე, რომ ისეთი გაბადრული, როგორიც ამ დღეებში იყო, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელი ადრე არ უნახავთ.

„კიგანის გუნდში როცა ვარ, ოცი სანტიმეტრით მაღალი მგონია თავი“ — ამბობს კოული — „მაშინ, როდესაც კევინმა „ნიუკასლიდან“ გამყიდა, განაწყებენული ვიყავი, მაგრამ ისიც კარგად მახსოვს, როგორ მითხრა, „მანჩესტერ იუნაიტედში“ გაცილებით ძლიერ თავდამსხმელად ჩამოყალიბდებიო.“

კიგანიც ადასტურებს: „ძნელი მისახვედრი სულაც არ იყო, რომ მანჩესტერში ენდი უფრო გაიზრდებოდა.“

მწვრთნელი ამბობს, რომ კოული დღეს გაცილებით იოლად ფლობს ბურთს, ვიდრე ადრე და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

სტივ მაკმანამანის სვეტი

მატჩის წინა დღეს

ბოლო თვეებში ინგლისური ფეხბურთის კულუარებში მომხდარმა ამბებმა ბევრს აფიქრებინა, რომ ნაკრებში ძირეული ცვლილებები მოხდებოდა, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. გუშინ ვარჯიშები ჩვეულებრივად ჩატარდა, საღამოს „უემბლიზე“ წაგვიყვანეს. მოკლედ, ერთადერთი, რისი თქმაც ნაკრების ბანაკიდან შემიძლია, ესაა: ყველაფერი ძველებურად არის.

თუმცა, კიდევ ერთი მინდა განვაცხადო: ჩვენზე, მოთამაშეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კევინ კიგანმა. „ფულემის“ ფეხბურთელებისგან მსმენოდა, რომ კევინის ვარჯიშები საინტერესო და მძიმეა. ახლა შეშინდა თავადაც იგივე ვთქვა.

ჩვენთან რამდენიმე ცვლილებაა. ახალმოსულთაგან ბევრს არ ველოდი, რადგან ფეხბურთის გუნდებში, როგორც წესი, ერთი და იმავე ხალხთან მუშაობენ. თანაც, თითოეულ მოთამაშეს გარკვეული ხნის განმავლობაში წვრთნა სჭირდება, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ დონეზე ყველამ იცის, რა და როგორ აკეთოს.

პირველი და უმთავრესი ისაა, რომ ჩვენ ოთხი მომდევნო თამაში უნდა მოვიგოთ. ამ ოთხიდან პირველი პოლონეთთანაა, მაგრამ კარგად მახსოვს პოლონელთა ბოლო სტუმრობა „უემბლიზე“ და ვიცი, რომ მათთან შეხვედრაში საჩუქრად არაფერს უნდა ველოდეთ. ისინი ჩვენთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საწყის ეტაპზე იყვნენ, პირველი გოლიც გაგვიტანეს და მერე თავიც ჩინებულად დაიცვეს. მაშინ ალან შირერის ორმა საუცხოო გოლმა მოგვაპოვებინა ქულები.

ის, რომ პოლონეთთან კიგანის პირველი თამაშია, ძალიან ბევრს ნიშნავს. ნაკრებში თამაშის მისეული გამოცდილება გაგვამხნევებს და ფეხბურთელებს სავსე ტრიბუნების წინაშე მხნეობისთვის განგვთაწყობს.

ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, ხალხი ექვსი და შვიდი გოლის გატანას თუ არ მოგვთხოვს. ერთადერთი, რაც კიგანს უნდა, გამარჯვებაა. ფანებიც მხარს უჭერენ ჩვენს მწვრთნელს, ხოლო თამაში შაბათ დღეს, შუადღის სამ საათზე რომ დაიწყება, ეს თავად ფანებისთვისაა ხელსაყრელი.

დეილი ტელეგრაფი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

ალბათ, მაინც ფრე იქნება

რევაზ ძოძუაშვილი

დღეს საღამოს ათენში საბერძნეთი ნორვეგიას შეებრძოლება. ეს ევრო 2000-ის მეორე შესარჩევ ჯგუფში უთუოდ ტურის უმთავრესი მატჩი გახლავთ. მის შედეგს დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც თავად შეხვედრის მონაწილე გუნდებისთვის, ასევე ჯგუფის ლიდერის, ლატვიისა და (იმედი გვაქვს) საქართველოსთვისაც. ამიტომაც დავუკავშირდით ლატვიელთა ეროვნული გუნდის მწვრთნელს, რევაზ ძოძუაშვილს და აზრის გამოთქმა ვთხოვეთ.

— ათენურ მატჩს ჩემი თანაშემწე, რიგის „სკონტოს“ თავკაცი ალექსეი სტარკოვი დაესწრება და მეტოქეების შესახებ ინფორმაციას ჩამომიტანს. უეჭველია ძალიან საინტერესო, დაძაბული თამაში იქნება. მართალია ნორვეგიას ბერძნებზე კარგი გუნდი ჰყავთ, მაგრამ ანგელ იორდანესკუს ბიჭებისთვის ნაკლის კომპენსაცია მშობლიური კედლები იქნება. შანსები თანაბარია და მგონია, რომ შეხვედრა ფრედ დამთავრდება. ასეთი შედეგი საქართველოს ნაკრებისთვისაც კარგი იქნება, უშუალო კონკურენტები ხომ ქულებს დაკარგავენ. აქ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ ნორვეგია დღეს ათენში დამარცხდება, ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა ძალიან გაუჭირდება და ამიტომ ის ძალების სრული მობილიზაციით ითამაშებს. როგორც გითხარით საბერძნეთისა და ნორვეგიის შეხვედრაში ფრეს ველი.

გადაიდო

შოტლანდია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში შაბათს ბოსნიას უნდა შეხვედროდა, მაგრამ უეფას გადაწყვეტილებით ეს შეხვედრა გადაიდო.

ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის წარმომადგენლების თქმით, ბალკანეთში შექმნილი საომარი ვითარების გამო ბოსნიის ხელისუფლებამ ყოველგვარი ავიარეისები, გარდა სპეცდანიშნულებისა, გააუქმა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები, შოტლანდიაში რომ უნდა გაფრენილიყო, ბოსნიის საზღვრებს ვერ დატოვებს.

უეფამ შოტლანდია-ბოსნიას დაპირისპირება 18 აგვისტოსთვის გადაიტანა, თუმცა ოფიციალურად ჯერ მაინც არაა გადაწყვეტილი, როდის გაიმართება მატჩი — შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციას უეფას შერჩეული თარიღი არ მოეწონა.

— „უეფამ მატჩი 18 აგვისტოსოვის გადადო, თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენ შევხვდებით უეფას და ბოსნიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს და მათთან ერთად სხვა, მეტ-ნაკლებად შესაძლებელ ვადას განვიხილავთ. აგვისტოში კალენდარი ისედაც გადატვირთული გვაქვს და ვშიშობთ, რომ პრობლემა შეგვექმნება“ — განაცხადა შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის პრესატაშე ენდი მიჩელმა.

ბალკანეთში შექმნილმა დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ უეფა მეოთხედ აიძულა, დაგეგმილი შეხვედრა გადაედო — შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ უეფამ გადაწყვიტა, იუგოსლავია-ხორვატია და მაკედონია-ირლანდია 18 აგვისტოსთვის გადაეტანა, ხოლო იუგოსლავია-მაკედონია 4 სექტემბრისთვის.

— სამწუხაროა, რომ მატჩი დათქმულ დროს ვერ იმართება. ჩვენ გვინდოდა, შეხვედრა შეუფერხებლად წარმართულიყო, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ომი ომია — ეს სიტყვებიც ენდი მიჩელის ეკუთვნის.

შეიცვლება თუ არა უეფას მიერ დადგენილი თარიღი ამ შეხვედრისთვის, ეს უახლოეს მომავალში გაირკვევა.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფი III ჯგუფი. თურქეთი - მოლდოვა

მოლდოვის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — სერგეი დინოვი (კონსტრუქტორული), სერგეი დიაკონი (ზიმბრუ); მცველები — ოლეგ ფისტიკანი (ზიმბრუ), სერგეი სტროენკო (ტილიგული), ივან ტაბანოვი (კონსტრუქტორული), ვიტალი მაიევიჩი (შერიფი), ალექსანდრუ გუზუნი (ზაპოროჟიეს ტორპედო, რუსეთი); ნახევარმცველები — ვლადიმირ გაიდამაშუკი, ლისან პოპესკუ (შერიფი), სერგიუ ეპურეანუ, იგორ ოპრია (ზიმბრუ), რადუ რებეჟა (ურალანი, რუსეთი), სერგეი ბელოუსი (ტილიგული), ოლეგ შიშკინი (კონსტრუქტორული), გეორგი სტრატულატი (დნეპრი, უკრაინა); თავდამსხმელები — სერგეი კლეშნენკო (ზიმბრუ), ალექსანდ სუხარევი (დნეპრი, უკრაინა), სერგეი კირილოვი (კონსტრუქტორული), ანატოლი ლუკიანჩენკოვი (ტილიგული)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფი III ჯგუფი. გერმანია - ფინეთი

ფინეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ანტი ნიემი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), იუსი იასკელაინენი (ბოლტონი, ინგლისი); მცველები — სემი ჰიიპია (ტილბურგი, ჰოლანდია), ტომი კაუტონენი (ვაასა), ტომი კინუნენი (გენკი, ბელგია), იუჰა რეინი (გენკი, ბელგია), იარმო საასტამოინენი (ჰელსინკი), ჰანუ ტიჰინენი (ჰელსინკი), იარი ილონენი (ბრანი, ნორვეგია); ნახევარმცველები — იარი ილოლა (ჰელსინკი), ჯონათან იოჰანსონი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), იონას კოლკა (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), მიკა კოტილა (ბრანი, ნორვეგია), მიკა ლეკოსუო (პერუჯა, იტალია); თავდამსხმელები — იარი ლიტმანენი (აიაქსი, ჰოლანდია), მიკა მატი პაატელაინენი (ჰიბერნიანი, შოტლანდია), აკი რიიჰილაჰტი (ვალერენგა, ნორვეგია), სიმო ვალაკარი (მოზერველი, შოტლანდია)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფი VI ჯგუფი. ისრაელი - კვიპროსი

ისრაელის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ნირ დავიდოვიჩი (ჰაიფას მაქაბი), ერან ზაინცინგერი (ნეთანიას მაქაბი); მცველები — რან ბენ-შიმონი, ოფერ ტალქარი, ნაივან გრაები (ჰაიფას ჰაპოელი), ალონ ჰარაზი, არიკ ბენადო (ჰაიფას მაქაბი), ამირ შელაჰი (იერუსალიმის ბეითარი); ნახევარმცველები — იან ტალასნიკოვი, იოსი აბუკისი (იერუსალიმის ბეითარი), ვალიდ ბადირი (ფეთახ თიქვას ჰაპოელი), იდან ტალი (თელ ავივის ჰაპოელი), ავი ნიმნი (თელ ავივის მაქაბი), ჰაიმ რევივო (სელტა, ესპანეთი), ავი თიქვა (გრასჰოპერი, შვეიცარია), ეიელ ბერკოვიჩი (ვესტ ჰემი, ინგლისი), ტალ ბენონი (ბრეშა, იტალია); თავდამსხმელები — რონენ ჰარაზი (ჰაიფას მაქაბი), ნირ სივილია (იერუსალიმის ბეითარი), ალონ მიზრაჰი (ნიცა, საფრანგეთი)

ბედის რჩეული და ისტორიული მობურთალი

დიდიე დეშამპი

ფოტოსურათი ეროვნული

დიდიე დეშამპს განგებამ იმ ნაკრების კაპიტნობა არგუნა, მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა. მეტი რაღა უნდა გინდოდეს კაცს, რომელიც ცხოვრების გზად ფეხბურთის თამაშს ირჩევ? მაგრამ დეშამპი ბედის რჩეულია. დღეს, „სტად დე ფრანსზე“ იგი 83-ედ მოირგებს ფრანგთა ეროვნული გუნდის ლურჯ მაისურს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასზე მეტი მატჩი ნაკრების შემადგენლობაში თანამემამულეთაგან არავის ექნება ნათამაშევი.

ამ საღამოს საფრანგეთი ევრო 2000-ის შესარჩევ შეხვედრაში უკრაინას მასპინძლობს, მაგრამ ამჯერად თამაშის მნიშვნელობასა და მასთან დაკავშირებულ დეტალებზე არ შევჩერდებით. თქვენი ნებართვით ყურადღებას იმაზე გავამახვილებთ, რომ დღეს „მარსელის“ დიდი მცველის, ევროპის 1984 წლის ჩემპიონის, მანუელ ამოროს შედეგი, 82 სანაკრებო შეხვედრა, გვირგვინს მოიხსნის და მომავალს გადასცემს.

დიდიე დეშამპი აგერ უკვე ათი წელიწადია რაც ეროვნულ გუნდს ემსახურება. მისი დიდი საერთაშორისო კარიერა 1989 წლის აპრილში, იუგოსლავიასთან უგოლო შეხვედრით დაიწყო და მას მერე თითოეულმა ფრანგმა გულშემატკივარმა იცის, რომ დაბლა, მოედანზე, სადღაც შუაში ტრიალებს ერთი ძალიან უსახური, მაგრამ იმავდროულად ძალიან საიმედო ფეხბურთელი.

„ერთი თვის წინ, „უემბლიზე“, ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ დეშამპმა ისე ითამაშა, რომ ყველანი დავრწმუნდით, მისი გუნდში ყოფნა კვლავაც გადამწყვეტია“ — თქვა მსოფლიოს ჩემპიონთა ახალმა მწვრთნელმა როჟე ლემერმა.

სხვათაშორის მატჩი, რომელიც ლემერმა ახსენა, ისევე როგორც ლამის ყველაფერი, რაშიც დეშამპი მონაწილეობს, ისტორიული გახლდათ — იმ დღეს „უემბლიზე“ ფრანგებმა პირველად დაამარცხეს ინგლისი.

რაკი სიტყვა ისტორიული ვახსენეთ, გავიხსენოთ, რომ დეშამპი გახლდათ იმ „მარსელის“ ფეხბურთელი, რომელმაც ფრანგული საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში პირველად მოიპოვა ევროპული ჯილდო — ჩემპიონთა თასი. იგივე ტროფი საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა ერთი ხნის მერე ტურინის „იუვენტუსთან“ ერთად აღმართა, თუმცა ამ შემთხვევაში ისტორიული, პირველობის გაგებით, აღარაფერი ყოფილა.

„მისი გადაწყვეტილებები ყოველთვის გონივრულია. იგი ნებისმიერ ნაბიჯს წონის და გულახდილად რომ გითხრათ, მგონი შეცდომასაც არასდროს უშვებს“ — განაგრძობს ლემერი.

იმ 82 შეხვედრიდან, რომელიც დეშამპს აქამდე ჩაუტარებია, საფრანგეთის ეროვნულმა გუნდმა 53 მოიგო და მხოლოდ 10 წააგო, რომელთაგან ოფიციალური სულ 4 გახლდათ. ამ ფეხბურთელის კარიერას თუ გადავხედავთ, შევნიშნავთ, რომ იგი ყოველთვის დროულად და სწორედ იცვლიდა გუნდებს. განა გამართლებული არ გამოდგა მისი „ნანტიდან“ „მარსელში“ გადაბარგება ან, შემდგომ, „მარსელის“ დატოვება და „იუვენტუსში“ წასვლა?

„1994 წელს, „იუვეში“ გადასვლამ განაპირობა მისი ისეთ მოთამაშედ ჩამოყალიბება, როგორიც დღესაა. ამასთან ტურინელებისთვისაც ზედგამოჭრილი აღმოჩნდა დეშამპის თვისებების მქონე ფეხბურთელი“ — განმარტა ფრანგული ფეხბურთის ისტორიის უდიდესმა წარმომადგენელმა მიშელ პლატინიმ.

პლატინი გარკვეული გაგებით შეიძლება დეშამპის წინამორბედადაც განვიხილოთ. იგი ხომ 1980-იანი წლების დასაწყისში გადავიდა „იუვენტუსში“, სადაც ენითაუწერელ სიმაღლეებსა და წარმატებებს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ 10 წლის წინ, როდესაც დეშამპმა საფრანგეთის ნაკრებში პირველი შეხვედრა ჩაატარა, გუნდის მწვრთნელი სწორედ მიშელ პლატინი გახლდათ.

აი, რას ამბობს დეშამპზე ემე ჟაკე, კაცი რომლის ხელმძღვანელობითაც ფრანგები მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ: „მისი მნიშვნელოვნება მაშინ შეიგრძნობა, როდესაც ის გუნდში არ არის. ევრო 96-ზე დეშამპი ნაკრების სული და გული გახლდათ და სწორედ მისი არყოფნის გამო ვერ მოვიგეთ ნახევარფინალში“.

დიდიე დეშამპი ეროვნული გუნდის კაპიტნად ევრო 96-ის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე დაინიშნა. ნახევარფინალი, რომელზეც ჟაკე საუბრობს მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“ გაიმართა. იმ შეხვედრაში ფრანგები ჩეხეთის გუნდთან დამარცხდნენ, ძირითადი და დამატებითი დროის ანგარიში 0:0 იყო, ფინალისტის ვინაობა კი პენალტებმა გადაწყვიტა.

თავად დეშამპი, როდესაც გამორჩეულ მატჩებზე ესაუბრებიან, ევრო 96-ის შესარჩევი შეჯიბრების იმ თამაშს იგონებს, 1995 წელს ბუქარესტში, რუმინეთის ნაკრების წინააღმდეგ რომ ჩატარდა და ფრანგთა 3:1 გამარჯვებით დასრულდა.

„იქ რომ არ მოგვეგო, ევრო 96-ზე ვერ გავიდოდით, შესაბამისად შევცვლიდით ეროვნული გუნდის მწვრთნელს და ალბათ აღარც მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფი შედგებოდა“.

30 წლის დეშამპს კარიერაში ერთადერთხელ მოუწია მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშმა, არადა სამჯერ ჰქონდა შანსი. 1990 წელს ფრანგები არ იყვნენ იმ დონის, შესარჩევი საფეხური რომ გაევლოთ, 1994 წლის ჩემპიონატისკენ კი მრავალჯერ ნახსენებმა ბულგარულმა კატასტროფამ ჩაუხერგათ გზა. გეხსომებათ 1993 წლის ნოემბერი, „პარკ დე პრენსი“, შეხვედრის ბოლო წამი და ემილ კოსტადინოვის საბედისწერო დარტყმა...

„ეს იყო ჩემი კარიერის შავი დღე. მეც ისევე დავისაჯე, როგორც სხვები“ — ამბობს დეშამპი.

ბულგარელებთან თავზარდამცემმა წაგებამ ის მოიტანა, რომ დიდი ფეხბურთელები, ერიკ კანტონა და დავიდ ჟინოლა სამუდამოდ ვეღარ ეღირსნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს, ხოლო ჟან პიერ პაპენს მოსაგონებლად 1986 წლის პირველობაღა შემორჩა.

მაღლობა განგებას, რომ დეშამპს ამ თანავარსკვლავედის ბედი აარიდა.

„ჩემი ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი „იუვენტუსში“ გადასვლით გადავდგი. სწორედ ამან განაპირობა მომავალში ბევრი რამ“ — ამბობს კაპიტანი.

კიდევ, დეშამპი ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ ჩატარებულ ორ შეხვედრას ადარებს ერთმანეთს. ამ მატჩებს შორის 8 წელიწადია. პირველი ამხანაგური გახლდათ. ის 1992 წლის აგვისტოში „პარკ დე პრენსზე“ შედგა და სამხრეთ ამერიკელთა გამარჯვებით, 2:0, დამთავრდა. მეორე, 1998 წლის 12 ივლისს, „სტად დე ფრანსზე“ გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი იყო. ფრანგებმა მოიგეს — 3:0.

„როდესაც ჩვენი დღევანდელი ოსტატობა და გამოცდილება მახსენდება, მას ძველს ვადარებ და ისეთსავე განსხვავებას ვხედავ როგორიც დღესა და ღამეს შორისაა“. — ამბობს მსოფლიოს ჩემპიონი, რომელიც კიდევ სამ წელიწადს აპირებს ბურთის თამაშს — „რაც შეეხება კარიერის დარჩენილ ნაწილს, ისევე, როგორც ჩემს მსოფლიოს ჩემპიონ მეგობრებს, მეც მსურს იაპონია — კორეაში, პლანეტის მორიგ პირველობაზე ვითამაშო... თუმცა ყველაფერი ევრო 2000-ზე იქნება დამოკიდებული“.

რევაზ გოგვარი, როიტერი

ლიბერტადორესის თასის გათამაშება

REUTERS ასოციაციიდან

სერო პორტენო — კორინთიანსი 3:0. ბრაზილიელი ვამპეტა (№20) პარაგვაელი გვიდო ალვარენგას წინააღმდეგ

I ჯგუფი

ბელა ვისტა (ურუგვაი) 2:0 მონტერეი (მექსიკა)

1:0 გარეკა (1), 2:0 პილიპუსკასი (36)

ნასიონალი (ურუგვაი) 2:3 მონტერეი (მექსიკა)

0:1 ზინია (4), 1:1 სოსა (26), 1:2 ზინია (31პ), 2:2 სოსა (60პ)ტ 2:3 ერნანდესი (90)

ნასიონალი (ურუგვაი)	5	3	0	2	7:7	9
ესტუდიანტეს დე მერიდა (ვენესუელა)	4	3	0	1	7:7	9
მონტერეი (მექსიკა)	6	2	1	3	10:9	7
ბელა ვისტა (ურუგვაი)	5	1	1	3	4:5	4

ნასიონალი და ესტუდიანტეს დე მერიდა შემდეგ ეტაპზე უკვე გავიდნენ.

II ჯგუფი

ველეს სარსფილდი (არგენტინა) 1:0 კალდასი (კოლუმბია)

1:0 ბუსეინი (50)

რივერ პლეიტი (არგენტინა) 3:0 კალდასი (კოლუმბია)

1:0 პიეი (9), 2:0 სორინი (11), 3:0 კასტილიო (80)

დეპორტივო კალი (კოლუმბია)	4	3	0	1	3:3	9
კალდასი (კოლუმბია)	6	2	1	3	7:6	7
ველეს სარსფილდი (არგენტინა)	5	1	3	1	3:3	6
რივერ პლეიტი (არგენტინა)	5	1	2	2	6:7	5

დეპორტივო კალი შემდეგ ეტაპზე უკვე გავიდა.

III ჯგუფი

სერო პორტენო (პარაგვაი) 3:0 კორინთიანსი (ბრაზილია)

1:0 კაბალერო (20), 2:0 გავილანი (30), 3:0 გაუჩინიო (50)

პალმეირასი (ბრაზილია)	5	2	1	2	10:9	7
სერო პორტენო (პარაგვაი)	5	2	1	2	13:18	7
კორინთიანსი (ბრაზილია)	4	2	0	2	10:7	6
ოლიმპია (პარაგვაი)	4	1	2	1	10:9	5

IV ჯგუფი

კოლო კოლო (ჩილე) 1:0 უნივერსიტარიო (პერუ)

1:0 ურიბე (20)

სპორტინგ კრისტალი (პერუ) 1:1 უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე)

1:0 ოლსეზე (44), 1:1 ბრისუელა (84)

უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე)	5	2	2	1	6:4	8
უნივერსიტარიო (პერუ)	5	2	1	2	6:5	7
კოლო კოლო (ჩილე)	5	2	1	2	4:6	7
სპორტინგ კრისტალი (პერუ)	5	0	4	1	6:7	4

V ჯგუფი

ვილსტერმანი (ბოლივია) 4:2 ემელეკი (ეკვადორი)

0:1 ხუარესი (14), 1:1 სერჯიო ფუაო (17), 1:2 ფერნანდესი (44), 2:2 ეტეროვიჩი (45), 3:2 გალინდო (69), 4:2 სერჯიო ფუაო (71)

ლიგა დე კიტო (ეკვადორი)	4	3	0	1	8:4	9
ემელეკი (ეკვადორი)	5	3	0	2	9:10	9
ვილსტერმანი (ბოლივია)	5	2	1	2	8:8	7
ბლუმინგი (ბოლივია)	4	0	1	3	0:3	1

შენიშვნა: მეორე ეტაპზე ჯგუფებიდან სამ-სამი საუკეთესო კლუბი გადის ლიბერტადორესის თასის ბოლო მფლობელი ბრაზილიის „ვასკო და გამა“ შემდეგ ეტაპზე პირდაპირაა დაშვებული.

სარგბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

საზაფხულო არდადეგები

ხავიერ კლემენტეს დასვენება მოუნდა. ესპანეთის ყოფილი და სევილიის „ბეტისის“ მოქმედი მწვრთნელი კლუბთან კონტრაქტს აღარ გააგრძელებს და სეზონის დასასრულისთანავე დატოვებს კლუბს. არა, კლემენტე სხვაგან გადაბარგებას ნამდვილად არ აპირებს, უბრალოდ იმდენად გადაიღალა სამუშაოთი, რომ კარიერის დასრულება ან დროებით შეწყვეტა დაგაწყვიტა.

— ფეკხბურთში თითქმის მთელი ცხოვრებაა ვმოღვაწეობ. მომბეზრდა საქმე, ასეთ შემთხვევაში კი მირჩევნია დავისვენო. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა ფეხბურთი შევიძულო, მე კი ეს ნამდვილად არ მინდა — განაცხადა კლემენტემ.

როგორ შეხვდა კლუბი მშვრთნელის გადაწყვეტილებას? სიხარულით რომ არა, ცხადია თუმცა „ბეტისის“ ხელმძღვანელობას, ყველასთვის მოულოდნელად მაინცდამაინც დიდი აღშფოთება არ გამოუხატავს. კლუბმა მას წასვლის უფლება მისცა.

ინგლისი

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები
ჰადერსფილდი 1:1 ნორვიჩი

0:1 რასული (3), 1:1 ჰიუზი (83 ს. კ.)

სანდერლენდი	38	25	10	3	74:23	85
იფსვიჩი	38	22	7	9	54:25	73
ბრედფორდი	37	21	7	9	63:38	70
ბირმინგემი	38	19	11	8	59:31	68
ბოლტონი	37	17	13	7	68:50	64
ვულვზი	37	16	11	10	53:37	59
მეფილდ იუნ.	37	15	11	11	60:54	56
უოტფორდი	38	14	13	11	51:50	55
ჰადერსფილდი	39	14	13	12	55:61	55
ვესტ ბრომვიჩი	38	15	8	15	61:59	53
გრიმსბი	36	15	8	13	36:39	53
ნორვიჩი	38	12	14	12	51:52	50
კრ. პალასი	38	12	13	13	52:59	49
ტრანმერი	38	10	16	12	50:51	46
ბარნსლი	38	10	15	13	46:46	45
სტოკპორტი	38	10	15	13	43:47	45
პორტსმუთი	38	10	13	15	49:57	43
სვინდონი	38	10	10	18	51:67	40
ქუინზ პარკი	37	10	10	17	41:47	40
ბერი	38	7	15	16	29:51	36
პორტ ვეილი	37	10	5	22	38:68	35
ოქსფორდი	38	8	11	19	37:62	35
ქრიუ	36	8	9	19	43:63	33
ბრისტოლი	37	5	14	18	45:70	29

საინტერესო ექსპერიმენტი

ლისაბონის „ბენფიკას“ შოტლანდიელი მწვრთნელი გრემ სუნესი სეზონის დასასრულისთანავე დასტოვებს პორტუგალიურ კლუბს.

არავინ იცის, მართალია თუ არა ეს ცნობა, მაგრამ ის ხომ საზოგადოდაა ცნობილი, რომ ყოველ ჭორში სიმართლის მარცვალიც ურევია. პორტუგალიური სპორტული პრესა პარასკევს სუნესის და „ბენფიკას“ გარშემო ბჭობდა.

„ის მიდის — სუნესი პორტუგალიას დასტოვებს“ — წერდა გაზეთი „რეკორდი“.

„ბენფიკას“ და სუნესის ურთიერთობა ამ ზაფხულს მთავრდება. ალბათ დრო იყო“ — ეს სიტყვები პორტუგალიის მეორე გაზეთ „ექსიტიდანაა“.

„ამ ქვეყნად ყველაფერი მთავრდება. დასრულდა სუნესისა და „ბენფიკას“ ურთიერთობაც.

რამ გამოიწვია მოვლენების ასე რადიკალურად შეცვლა? — მოგეხსენებათ, სუნესის მოღვაწეობა ლისაბონურ კლუბში უმეტეგო სულაც არ იყო. შოტლანდიელმა მწვრთნელმა პორტუგალიის ყველაზე ტიტულიანი გუნდი, მანამდე ჭაობიდან თავის დაღწევას რომ ვერ ახერხებდა, საგრძნობლად მოაძლიერა და ამ სეზონში ჩემპიონობისთვის ბრძოლაშიც ჩართო. თუმცა, გუნდმა წაიფორხილა და „ბენფიკას“ ხელმძღვანელობამაც, თითქოს ეს უნდოდაო, შოტლანდიელი მწვრთნელი აითვალწუნა.

— ცუდია, როცა ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდი შინ 0:3 მარცხდება. გამოდის, რომ „ბენფიკას“ სიძლიერე მოჩვენებითი ყოფილა. ცხადია, სუნესის ხელში გუნდი მოძლიერდა, მაგრამ ჩვენ კლუბის დღევანდელი დონე არ გვაკმაყოფილებს — ის არ იძლევა უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლის საშუალებას, სუნესმა კი, როგორც ჩანს, თავისი შესაძლებლობები ამოწურა. ამ შემთხვევაში მისი თანამდებობიდან განთავისუფლება საჭიროდ მიგვაჩნია — ჟოაო ვალე ე აზევედო „ბენფიკას“ თავმჯდომარეა. მან ეს სიტყვები ამ რამდენიმე ხნის წინ, შინ, მეტად პრინციპულ შეხვედრაში „ბოავიშტასთან“ 0:3 წაგებული შეხვედრის შემდეგ თქვა. იმ მატჩის მოგების შემთხვევაში, „ბენფიკას“ ძალიან რეალური შანსი უჩნდებოდა ქვეყნის ჩემპიონობისა, მაგრამ წააგო და ახლა ლიდერ „პორტოს“ ექვსი ქულით ჩამორჩება.

–გრემ სუნესი „ბენფიკაში“ 1997 წლის ნოემბერში გამოჩნდა და ნელ-ნელა ბრიტანელმა ფეხბურთელებმაც ლამის გაავსეს ლისაბონური კლუბი. პორტუგალიაში სუნესისა და „ბენფიკას“ მოულოდნელი გაყრის ერთ-ერთ მიზეზად ამასაც ასახელებენ. სხვათა შორის, ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში კლუბის რამდენიმე პორტუგალიელმა მოთამაშემ ბრიტანელთაგან მძაფრ და უსაფუძვლო კონკურენციაზე დაიწუწუნეს.

ჯერჯერობით გრემ სუნესი კვლავ რჩება ლისაბონის „ბენფიკას“ მწვრთნელად, თუმცა, დედაქალაქურ კლუბს სეზონის დასრულებისთანავე ალბათ მაინც დატოვებს. ვინ მოვა მის ნაცვლად? კლუბს ოფიციალურად არაფერი განუცხადებია, მაგრამ ჟურნალისტებს რას გამოაპარებ. გაზეთი „რეკორდი“: „უახლოეს მომავალში გუს ჰიდინკი „ბენფიკას“ წარმომადგენლებს შეხვდება. საუბარი ჰოლანდიელი მწვრთნელის პორტუგალიურ კლუბში გადასვლას შეეხება“.

ჰიდინკი? საინტერესო ვარიანტია. ჰოლანდიელი მწვრთნელი დღესდღეობით უმუშევარია.

ირაკლი ილაშვილი

სარგბიელის არქივიდან

საით მიდის ჰიდინკი?

სპერბოლი

ქითაგურ პასუხები

— *ფეხბურთზე არ მიდიხარ?*

— არა, აქ უფრო საჭირო ვარ.

— *აქ რა საჭირო ხარ? წამო, დაიყვირებ, ერთი ხმაც შეგვეშველება, ეგეგ წამოვაქციოთ ეგ სლოვენია.*

— სტადიონზე არა ვარ საჭირო. აქედან უფრო მოგეხმარებით.

— *რით მოგვეხმარები? ტელევიზორშიც არ არის... პირდაპირ.*

— ჩემი შელოცვებით.

— *ეგ რა მოიგონე ახალი?*

— რა მოვიგონე? მთელი მსოფლიო შელოცვებზეა გადასული.

— *შელოცვა რაში გამოადგება ფეხბურთს?*

— დღეს ფეხბურთი შეულოცველად აღარ გამოდის. აი, ინგლისს რომ ქალბატონი აილენი ჰყოლოდა...

— *აჰ, შენ ჰოდლის ძმაკაცი ყოფილხარ.*

— ჰოდლის ძმაკაცი კი არა თვითონ ჰოდლი ვარ. ოღონდ ხანდახან.

— *ეგ როგორ?*

— პარალელურ სამყაროში ჰოდლი ვარ. უკვე ორჯერ ვიყავი.

— *როდის და როდის?*

— ერთხელ თბილისში რომ ჩამოვედი და მეორედაც თბილისში რომ ჩამოვედი. პირველად მოთამაშე ვიყავი, მეორედ მწვრთნელი.

— *მაშ, შენ კაცი არა ყოფილხარ.*

— რატომ?

— *თუ ჰოდლი იყავი და თან ქართველი, ჩვენებს ვერ მოაგებინე? ესესერის კაპიტანი ჩივაძე არ იყო?*

— მაშინ რაღა ჰოდლი ვიქნებოდი. თანაც, მე ხომ არ ვიცოდი რომ ქართველი ვარ? მერე გავიგე, აილენს რომ დავუკავშირდი.

— *რაღაც აბდაუბდას ლაპარაკობ.*

— სტადიონზე რომ ოჯდები, ჩემზე იფიქრე. ჩვენ პენალტს გავიტანთ.

— *და წინა ცხოვრებაში ვინ იყავი?*

— ჯავახარლალ ნერუ.

— *მაგას რა კავშირი აქვს ფეხბურთთან?*

— სამაგიეროდ მე მაქვს კავშირი. ტყუილად კი არ დავდივარ კურსებზე.

— *რის კურსებზე?*

— საფეხბურთო შელოცვების.

— *შენ რონალდოს რა უნდა შეულოცო ისეთი, რომ გააჩერო?*

— აი, სულელი. უკვე შევულოცე და შედეგმაც არ დააყოვნა. საიდუმლოს გიმხელ — სიმეონესაც მე შევულოცე.

— *რა?*

— გოლი არ ჩავუთვალე და დავამტვრიე. მეტი რაღა გინდა?

— *შენი ყოფილა ეს ქვეყანა. ახლა რაზე მუშაობ?*

— ახლა ზიდანზე ვმუშაობ.

— *რა დაგიშავა ამ წესიერმა ახალგაზრდამ?*

— რა უნდა დაეშავებინა. ახლობელს ფული აქვს დადებული, „მანჩესტერ“ — „ბაიერნის“ ფინალზე და იმან მთხოვა.

— *ვერა ყოფილხარ კაი კაცი.*

— კაი კაცი ვარ თუ რა, „იუვენტუსი“ თერთმეტი კონტეთი გამოვა მოედანზე.

— *კონტე?*

— ჰო, კონტე. კონტე ხომ ცუდი ზიდანია.

— *ბირინდელიც იქნება.*

— ბირინდელი ცუდი კონტეა.

— *დი ლივიო?*

— დი ლივიო უცუდესი ბირინდელია.

— *ხუანი?*

— ეშმაკი ხუანი?

— *დიახ.*

— რაც კი რამე საზიზღარი, პიპინია ბიძია, ეს არის ხუან ედუარდო ესნაიდერი. ესნაიდერი არის, სარკეების ოთახში რომ ბატისტუტა შეეყვანო და იმ დაბრეცილ სარკეში ჩაახედო.

— *და გაზა?*

— გაზაც არ არის მძინარე მზეთუნახავი.

— *და შელოცვის ამბავში?*

— შესალოცი არ არის, უფრო გამოსალოცია.

— *მერე?*

— ყველაფერს ერთბაშად ვერ გავწვდები. ახლა ზიდანზე ვმუშაობ.

სლოვანის ალექსანდრ ხორვატი მეშვიდე ცაზეა

თასების მფლობელთა თასი

IX გათამაშება **1968-69 წლები**

სლოვანი

ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია

სოლომონ ყულიბაშვილი

Cup Winners' Cup

სრული ისტორია

ამბავი მამაცი ბრატისლაველებისა

1968 წლის გაზაფხულზე საბჭოთა ტანკები ჩეხოსლოვაკიაში შეგრიხინდნენ და თავისი ჯარისკაცებითურთ იქ დიდი ამბები დაატრიალეს. პოლიტიკოსები (და არა მარტო პოლიტიკოსები) ხშირად ამბობენ, სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთთან არაფერ შუაშიაო, მაგრამ ერთია იდეოლოგია და მეორე რეალობა.

ამ გათამაშებას პოლიტიკური ფონი თავიდანვე დაჰყვა და ბოლომდე არ მოსცილებია. „პრაღის გაზაფხულმა“ თავისი საქმე გააკეთა. 1968 წლის 10 ივლისს ჟენევის სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ ჩვეულებრივი წილისყრა გაიმართა. მოწინააღმდეგეები დააწყვილეს და ერთი სიახლეც შეიტანეს: გუნდებს მატჩის განმავლობაში ორი ფეხბურთელის შეცვლის უფლება მიეცათ. დადგინდა მატჩების გამართვის თარიღებიც. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ...

დასავლეთ ევროპის კლუბებმა მთავრობების ზეწოლით, უეფაში თავისი არგუმენტები წარადგინეს. მათი აზრით, ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს ერთად არაფერი ესაქმებოდათ და განმეორებითი წილისყრა მოითხოვეს, რომლის მიხედვითაც, აღმოსავლეთ ევროპის გუნდები ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ. უეფა დაყაბულდა და კენჭისყრის პირვანდელი ვარიანტი შეცვალა. ეს ამბავი რომ გაიგეს, აღმოსავლეთის ბლოკმა პირი შეკრა და ევროთასებს ბოიკოტი გამოუცხადა: მოსკოვის „დინამომ“, სოფიის „სპარტაკმა“, ბერლინის „უნიონმა“ და ზაბეჟს „გურინიკმა“ თასთა თასზე მონაწილეობაზე უარი თქვეს.

4 სექტემბერს აღმოსავლური ბლოკის ლიდერმა, საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ უეფას წერილი გაუგზავნა, სათაურით: „ჩაწყობა კენჭისყრის მაგიერ“, სადაც წერდა: „შეცვალა რა კენჭისყრის შედეგები, თქვენმა საგანგებო კომიტეტმა თავისი სრულუფლებიანი წევრების მიმართ დისკრიმინაციული გადაწყვეტილება მიიღო. ეს ფიფასა და უეფას წესდების უხეში და უპრეცენდენტო დარღვევაა. სსრკ-ის ფეხბურთის ფედერაცია პროტესტს აცხადებს ასეთი ქმედების გამო და იმედოვნებს, რომ ევროპული ფეხბურთის ხელმძღვანელები თავის გადაწყვეტილებას გადახედავენ“.

უეფამ ყურადღება არ მიაქცია აღმოსავლელების პროტესტს და არც გადაწყვეტილება შეუცვლია. შედეგად, 20 სექტემბერს, საბჭოეთის ფეხბურთის ფედერაციამ შემდეგი ინფორმაცია გაავრცელა: „უეფამ არ დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა და თავის აზრზე დარჩა. ეს სხვა არაფერია, თუ არა სპორტში რეაქციული პოლიტიკური ტენდენციების შემოტანა. საბჭოთა სპორტული საზოგადოება გმობს ამას და აცხადებს, რომ მისი წარმომადგენლები ჩემპიონთა თასზე (კიევის „დინამო“) და თასების თასზე (მოსკოვის „დინამო“) წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობას არ მიიღებენ. ფედერაცია მთელ პასუხისმგებლობას იმ ვაიპოლიტიკოსებს აკისრებს, რომლებიც სპორტულ პრინციპებს უარყოფენ და მაქინაციების ცდუნებას აჰყოლიან“.

საბჭოელები ამტკიცებდნენ, რომ სოცბანაკმა დახმარების ძმური ხელი გაუწოდა კონტრრევოლუციის ალში გახვეულ ჩეხოსლოვაკიელ ხალხს. კაპიტალისტებმა კი ვერ გაუგეს და ბინძურ თამაშს მიჰყვეს ხელი... რა და როგორ იყო, დღეს საიდუმლო აღარავისთვისაა.

უარისმთქმელ გუნდებს მოგვიანებით უნგრეთის წარმომადგენელიც შეემატა. არ ჩატარდა ბუქარესტის „დინამოსა“ და დიორის „ეტოს“ მატჩები. უნგრელების უარმა რუმინელები შემდგომ ეტაპზე გაიყვანა. ჩეხოსლოვაკიელებს კი, როგორც სჩვევიათ, მენტალიტეტს არ უღალატეს, გათამაშებაშიც ჩაებნენ და თავის ისტორიაში ერთადერთი თასების თასიც მოიგეს. ბრატისლავის „სლოვანმა“ ფინალში მრავლისმნახველი „ბარსელონა“ დაამარცხა და ვერცხლის თასი დამსახურებულად წაიღო სლოვაკეთის დედაქალაქში.

ჩეხოსლოვაკიელების ფინალში გასვლა ისედაც მოულოდნელობად აღიქმებოდა. შვეიცარიულ ბაზელში კი, გადამწყვეტ მატჩში ისინი „ბარსას“ უნდა დაპირისპირებოდნენ. კატალონიელებს ამ დროისათვის სამჯერ (1958, 1960, 1966) ბაზრობათა თასი (დღევანდელი უეფას თასი) მოეგოთ და ერთხელაც (1961) ჩემპიონთა თასის ფინალი ჰქონდათ ნათამაშები. ასე რომ, წყვილის აშკარა ფავორიტად ყველა „ბარსას“ მიიჩნევდა. ბაზელში ჩასვლისას კატალონიელთა მწვრთნელმა არტიგასმა თქვა: „ჩვენ რეალურად ვაფასებთ სიტუაციას და ამიტომ ვფიქრობთ, რომ გავიმარჯვებთ“. საქმეში ჩახედული ხალხი იმასაც ამბობდა, ბრატისლაველებს ახალგაზრდული გუნდი ჰყავთ და ამიტომ უფრო აგრესიულები იქნებიანო.

„სლოვანის“ ლიდერები ტყუპი ძმები იოჟეფ და იან ჩაპკოვიჩები იყვნენ. იმხანად ტყუპებს 21 წელი შესრულებოდათ და დიდი ამაგი მიუძღვოდათ გუნდის წარმატებაში. იოჟეფი თავიდან მარჯვენა შემტევად თამაშობდა, მერე ნახევარდაცვაში, ბოლოს კი დაცვის ცენტრში გადაიყვანეს. აქ იპოვა თავისი ადგილი და კლუბისა თუ ნაკრების ისტორიაში დიდი სახელიც დაიგდო. მისი კარიერის საუკეთესო მატჩად 1976 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჰოლანდია — ჩეხოსლოვაკიის ნახევარფინალი ითვლება. მაშინ იოჟეფმა ფეხი არ გაანძრევინა სახელოვან იოჰან კრუიფს, რამდენიმე დღეში კი კონტინენტის ჩემპიონიც გახდა. ტყუპისცალი იანი გამოკვეთილი ფორვარდი გახლდათ და „ბარსასთან“ მესამე გადამწყვეტი გოლიც მის ანგარიშზეა.

ფინალში ორივე გუნდმა 4-4 თავდამსხმელით ითამაშა. „სლოვანს“ წინა ხაზზე ცვეტლერი, მოდერი, იოკლი და იან ჩაპკოვიჩი ჰყავდა, „ბარსას“: კასტრო, სალდუა, ფუსტე და რექსაჩი. უკვე 45-ე წამზე მაყურებლებმა პირველი გოლი იხილეს. ცვეტლერი მოწინააღმდეგის საჯარიმოში შეიჭრა და ათი მეტრიდან ბურთი სადურნის კარის ბადეში გაახვია. ესპანელები დაიბნენ, სლოვაკებმა კი შეტევებს უმატეს. თუმცა მე-15 წუთისთვის „ბარსას“ სწრაფი კონტრშეტევა გამოუვიდა და სალდუამ რიცხობრივი თანაფარდობა აღადგინა.

ბრატისლაველები ამას არ შეუშინებია. „სლოვანი“ თითქმის მთელი გუნდით გადავიდა შეტევაზე. ჯერ მცველმა ხრივნაკმა, მერე ძმის გადაცემით იან ჩაპკოვიჩმა ანგარიში 3:1 გახადეს. „ბარსამ“ მხოლოდ ერთი გოლითღა უპასუხა. როგორც თავად ამბობდნენ, ჩეხოსლოვაკიელებს წმინდა იაკობიც დაეხმარა (ასე ჰქვია ბაზელის სტადიონს) და „სლოვანი“ სოცბანაკის პირველი წარმომადგენელი გახდა, ევროთასის მოგება რომ შეძლო.

ბრატისლავაში გუნდს დიდებული შეხვედრა მოუწყვეს. მთელი ქალაქი ზეიმობდა. როცა თასშემართული მეგოლე კაროლ იოკლი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობიდან გამოვიდა, ცენტრალური მოედანი ოვაციებისგან კინაღამ დაინგრა.

მწვრთნელი მიხალ ვიჩანი პატარა ბავშვივით ხარობდა. „დიდი მოუსვენარი“, ასე ეძახდნენ ვიჩანს, გუნდში ერთი წლის მისული იყო და დროის ამ მონაკვეთში მოახერხა შემადგენლობის გაახალგაზრდავება და ახალი სათამაშო კონცეფციების დანერგვა. ბრატისლავაში ვიჩანს დღესაც ლეგენდარულ ადამიანად მიიჩნევენ.

საერთოდ, „სლოვანს“ მეტად საინტერესო ისტორია აქვს და ეს წარმატებაც, ალბათ, შემთხვევითი არ ყოფილა. სხვადასხვა წლებში გუნდში ბევრ ევროპული დონის ფეხბურთელს უთამაშია. მეკარე ვილიამ შროიფმა 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიბრწყინა და სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. იან პოპლუჰარმა 1963 წელს ფიფას ნაკრებში ითამაშა ინგლისელების წინააღმდეგ.

1976 წლის ევროპის ჩემპიონების, ჩეხოსლოვაკიის ნაკრების კაპიტანი ანტონ ონდრუში კლუბის სიმბოლო და დღევანდელი პრეზიდენტია, ხოლო იოჟეფ ვენგლოში, „სლოვანის“ ყოფილი კაპიტანი, შემდეგ სახელოვანი მწვრთნელი გახდა და თავისი ქვეყნის ნაკრების გარდა, ლისაბონის „სპორტინგსა“ და ინგლისის „ასტონ ვილას“ წვრთნიდა.

სლოვანი ფინალური მატჩის წინ. მარცხნიდან: ხორვატი, ვენცელი, მოდერი, ფილო, ცვეტლერი, იოკლი, იან ჩაპკოვიჩი, იოჟეფ ჩაპკოვიჩი, ხრდლიჩკა, ხრივნაკი, ზლოპა

10 ივლისის კენჭისყრის ნაწილები, რომლებიც შემდგ გაუქმდა

ბორდო (საფრანგეთი) — სპარტაკი (ბულგარეთი); ალთაი (თურქეთი) — გურნიკი (პოლონეთი); უნიონი (გდრ) — ბორი (იუგოსლავია); ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — დინამო (მოსკოვი, სსრკ)

პირველი წრე

ბრიუგე (ბელგია) — **ვოლტ ბრომვიჩ ალბიონი** (ინგლისი) 3:1, 0:2; **რანდერსი** (დანია) — შემროკ როვერსი (ირლანდია) 1:0, 2:1; ალთაი (თურქეთი) — **ლიუნი** (ნორვეგია) 3:1, 1:4; რუმელანჟი (ლუქსემბურგი) — **სლიმა უონდერერსი** (მალტა) 2:1 (ეში), 0:1; ბორდო (საფრანგეთი) — **კიოლნი** (გფრ) 2:1, 0:3; **სლოვანი** (ჩეხოსლოვაკია) — ბორი (იუგოსლავია) 3:0, 0:2; **დანფერმლაინი** (შოტლანდია) — აპოელი (კვიპროსი) 0:1, 2:0; **პარტიზანი** (ალბანეთი) — **ტორინო** (იტალია) 1:0, 1:3; კარდიფ სიტი (უელსი) — **პორტუ** (პორტუგალია) 2:2, 1:2; **კრუზეიდერსი** (ჩრდ. ირლანდია) — **ნორკიოპინგი** (შვედეთი) 2:2, 1:4; ლუგანო (შვეიცარია) — **ბარსელონა** (ესპანეთი) 0:1, 0:3; **დინ ჰაგი** (ჰოლანდია) — **გრაცერი** (ავსტრია) 4:1, 2:0; **ოლიმპიაკოსი** (საბერძნეთი) — **ფრამი** (ისლანდია) 2:0 (ათენი), 2:0 (სალონიკი); **დინამო** (ბუქარესტი, რუმინეთი) — **ეტო** (უნგრეთი) +/- ეტომ თამაშზე უარი განაცხადა

მერვედფინალი

ლიუნი — ნორჩოპინგი 2:0, 2:3; **დენ ჰაგი** — **კიოლნი** 0:1, 0:3; **პორტუ** — **სლოვანი** 1:0, 0:4; **დანფერმლაინი** — ოლიმპიაკოსი 4:0, 0:3; **დინამო** — **ვოლტ ბრომვიჩი** 1:1, 0:4; **რანდერსი** — სლიმა უონდერერსი 6:0, 2:0;
ტორინო და ბარსელონა მერვედფინალიდან თავისუფლები იყვნენ

მეოთხედფინალი

დანფერმლაინი — ვოლტ ბრომვიჩი 0:0, 1:0 (ვარდერი)
ლიუნი — **ბარსელონა** 2:3 (ბარსელონა) (ბერგი, ოლსენი; სალდუა, ჰელისერი, ვალიუგო), 2:2 (ოიანსენი 2; ჰელისერი, ვალიუგო)
ტორინო — **სლოვანი** 0:1 (იოკლი), 1:2 (კარელი; ხორვატი, ხლავენა)
კიოლნი — **რანდერსი** 2:1 (ენდერსენი, ბისკუპი; გორდსეი), 3:0 (ბისკუპი, რიული 2)

ნახევარფინალი

კიოლნი — **ბარსელონა** 2:2 (ლიორი, რიული; სადალსა, ფუსტე), 1:4 (რიული; მარტი ფილოსია, ფუსტე 3)
დანფერმლაინი — **სლოვანი** 1:1 (ფრეზერი; იან ჩაპკოვიჩი), 0:1 (იან ჩაპკოვიჩი)

ფინალი. ბაზელი. 21 მაისი. 19 478 მაყურებელი

სლოვანი 3:2 ბარსელონა

1:0 ცვეტლერი (1), 1:1 სალდუა (15), 2:1 ხრივნაკი (30), 3:1 იან ჩაპკოვიჩი (42), 3:2 რექსაჩი (51)

სლოვანი: ვენცელი, ზლოპა, ხრივნაკი, ხორვატი, ფილო, ხრდლიჩკა, ცვეტლერი, მოდერი (ბიზონი 67), იოჟეფ ჩაპკოვიჩი, იოკლი, იან ჩაპკოვიჩი

ბარსელონა: სადურნი, ფრანკი (ჰერედა 11), ელადიო, რიფე, ოლივეელია, სადალსა, ჰალისერი, კასტრო (ხორხე მენდოსა 46), სალდუა, ფუსტე, რექსაჩი

მსაჯი: ვან რავენსი (ჰოლანდია)

21 ტური

ანონსი

27 მარტი. ვერის ბაღი. 11 საათი
ᲙᲝᲚᲮᲐ — ᲓᲘᲜᲐᲛᲝ

27 მარტი. ვერის ბაღი. 12. 30 საათი
ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ — ᲛᲐᲙᲐᲑᲘ

27 მარტი. ვერის ბაღი. 14 საათი
ᲡᲢᲣ — ᲗᲡᲣ

27 მარტი. ვერის ბაღი. 15. 30 საათი
ᲐᲡᲙ — ᲐᲖᲝᲢᲘ

27 მარტი. ვერის ბაღი. 17 საათი
ᲕᲘᲗᲐ — ᲡᲓᲐᲡᲣ

წინა უქმეებისგან განსხვავებით, ამ შაბათ-კვირას ვერის ბაღში მოსულთ უფრო საინტერესო და დაძაბული მატჩების ხილვა ელით. ერთადერთი, სადაც საკამათო არაფერია და გამარჯვებული წინასწარ არის ცნობილი, „აზოტისა“ და ასკ-ის შეხვედრაა. მწვრთნელგამოცვლილი არმიელები ნაღდად წასაგებად აოიან განწირულნი და მათი თავგამოდება ერთპიროვნულ ლიდერს არად უღირს.

„კოლხა“ — „დინამო“, ეს ორი ახალგაზრდა გუნდი, აქამდე ერთმანეთს ორჯერ დაუპირისპირდა და ორჯერვე დინამოელებმა იმარჯვეს. არც ახლა გვგონია, სოხუმელებმა, რომელთაც წამყვანი მოთამაშეები აკლიათ, რაიმე დააკლონ მეტოქეს, მით უმეტეს, რომ მოსეშვილის ბიჭები ძალ-ღონესაც არ უჩივიან და არც რაიმეს უბრძოლველად დათმობის ხასიათზე არიან.

წინა ტურში „შევარდენმა“ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ექვსგზის ჩემპიონ „ვითას“ და ახლა მისებრ ცხრილის ბოლოში მოქცეულ „მაკაბისთან“ ორი ქულის გახერხებას ელტვის. თუმცა გულხელდაკრეფილი არც „მაკაბი“ იქნება. შორიდან მსროლელ შევარდნებს ტყუპი ბერიშვილები და ფარზე ბატონ-პატრონობის მოტრფიალე ფერიაშვილი შეეწინააღმდეგებიან. ჰოდა, ერთ ბედქვეშ მყოფთა ჯახი მეტად დაძაბული იქნება. ვინ იმარჯვებს, ამას თავად მატჩი მოჰ ფენს ნათელს.

22 ტური

ანონსი

28 მარტი. ვერის ბაღი. 11 საათი
ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ — ᲐᲡᲙ

28 მარტი. ვერის ბაღი. 12. 30 საათი
ᲗᲡᲣ — ᲙᲝᲚᲮᲐ

28 მარტი. ვერის ბაღი. 14 საათი
ᲐᲖᲝᲢᲘ — ᲡᲓᲐᲡᲣ

28 მარტი. ვერის ბაღი. 15. 30 საათი
ᲛᲐᲙᲐᲑᲘ — ᲡᲢᲣ

28 მარტი. ვერის ბაღი. 17 საათი
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ — ᲕᲘᲗᲐ

დღეს თუ კაცი კალათბურთისთვის მოიცლის და ეროვნული ჩემპიონატის მატჩებისთვის თვალის შევლებას გადწყვეტს, იცის, რომ ვერის ბაღს უნდა მიაკითხოს და ისიც მხოლოდ შაბათ-კვირას. მავანი კალათბურთის მუდმივი მუშტარია, მავანი კი საყვარელ ბურთაობას დანატრებული, ვინძლო ჩვენს კალათბურთშიც გამოგაზაფხულდაო, იმედიანად რომ გადააბიჯებს დარბაზის ზღურბლს. დასაჯდომ ალაგს შეიგულებს, სკამს მტვერს გადააცლის, მოკალათდება და...

— თამაში გადადებულია, თარიღს მოგვიანებით გაცნობებთ — რიხიანად დასჭექს მატჩის უსტაბაში. რაღა ჩარაა, სხვა გზას უნდა ეწიო...

ასეა, ჩაბნელებულ დარბაზში თამაშს ხშირად უარობენ გუნდები. დგანან და საათობით შეჰყურებენ ნათურებს. ამაოდ...

კაცმა არ იცის, ხვალ-ზეგ რა იქნება. თუ ბედმა გაგვიღიმა და შუქი იყო, ქომაგს თვალსასეიროდ არ მოაკლდება. კვირა დღის შეხვედრებმა ბევრ კითხვას უნდა გასცეს პასუხი.

გათამაშების ლიდერს, რუსთავის „აზოტს“, პლეი ოფში მოხვედრა ამთავითვე რომ გაუნაღდებია, სდასუ-ს ბარიერი აქვს დასაძლევი. ამ გუნდების შეხვედრას პრინციპულობა არასოდეს ჰკლებია. ასე იქნება ახლაც. სდასუელებს დასაკარგი არაფერი აქვთ. ჯერჯერობით ფინალურ ოთხეულს მიღმა მდგომთ შარშანდელი ბრინჯაოს გემოც კრაგად ახსოვთ და უეჭველია, კვლავაც პრიზიორთა მარაქაში გასარევად იბრძოლებენ.

ამისათვის კი სტუდენტებმა ძალიან უნდა მოინდომონ. გუნდის ლიდერ დავით თორთლაძეს დანარჩენებმაც მხარი უნდა აუბან, თორემ... რაც არ უნდა იყოს, მრისხანე „აზოტთან“ წარმატების მიღწევა მაინც გაუჭირდებათ. ოთარ ხმელიძის გუნდი თავიდანვე ჩემპიონობის რეალურ კანდიდატად ითვლებოდა და ცხრილის სათავეში ყოფნით კიდევაც ამართლებს გაცემულ ავანსებს.

ოჰო, „დინამო“ — „ვითა“. აბა, აქ წავა ჭიდილი. ექვსგზის ჩემპიონები ბოლო ხანს მართლაც ძლიერად ათამაშდნენ, თუმცა დინამოელთა ბურთაობაც ვერ დატოვებს კაცს გულგრილს. ლევან მოსეშვილის ზონური დაცვისა და სწრაფი შეტევების ტრფიალი გუნდი ზურაბ ტომარაძის გამართული მექანიზმის წინააღმდეგ. საინტერესოა. „დინამოს“, ალბათ, კვლავ არ ეყოლება ტრავმირებული ირაკლი ხოშტარია. ჰოდა, მაისურაძეს, კილაძეს, ნიკოლაძესა და შანიძეს მართებთ თავის გამოდება. „ვითა“ კი, ვფიქრობ, ყველაზე თანაბარძალოვნად დაკომპლექტებული გუნდია მერვე ეროვნულში. თითოეულ მოთამაშეს შეუძლია, გადაწყვიტოს მატჩის ბედი.

დაძაბულობა არც „შევარდენი“ — ასკ-ს შეხვედრას მოაკლდება. მართალია, სანახაობრივად ზემოჩამოთვლილი მატჩების დარი ვერ იქნება, მაგრამ პრინციპულობით, იცოცხლეთ, არანაკლებია. ცხრილის ფსკერზე გამეზობლებულნი რვა უძლიერესში შეღწევას ლამობენ და როგორ ფიქრობთ, რამეს დაუთმობენ ერთმანეთს?

ოცდამეორე ტურის დანარჩენ თამაშებში სადაო არც არაფერია. ქარაბაკშემატებული თსუ გაცილებით მაღლა დგას სოხუმის „კოლხაზე“. კიდევ ერთი სტუდენტური კლუბი სტუ კი, მეორე ადგილზე რომ მოკალათებულა, „მაკაბის“ ძლევით პოზიციების შენარჩუნებას გეგმავს.

ახლა მთავარია, მოთამაშე-მაყურებელნი კვლავაც დენმა არ დაგვალატოს...

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲘᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲟᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘ: ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲯᲕᲐᲠᲝᲡᲜᲔᲑᲘ

REUTERS სტამბოლიდან

ეფესი — ჟალგირისი. ამერიკელი ტაიუს ედნის (ბურთით) კარგმა თამაშმა ჟალგირისელები „ოთხთა ფინალში“ გაიყვანა

კაუნასის „ჟალგირისმა“ შარშან ევროპის საკლუბო თასი (ახლანდელი საპორტას თასი) მოიგო. ევროლიგის წინასწარი ეტაპიც თავის ჯგუფში პირველ ადგილზე დასრულა. მერვეფინალში სოლიდურ „ულქერს“ მოუგო. მიუხედავად ამისა, საკალათბურთო ევროპა მაინც ეჭვის თვალით უყურებდა ლიტველებს — ევროლიგის დებიუტანტია, გამოცდილება აკლია და შორს ვერ წავაო. მეოთხედფინალშიც ძლიერი მეტოქე ჰყავდა — თურქეთის, იუგოსლავიისა და მაკედონიის რჩეული მოთამაშეებით სავსე „ეფესი“. პირველი მატჩი, კაუნასში, „ჟალგირისმა“ ერთი ქულით, არცთუ დამჯერებლად მოიგო და ოპონენტებმა მთლად გაილაღეს — ნახეთ, თურქები სტამბოლში რა დღეს დაყრიანო...

სტამბოლში მართლაც დადგა შავი დღე, ოღონდ — „ეფესისთვის“. 11 ათასი შმაგი მაყურებლის ღრიალით გამხნევებული მასპინძლები თავიდანვე ეკვეთნენ ჟალგირისელებს და რიგიანადაც დაწინაურდნენ, მაგრამ, სასტარტო ეიფორიამ ჩაიარა და გაიკვა, რომ ეფესელები, ფაქტობრივად, ერთი კაცის — პეტარ ნაუმოსკის იმედად იყვნენ. დანარჩენები კი ბევრს ვერაფერს აკეთებდნენ: თურქჯანი ტრავმით თამაშობდა, სავიჩი — ელემენტარულ შეცდომებს უშვებდა, ბეშოქი კი მხოლოდ ბურთის მოსნისიას ვარგოდა. „ჟალგირისი“ კი ნელ-ნელა გონს მოდიოდა — ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ნათამაშევმა გამთამაშებელმა ტაიუს ედნიმ შეტევაში პასების რიგიანი განაწილება დაიწყო, ეურელიუს ჟუკაუსკასი ფარქვეშ გაიბიტა და, დროდადრო, ირეკი ზიდეკისგანაც გრძნობდა მხარდაჭერას, სალიოს შტომბერგასს კი თავისუფლად მოძრაობის და, შესაბამისად, სროლის საშუალება მიეცა. ტაიმი მაინც „ეფესმა“ მოიგო (33:32), მაგრამ აშკარა იყო, მეორე ნახევარი სხვაგვარი იქნებოდა.

ასეც მოხდა. რამდენიმე წუთს თამაში კიდევ თანაბარი იყო, მერე კი სცენაზე ტაიუს ედნი გამოვიდა. ამ ჩია ზანგმა მთლად აიკლო და გაამასხრა თურქთა დაცვა. მის მეურვე ნაუმოსკის დაცვაში თამაშის თავი აღარ ჰქონდა, რადგან შეტევაში ყველაფერი მის კისერზე გადადიოდა. ედნიმაც რამდენიმე დიდებული გარღვევა მოაწყო. შემდეგ მის დასაჭერად სარიჯამ გამოიდო თავი — ეს თურქი მთლად გაბითურდა. მერე ედნიმ სხვა თანაგუნდელებზეც იზრუნა და რამდენიმე პასიც ჩამოარიგა (სულ მატჩში 10, ხოლო მთლიანად „ეფესმა“ — 9). ბოლო სამი წუთი ფორმალობად იქცა. ორივე გუნდის მოთამაშეები იდგნენ და ბურთის იატაკზე ტყაპუნით სირეინას ელოდნენ. „ჟალგირისმა“ მარგო და „ოთხთა ფინალიც“ — გადიდა. ბოლქები კი მუთუნეკ, შეეცადნენ ამ ეტაპზე, ანუ მეოთხედფინალში.

იქ ლიტველების მეტოქე ბერძნული „ოლიმპიაკოსი“ იქნება. ამისთვის პირველსელებს ფრანგული „ვილერბანის“ ორჯერ ძლევა დასჭირდათ. შინ 13 ქულით მოიგეს, გასვლაზე კი შედარებით გაუჭირდათ. არცთუ ძლიერი, მაგრამ მებრძოლი მოთამაშეებით დაკომპლექტებულმა „ვილერბანმა“ თავიდანვე შეუტია. ბრწყინვალე იყო მათი ამერიკელი დარენ ჰენრი, რომელმაც პირველ ტაიმში 21 ქულა გააკეთა. თუმცა, ეს უფრო მარტოკაცის ომი იყო, რადგან „ოლიმპიაკოსმა“, ამ კარგად აწყობილმა მექანიზმმა, ტაიმი 48:45 მოიგო.

მეორე ტაიმის მესამე წუთამდე ანგარიში თანაბარი იყო. მერე ბერძნები 53:51 დაწინაურდნენ და ლიდერობა ბოლომდე არ დაუთმიათ. მათი სული და გული ხორვატი არიან კომაზეცი იყო. ამ კაცმა ზედიზედ გაისტუმრა მოედნიდან პალმერი და პერსევო, ხოლო ჰენრის და სონკოს ოთხ-ოთხი პერსონალური „გაუხერხა“. ხერხემალგადატეხილმა „ვალერბანმა“ ბოლომდე ვაჟკაცურად ითამაშა, მაგრამ თავს ზემოთ ვეღარ გადახტა.

ევროლიგის ფავორიტის, ათენის „პანაითაიკოსის“ გამომძევებელმა იტალიურმა „ტიმსისტემმა“ ევროპის ერთ-ერთი უტიტულოვანესი კლუბი, მადრიდის „რეალიც“ გამოაპანღურა. ბოლონიელებმა შინ, პირველ მატჩში 27 ქულით დაარბიეს ესპანელები და არც გასვლაზე დააკლეს ხელი. „რეალი“ პირველი ტაიმის შუაწელამდე წინ იყო. მერე „ტიმსისტემმა“ გაუვალი ზონური დაცვა დააყენა და უპირატესობაც გადაიბარა. ტაიმი ოთხი ქულით (36:32) მოიგო და მკაცრი დაცვა არც მერე შეუსუსტებია. „რეალმა“ ვერაფრით იპოვა სასურველი თამაში და ვერც მარკო ლაცის-იარიჩი შეაჩერა. ბოლო წუთებში მადრიდელებს ხუთ-ხუთი პერსონალურის გამო ამერიკელი ტანოკა ბერდი და ბელგიელი ერიკ სტრიულენსი გაუგდეს. ესენი კი ისე გაცოფდნენ ამის გამო, რომ ჯერ საშინელი გინება ატეხეს, მერე კი მეტოქეებს დაუწყეს გაქაჩვა.

„ოთხთა ფინალის“ დარჩენილი ერთი საგზურის ბედი კი მომავალ ხუთშაბათს გადაწყდება ფრანგულ ქალაქ პოში. ევროლიგის შარშანდელმა გამარჯვებულმა, იტალიურმა „კინდერმა“ ორი დღის წინ რვა ქულით (59:67) წაგებული მატჩი 18 ქულით კი გაუქვითა „პო ორტეზს,“ მაგრამ სერიის გამარჯვებულის ხელაღებით დასახელება შეუძლებელია. ბოლონიურ მატჩში კი, მასპინძელმა „კინდერმა“ მეორე ტაიმში იმძლავრა. შესვენებაზე ფრანგები ორქულიანი უპირატესობით წავიდნენ (45:43), შემდეგ კი თანამოძმემ დალუპათ — ანტუან რიგოდომ თითქმის ყველა ნასროლი ჩაგდო და „კინდერს“ შარშანდელი წარმატების გამეორების შანსიც შეუნარჩუნა.

ᲙᲐᲮᲐ ᲮᲣᲠᲪᲘᲫᲔ

ᲔᲕᲠᲝᲚᲘᲒᲐ. ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲐᲢᲩᲘ. 25 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲔᲤᲔᲡᲘᲡ 70:84 ᲟᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘ

(სერია 0:2)

ეფესი: აიდინი (3), ბეშოქი (12), დრობნიაკი (1), ევლიაოღლუ (2), ნაუმოსკი (28), სარიჯა (12), სავიჩი (9), თურქჯანი (3)

ჟალგირისი: ადომაიტისი, ბოუი (12), ედნი (20), მასჩულისი (5), მასკოლიუნასი (3), შტომბერგასი (14), ზიდეკი (8), ე. ჟუკაუსკასი (15), მ. ჟუკაუსკასი (7)

ᲠᲔᲐᲚᲘ 65:76 ᲢᲘᲛᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘ

(სერია 0:2)

რეალი: ანგულო (13), ბერდი (6), ბუენო, ერეროსი (22), ლასა (8), ლიუკი (4), მარტინი (4), სანტოსი, სტრიულენსი (8)

ტიმსისტემი: დამიო, ფუჩკა (8), გაი (4), კარნიშოვასი (13), ლაცისი (22), მულაომეროვიჩი (11), მაიერსი (18)

ᲕᲘᲚᲔᲠᲑᲐᲜᲘ 77:81 ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲙᲝᲡᲘ

(სერია 0:2)

ვილერბანი: ადამსი, ბილბა (10), ბლომი (2), დიგბო (4), ჰენრი (29), პალმერი (2), პერსევო (6), პლუვი (2), რადი (12), სონკო (10)

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (2), ფასულასი, გოლდვაიერი (15), კომაზეცი (23), ობერტო, პაპანიკოლაუ (4), როჯერსი (9), ტარლაკი (16), ტომიჩი (12)

ᲙᲘᲜᲓᲔᲠᲘ 93:75 ᲞᲝ ᲝᲠᲢᲔᲖᲘ

(სერია 1:1)

კინდერი: აბიო (21), ბინელი (2), კრიპა, ფროსინი (12), მაკრისი (ნესტეროვიჩი) (11), რიგოდო (26), სკონოჩინი (21)

პო ორტეზი: აიშა (8), დევისი (17), ევოდო (5), ფატუ (3), ფუარე (10), დ. გადუ (3), ტ. გადუ (5), გრანტი (16), სხოლტენი, სმიტი (8)

პო ორტეზი — კინდერის გადამწყვეტი მატჩი გაიმართება 1 აპრილს

ᲝᲗᲮᲗᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲛᲔᲣᲜᲯᲔᲜᲘ. 20-22 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲙᲝᲡᲘ — ᲟᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘ

ᲢᲘᲛᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘ — ᲙᲘᲜᲓᲔᲠᲘ ᲐᲜ ᲞᲝ ᲝᲠᲢᲔᲖᲘ

მოგებულები ერთმანეთს შეხვდებიან ევროლიგის ფინალში

რეგულარული ჩემპიონატი

ახალბედების აღლუმი

25 მარტი

ჰიუსტონი 113:104 ტორონტო

ჰიუსტონი: მობლი (26), დიკერსონი (28), პიპენი (16 ქულა, 11 პასი), ბარკლი (16 ქულა, 14 მოხსნა, 9 პასი), ოლაჯუონი (12); ჰარინგტონი (10), პრაისი (5)

ტორონტო: ვილიამსი (6), კრისტი (18), კარტერი (32), ოკლი (6), სტიუარტი; მაკგრეიდი (15), ტომასი (10), ბრაუნი (10), ვოლესი (7), მარქსი

მშვენიერ ფორმაშია „ჰიუსტონ როკეტსი", გუნდი, რომელმაც 90-იან წლებში ერთადერთმა შეძლო „ჩიკაგო ბულზს" ლიგის ჩემპიონობაში შეზიარებოდა და უძლიერესი გუნდის სახელი ორჯერ (1994 და 1995 წლებში) მოიპოვა. მაშინდელი შემადგენლობიდან ტეხასელებს მხოლოდ გაამერიკებული ბებერი ნიგერიელი ჰაკიმ ოლაჯუონიღა შემორჩა. გუნდის და ამავე დროს ამერიკის ნაკრების მწვრთნელმა, რუდი ტომიანოვიჩმა მშობლიური ქალაქის კლუბი ორჯერ გაიჩემპიონა და მერე სრულიად ახალი „როკეტსი" შექმნა, რომლის უმთავრეს მოთამაშედ ისევ და ისევ ჰაკიმ ოლაჯუონი ითვლება, თუმც 37 წელს მიღწეული ცენტრი ძველებურად ერთპიროვნული ლიდერი ვეღარაა, რადგან საამისოდ ჯანი აღარ მოსდევს. თან გუნდს სუპერთავდამსხმელები ჰყავს — ჩარლდ ბარკლი და სკოტი პიპენი, რომელთაც, ოლაჯუონის დარად, თავიანთი საუკეთესო წლები უკვე განვლეს, მაგრამ არც ისე დაცემულან, ვინმეს იოლად დაეჩაგვრინონ.

ტორონტოც საკმაოდ კარგ ფორმაშია. უფრო ზუსტად, გუნდს დაარსების დღიდან ასე არ უთამაშია. შარშან კანადელებს დეიმონ სტუდემაიერი ჰყავდათ, რომელიც 1996 წელს სეზონის ახალბედა გახდა. გუნდმა იგი პორტლენდში გაუშვა და ამით ვითომც გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, მაგრამ დღეს ტორონტოს ვინს კარტერი ჰყავს, ვინც ასოციაციის ახალბედებში ჯერჯერობით ყველაზე გამორჩეულია და სავსებით შესაძლებელია, ამ ყმაწვილმა სტუდემაიერის სამი წლის წინანდელი მიღწევა გაიმეოროს. როდესაც მოედანზე კარტერთან ერთად სხვა ახალბედებიც თამაშობენ, ტორონტოელი ყველას ერთი თავით სჯობს, თუმცა... ამ შეხვედრაში, მიუხედავად იმისა, რომ კარტერმა სეზონში მისთვის ყველაზე მეტი, 32 ქულა შეაგროვა, ორმა ახალბედამ მაინც ტოლი არ დაუდო. იგულისხმება ჰიუსტონის უკანახაზელები — მაიკლ დიკერსონი და კუტინო მობლი, რომლებიც შედეგიანობაში ოდნავ კი ჩამორჩნენ კარტერს, მაგრამ მათაც სეზონის, ანუ კარიერის რეკორდები დაამყარეს. ეს ორი ყმაწვილი ღირსეულ პარტნიორობას უწევს თავის გამოცდილ თანაგუნდელებს და დასავლეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის ხუთეულშიც დამსახურებულად თამაშობს.

ტორონტოსთან შეხვედრა ჰიუსტონმა ისე მოიგო, ბებერ ლიდერებს თავგამოდება არ დასჭირდათ. ჰიუსტონის უკანა ხაზის ახალბედათა დუეტმა პირდაპირ აიკლო ტორონტოს ფარი. სამქულიანის სროლისას ორივემ ერთნაირად ივარგა და ცხრაცხრა სროლიდან შვიდ-შვიდი (!) ჩააგდო. ორი კაცისგან 14-სამქულიანი მეტისმეტი აღმოჩნდა ტორონტოსთვის. იქ პიპენმა ორი და პრაისმაც ერთი წაუმატეს ახალბედათა მონაგარს და ტორონტოს ღირსეული ბრძოლით მოპოვებული საკმაოდ დიდი რაოდენობის ქულებიც წყალმა წაიღო. ჰიუსტონმა კი ტორონტოს შვიდი შეხვედრიდან მეექვსედ მოუგო და ამასთანავე ზედიზედ მეექვსე გუნდიც დასცა ბეჭებზე.

დენვერი 65:86 სან ანტონიო

დენვერი: მაკდაიესი (17)
სან ანტონიო: დანკანი (28)

დენვერს თავისი ლიდერის — ანტონიო მაკდაიესის დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ ამაოდ... იგი სტუმართა მძლავრ თავდამსხმელ ტიმ დანკანთან ბრძოლაში ჩაფლავდა, დენვერმა კი შეძლო წინააღმდეგობის გაწევა და წლევანდელ სან ანტონიოსთან მესამე შეხვედრაში წინა ორზე მცირე, „მხოლოდ" 21 ქულით დამარცხდა. დენვერმა ბოლო 13 შეხვედრაში 11 მარცხი იწვნია, მისმა გამაბითურებელმა სან ანტონიომ კი ბოლო 13 შეხვედრაში 12 მოიგო.

ორლანდო 96:86 კლივლენდი

ორლანდო: არმსტრონგი (25), გრანტი (16 ქულა, 13 მოხსნა)

კლივლენდი: კემბი (22 ქულა, 16 მოხსნა), ნაითი (15 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა)

ორლანდოს სათადარიგომ, დარელ არმსტრონგმა, ნიკ ანდერსონს ლიდერობა ჩამოართვა და ამ ბოლო მატჩებში გუნდის პირველ მოთამაშედაც ის მოგვევლინა. ბოლო ექვს შეხვედრაში ეს ყმაწვილი საშუალოდ 20 ქულაზე მეტს აკეთებს და ამ მოგებაშიც ლომის წილი დაიდო, როცა წამოწეულ და მოსაგებად შემართულ კლივლენდს ბოლო მეოთხედში 10 ქულა ჩაუგდო და თავისიანები ახეირა.

პორტლენდი 97:84 ფინიქსი

პორტლენდი: გრანტი (22 ქულა, 14 მოხსნა), სტუდემაიერი (19 ქულა, 8 პასი)

ფინიქსი: რობინსონი (21)

პორტლენდმა ფინიქსს ზედიზედ მეხუთედ მოუგო და უფრო განიმტკიცა ლიგის პირველი გუნდის სახელი. ამასთანავე, პორტლენდი კვლავ რჩება ლიგის ერთადერთ გუნდად, რომელსაც შინ ერთის მეტი არ წაუგია. ამ მატჩში ყველა ელოდა ორი არაამერიკელი თეთრი ცენტრის — ლიტველი პორტლენდელის, არვიდას საბონისის და ავსტრალიელი ფინიქსელის ლუკ ლონგლის შერკინებას, რომელიც არ შედგა. ორივე რვა-რვა ქულას დასჯერდა. საბონისი იმიტომ, რომ მეტი არ სჭირდებოდა და თავიც არ გამოიდო, ლონგლიმ კი მეტი ვერ შეძლო, თუმც ძალიან ცდილობდა.

ირაკლი ფირაზვილი



REUTERS დენვერიდან

დენვერი — სან ანტონიო. დენვერელი დანი ფორსტონი (მარცხნივ) და სანანტონიოელი მარიო ელი (№17) ერთმანეთს ჰაერში შებმიან

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

	მ	წ	%
მაიამი	19	7	73,1
ორლანდო	20	8	71,4
ფილადელფია	15	11	57,7
ნიუ იორკი	15	13	53,6
ვაშინგტონი	11	15	42,3
ბოსტონი	8	17	32,0
ნიუ ჯერსი	5	21	19,2

ცენტრალური დივიზიონი

ინდიანა	18	8	69,2
ატლანტა	16	11	59,3
მილუოკი	15	11	57,7
დეტროიტი	15	12	55,6
კლივლენდი	13	12	52,0
ტორონტო	12	14	46,2
შარლოტი	10	15	40,0
ჩიკაგო	8	19	29,6

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

იუტა	20	6	76,9
ჰიუსტონი	19	9	67,9
სან ანტონიო	18	9	66,7
მინესოტა	15	12	53,8
დალასი	9	19	32,1
დენვერი	7	20	25,9
მანკუვერი	5	22	18,5

წყნარი ოკეანის დივიზიონი

პორტლენდი	22	5	81,5
ლოს ანჯელესი	19	10	65,5
სიეტლი	13	12	52,0
ფინიქსი	14	14	50,0
საკრამენტო	12	16	42,9
გოლდენ სტეიტი	11	15	42,3
კლიპერსი	2	23	0,80

სარბიელი

სპორტული ლატარია

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

27.03	ბელარუსი — შვეიცარია	2,5	2,9	2,5
	დანია — იტალია	3,5	2,6	2,1
	საბერძნეთი — ნორვეგია	1,9	2,8	3,8
	საქართველო — სლოვენია	ანგარიში		5,0
	ჩრდ. ირლანდია — გერმანია	5,6	3,4	1,5
	თურქეთი — მოლდოვა	1,1	6,0	12,0
	0:2	1,9	4,4	2,1
	ანდორა — ისლანდია	8,0	4,4	1,25
	საფრანგეთი — უკრაინა	1,5	3,3	6,0
	სომხეთი — რუსეთი	6,5	3,6	1,4
	შვედეთი — ლუქსემბურგი	1,02	9,0	20,0
	0:3	1,9	4,4	2,1
	ინგლისი — პოლონეთი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,3	2,5
	ესპანეთი — ავსტრია	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,3	2,5
	რუმინეთი — სლოვაკეთი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
	უნგრეთი — ლიხტენშტაინი	1,02	9,0	20,0
	0:4	1,9	5,0	2,0
	ჩეხეთი — ლიტვა	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
	შოტლანდია — ბოსნია	1,25	4,4	8,0
	0:1	1,9	3,2	2,6
28.03	ისრაელი — კვიპროსი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,9	3,2	2,6

ამხანაგური მატჩი

27.03	ბელგია — ბულგარეთი	1,7	3,0	4,7

ინგლისის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი

28.03	კრისტალ პალასი — ბრედფორდი	3,3	3,0	2,0
	პორტსმუთი — ბარნსლი	2,0	2,8	3,5

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXVII ტური

27.03	მონცა — რეჯანა	2,3	2,8	2,9
28.03	ატალანტა — ბრეშა	1,8	2,7	4,7
	პესკარა — ჩეზენა	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	ლეჩე — კრემონეზე	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
	კიევო — ფ. ანდრია	1,7	2,7	5,6
	კოზენცა — ჯენოა	2,3	2,7	3,0
	ტორინო — ლუკეზე	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
	ნაპოლი — ტერნანა	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	რეჯინა — ტრევიზო	2,4	2,5	3,0
	რავენა — ვერონა	2,5	2,6	2,8

ესპანეთის ჩემპიონატი. მეორე დივიზიონი. XXX ტური

27.03	ბარსელონა B — ორენსე	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
	ეიბარი — ნუმანსია	2,5	2,9	2,5
	ლას პალმასი — ლოგრონიესი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
	ატლეტიკო B — მალაგა	2,5	2,9	2,5
28.03	ბადახოსი — ლეგანესი	1,7	3,0	4,7
	ოსასუნა — მერიდა (14.00)	1,6	2,9	6,0
	ერკულესი — რეკრეატივო	2,0	2,9	3,4
	ალბასეტე — სევილია	2,4	2,8	2,7
	ტოლედო — კომპოსტელა	1,9	2,8	3,8
	სპორტინგი — ლეიდა	2,2	2,8	3,1
	მალიორკა B — რაიო ვალეკანო	3,8	2,8	1,9

ჰოლანდიის ჩემპიონატი

27.03	გრაფშაპი. — მასტრიხტი	1,9	2,9	3,6

პორტუგალიის. თასის მერვეددფინალი

27.03	ბოავიშტა — ჟილ ვისენტე	1,15	5,6	10,0
28.03	ლეირია — ბეირა მარი	1,3	4,0	7,5

ბელგია. ლიგის თასის მეოთხედფინალი

27.03	გენკი — ბრიუგე	2,0	2,8	3,5

ჰოკეი. NHL

27.03	ტორონტო — ბოსტონი	1,6	4,4	2,7
	ნიუ ჯერსი — ჩიკაგო	1,1	4,4	5,0
	აილენდერსი — ოტავა	3,0	4,4	1,5
	ფილადელფია — რენჯერსი	1,35	4,4	3,6
	პიტსბურგი — ბუფალო	1,6	4,4	2,7
	ვანკუვერი — მონრეალი	2,0	4,4	2,0
	ფინიქსი — კალგარი	1,6	4,4	2,7
28.03	ბუფალო — პიტსბურგი	1,8	4,4	2,2
	კაროლინა — ტამპა ბეი	1,1	4,4	5,0
	ფლორიდა — ნიუ ჯერსი	2,0	4,4	2,0
	დეტროიტი — ფილადელფია	1,8	4,4	2,2
	ჩიკაგო — სტ. ლუისი	2,7	4,4	1,6
	ნეშვილი — დალასი	3,0	4,4	1,5
	კოლორადო — ლოს ანჯელესი	1,25	4,4	4,4
	ედმონტონი — სან ხოსე	1,8	4,4	2,2
	ანაჰაიმი — კალგარი	1,7	4,4	2,4
29.03	რენჯერსი — აილენდერსი	1,1	4,4	5,0
	ვანკუვერი — ფინიქსი	2,4	4,4	1,7

კალათბურთი. NBA

27.03	ატლანტა — ფილადელფია	1,5	12,0	2,0
	ნიუ ჯერსი — კლივლენდი	2,8	12,0	1,3
	სან ანტონიო — დალასი	1,1	12,0	5,0
	დენვერი — ვაშინგტონი	1,7	12,0	1,7
	კლიპერსი — იუტა	5,0	12,0	1,1
	გოლდენ სტ. — ჰიუსტონი	2,3	12,0	1,4
28.03	ბოსტონი — ინდიანა	2,5	12,0	1,35
	ორლანდო — მაიამი	1,4	12,0	2,3
	დეტროიტი — სიეტლი	1,25	12,0	3,1
	ტორონტო — ჩიკაგო	1,3	12,0	2,8
	მინესოტა — მილუოკი	1,5	12,0	2,0
	ლოს ანჯელესი — ნიუ იორკი	1,15	12,0	4,0
	შარლოტი — კლივლენდი	1,7	12,0	1,7
	ფინიქსი — პორტლენდი	1,8	12,0	1,6
	საკრამენტო — ჰიუსტონი	2,3	12,0	1,4
29.03	ინდიანა — ატლანტა	1,2	12,0	3,5
	დალასი — სიეტლი	1,8	12,0	1,6
	დენვერი — კლიპერსი	1,1	12,0	5,0
	ლოს ანჯელესი — ვანკუვერი	1,05	12,0	7,5

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გაიმარჯვებთ? გვიძოლაგეთ და გავიმარჯვებთ!

დილით ცხრა საათისთვის „დინამოს“ კალათბურთელთა ბაზაზე შეკრებილმა ბორჯღალოსნებმა სავარჯიშოდ ლოკომოტივის ნაცვლად საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტადიონს მიაშურეს, მცირეხნიანი მოთელვის შემდეგ მწვრთნელებმა მორაგბეები ბურთით წაავარჯიშეს. ჯერ დერეფანში ბურთის მოგებაში, მერე კი შეტევის სწრაფად გაგრძელებაში, თუმცა ამ მხრივ, ვფიქრობთ, უპირატესობას ტონგელები ფლობენ, მათ მეტი საბურთაო კულტურა აქვთ და, აქედან გამომდინარე, მდიდარი ტექნიკური არსენალიც გააჩნიათ. ამასობაში ერთი საათი გავიდა. მერე სორელმა ბეკები ჩაიბარა, მორკინალების დამოძღვრა კი ძია ბურძგლამ დაიწყო. ბოლოს კი ორად გაყოფილმა გუნდმა ერთმანეთშიც ითამაშა. მთელმა ვარჯიშმა დაახლოებით ორ საათს გასტანა. ამის მერე მობურთალები კალათბურთელთა ბაზას დაუბრუნდნენ, ცოტა დაისვენეს და საღამოს ჯვლავ ესტუმრნენ აგრარული უნივერსიტეტის სტადიონს. საღამოს ვარჯიში დილისაზე დატვირთული გამოდგა. ნახევარსაათიანი გახურების შემდეგ სორელმა მორაგბეები ოთხად გაყო და ისე წაავარჯიშა. მერე კი უკანახაზელებს მიხედა და მთელი საათი ავარჯიშა. ქართველთა წარმატება-წარუმატებლობა სწორედ მათ თამაშზე იქნება დამოკიდებული, თორემ შერკინებაში ყველაფერი გარკვეულია — ტონგელებს ქართველი მორკინალები აშკარად დაჯაბნიან. ამას ტონგელებიც აღიარებენ, თუმცა ბორჯღალოსანთა ამ უპირატესობის გაბათილებას უკანახაზელების სწრაფი და კომბინაციური თამაშით აპირებენ.

კალათბურთელთა ბაზაზე, სანამ მობურთალები საღამოს ვარჯიშზე წავიდოდნენ, დრო ვიხელთეთ და საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს, გურამ მოდებაძეს და რამდენიმე ბორჯღალოსანს გავესაუბრეთ. ძია ბურძგლასთან ჩვენი საუბარი, რა თქმა უნდა, ხვალინდელ მატჩსა და ამ შეხვედრისთვის ქართველ მორაგბეთა მზადყოფნას შეეხო:

— ბატონო გურამ, რამდენადაა შესაძლებელი 31-ქულიანი სხვაობის გაბათილება?

— რა თქმა უნდა, ეს ძალიან ძნელი გასაკეთებელი იქნება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. 31 ქულა არაა ის რაოდენობა, მისი მოპოვება გაგვიჭირდეს. ასე რომ, ჩვენი სასურველი ანგარიშით მოგება განუხორციელებელი არაა.

— თქვენ პირველ თამაშს, სამწუხაროდ, არ ესწრებოდით, მაგრამ, ალბათ, გაქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ითამაშა ნაკრებმა იმ დღეს. რას ფიქრობთ, რა იყო ასეთი მძიმე მარცხის მიზეზი?

— თავიდან მოვყვები. პირველი და მთავარი — ბუნებრივი პირობები. ფიჯიში იყო აუტანელი სიცხე, ასევე ტონგაშიც. ამან, რა თქმა უნდა, დაღი დაასვა ბიჭების თამაშს. და კიდევ სასაათო სარტყელის ცვლილებამ. მეორე ფაქტორი, რამაც ჩვენი მარცხი გამოიწვია, ტექნიკური შეცდომებია, რომლებიც ბიჭებს იმ მატჩში დაუშვიათ. არის მესამე ფაქტორიც — მსაჯი. ბუნებრივია, ავსტრალიელი მსაჯი მატჩს მათთვის სასარგებლოდ განსჯიდა. რამდენადაც ვიცი, იმაზე მეტი დაუმატებია დრო, ვიდრე საჭირო იყო

გურამ მოდებაძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

და სწორედ მაშინ მივიღეთ ორი ლელო. ეს, რა თქმა უნდა, არ ამართლებს ჩვენს მარცხს. თან ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ შერკინებაშიც, დერეფანშიც უპირატესობას ჩვენ ვფლობდით და მაინც დავმარცხდით. ჰო, ერთი დამავიწყდა. მეტოქემ ჩვენი თამაშის სტილი იცოდა, ჩვენ კი მათ შესახებ არაფერი.

— ახლა, როცა ვიცით, რა ტაქტიკას დავუპირისპირებთ?

— მთავარია, მათ არ მივცეთ ბურთის გათამაშების საშუალება. დანარჩენი ადვილი მოსაგვარებელია. მაგრამ ძალიან სწრაფები არიან ეგ ტონგელები. ჩვენ ვნახეთ მათი თამაშის ვიდეოჩანაწერი ფიჯისთან და სამოასთან. უპირატესობას ხელით თამაშს ანიჭებენ. სწორედ ეს არ უნდა დავანებოთ. და, რაც მთავარია, მაყურებელი უნდა მოვიდეს თამაშზე. ისე ყველაფერს აზრი ეკარგება. ჩვენ თუ რაიმე შევძელით, ეს გულშემატკივრების დამსახურებაა. გაიხსენეთ ორივე მატჩი რუსეთთან. იმაზე დაძაბული ბრძოლა გველის კვირას და მათი თანადგომა აუცილებლად გვჭირდება. ზემოთ ვთქვი, მთავარია, ბურთის გათამაშების საშუალება არ მივცეთ-მეთქი. მგონი, ასეთი მომენტები ცოტა იქნება ამ მატჩში, რადგან, ვფიქრობ, მეტოქე უფრო დაცვით სტილს აირჩევს.

— ბიჭები საბრძოლველად მზად არიან, მაგრამ მათ სპორტულ ფორმაზე რას გვეტყვით?

— ნორმალურია. ვერ ვიტყვი, რომ საუკეთესო ფორმაში არიან, მაგრამ ცუდად ნამდვილად არ გამოიყურებიან. ყოველ შემთხვევაში, იმის ძალა შესწევთ, ტონგელებს გაუსწორდნენ.

— ესე იგი, გავიმარჯვებთ.

— აუცილებლად. ვეცდებით, იმ ანგარიშით მოვიგოთ, რომელიც ხელს გვაძლევს. მორაგბეებს უკან არასოდეს დაუხევიათ და ახლაც ასე იქნება. ყველანი თავს დადებენ და ხალხის მხარდაჭერით საწადელსაც მიაღწევენ.

ირაკლი ნიჟარაძის ფოტო

ზაზა ლეშავას აზრით ბორჯღალოსნებმა რუმინეთთან დაცვაზე აქცენტით ითამაშეს, ახლა კი შეტევის ჯერია.

— ჩემი გუნდი „ორიაკი“ ელიტა 1-ში ახალგადმოსულია და დიდ მიზნებს არც ვისახავდით, ახლა ლიგაში დასარჩენად ვიბრძვით. იმედია, მიზანს მივაღწევთ. მე უმეტესად ძირითადში ვთამაშობ. სხვაგან წასვლაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით.

— ამჟამად როგორ ფორმაში ხარ?

— როგორც პროფესიონალი, ჩემს ფორმაზე გამუდმებით ვზრუნავ. სხვაგვარად არავინ მათამაშებს. მგონი, კარგ ფორმაში ვარ.

— ტონგასთან რატომ არ ითამაშე?

— უბრალოდ, სორელმა არჩია, რომ ტონგასთან უკანა ხაზი მსუბუქი და მოძრავი ჰყოლოდა. ამიტომ ვერ ჩავჯექი მწვრთნელის ტაქტიკურ სქემაში, ჩემთვის კი მწვრთნელის აზრი გადამწყვეტია.

— ასეთი არჩევანი მწვრთნელის ტაქტიკური შეცდომა ხომ არ იყო?

— ნაკრების ცალკეულ რგოლებზე საუბარი მეუხერხულება. ჩვენ ახლა ვყალიბდებით. შეცდომა გამორიცხული არაა, მაგრამ თუ ტაქტიკურად სწორად ვითამაშებთ, მას იოლად გამოვასწორებთ. ერთმანეთის დაზღვევა უნდა შეგვეძლოს. ტაქტიკურად და სტრატეგიულად გამართულად უნდა ავთამაშდეთ.

— რუმინეთთან ავადმოსაგონარი თამაში გავიხსენოთ...

— რუმინეთთან და ირლანდიასთან თამაში უკვე დიდი მიღწევაა. ჩვენ აქამდე დიდი გზა გავიარეთ და თანდათან პროგრესისკენ მივდივართ. რუმინეთთან კარგად ვითამაშეთ დაცვაში, მაგრამ მათ გვაჯობეს გამოცდილებით, კლასით, სტრატეგიით. სორელმა შესვენებაზე კი მოგვცა მითითებები, რადგან მეორე ტაიმში რუმინელთა თამაშის მანერა ზუსტად გამოიცნო, მაგრამ ასე მალე მატჩში გარდატეხას ვერ შეიტან, ძნელია. ჩვენი მეტოქეები უზრუნველყოფილნი და პროფესიონალები არიან.

— რა ისწავლა საქართველოს ნაკრებმა რუმინეთიდან ტონგამდე და რას უნდა ველოდეთ კვირას?

— სორელი გვასწავლის ძირითად სარაგბო პრინციპებს — დაცვა, შეტევა, ტაქტიკა. ჩვენ რუმინეთთან დაცვა ვითამაშეთ. ეს კომპონენტი დამუშავებულია. ახლა შეტევაზე უნდა ვიმუშაოთ. ეს სამმეთოხედელებს ეხება, რომელთა სათამაშოც შერკინების ხაზთან შედარებით რთული და ტექნიკურია.

ვანო ნადირაძეს სუსტ გუნდში გაჩერება არ სურს და ახალი კლუბის ძიებაშია.

— ვანო, ვიცით, რომ „ლა-ტესტის“ ხელმძღვანელობა ძალიან გემადლიერება, მაგრამ კლუბის შეცვლას მაინც აპირებ.

— ეგ იმიტომ, რომ სუსტი კლუბია — ელიტა 2-ის ბოლოსწინა, მე-15 ადგილზე ვართ. თავიდან კარგად დავიწყეთ და პერსპექტივებიც იყო, მაგრამ მერე საქმეები აირია და დაქვეითდით. თითქოს არც ისე ცუდი მწვრთნელები გვყავდა (ერთ-ერთმა ადრე „ბეგლ-ბორდო“ გაჩემპიონა), მაგრამ შედეგი მაინც არ არის. მართალია, ძირითადში ვთამაშობ, მაგრამ სუსტ გუნდში გაჩერება არ მინდა. თან, მწვრთნელთანაც შემექმნა პრობლემები.

— შენი თვალით დანახული საქართველოს ნაკრები როგორია?

— გუნდის აზრი ასეთია — ეს თამაში სჭირდება საქართველოს და მისი ღირსება უნდა დავიცვათ.

— ჩვენთან კარგა ხანია, დაუფარავად საუბრობენ ნაკრების ხელმძღვანელობაში არსებულ უთანხმოებაზე, რასაც თავად ისინი უარყოფს. შენი აზრით, როგორი დამოკიდებულებაა მათ შორის?

— შემადგენლობა მწვრთნელის გადასაწყვეტია და ეს არც ისე იოლი პროცესია. აქ მთავარი სიტყვა მან უნდა თქვას. ეს ურთიერთშეთანხმებით უნდა გადაწყდეს და თუ რაიმე პრობლემა წარმოიქმნება, გუნდის ხელმძღვანელებმა ჩვენთან მოტანამდე ისევ ერთმანეთში უნდა მოაგვარონ. თუ ვინმე ნაკრებს მიღმა რჩება, არც ეს უნდა ეწყინოს. რაც შეეხება .შეკითხვას, მე ვერ ვგრძნობ, რომ მწვრთნელთა შორის უთანხმოებაა.

— ამჟამად კარგ ფორმაში ხარ?

— კლუბში კვირაში ექვსჯერ ვვარჯიშობ. ვფიქრობ, კი. ტონგაში უჩვეულო პირობების გამო ცოტა გამიჭირდა, მაგრამ შინ უკეთ ვითამაშებ.

— მსოფლიოს თასზე მოხვედრის ერთი შანსი რუმინეთთან ვერ გამოვიყენეთ. მეორესაც ხომ არ გავუშვებთ ხელიდან?

— ამ შანსს გამოვიყენებთ თუ არა, ჩვენზეა დამოკიდებული. საგარეო მატჩში დიდი სხვაობით დავმარცხდით, მაგრამ ეს დეფიციტი უნდა დავფაროთ. ტონგას ნაკრები კარგი გუნდია. მისი ლეგიონერები ინგლისის, უელსის, ზე-12-ის კლუბებში თამაშობენ, გამოირჩევიან კარგი ფიზიკური მომზადებით და რამდენადმე განსხვავებული რაგბისაც თამაშობენ. მაგრამ ეს ბარიერი მაინც უნდა დავძლიოთ.

ბადრი კეთილაძის ფოტო

სოსო პარწიკანაშვილი კარგა ხანი ტრავმის გამო ნაკრებს ვერაფრით ეხმარებოდა, ახლა კი კვლავ მიეცა ამის შესაძლებლობა, თუმცა...

— სოსო, ტონგის ნაკრებზე რა აზრის ხარ?

— ის კარგი გუნდია და ძლიერი ლეგიონერებიც ჰყავს. სიცხეს ჩვეულებს შინ თამაში არ უჭირდათ და სწრაფადაც დარბოდნენ. მე მგონია, ჩვენ უმთავრესად ფსიქოლოგიურმა მოუმზადებლობამ წაგვაგებინა. ჯერ ერთი, სტუმრად თამაში, მერე უჩვეულოდ მაღალი სიცხე- მაგრამ როცა მთელ შეხვედრას ბოლო ათ წუთში აგებ, იმის ბრალია, რომ პაექრობისთვის სათანადოდ ვერ განვეწყეთ. ეტყობა, ბიჭები ბოლოს დუნდებიან, მატჩი მაინც მთავრდებაო. არადა, რაგბიში ნამდვილი თამაში სწორედ ამ დროს იწყება.

— ირლანდიურ ტურნეში ტრავმის გამო გუნდს ვერ დაეხმარე. მწვრთნელი გურამ მოდებაძე ამბობდა, რომ შენ აუცილებლად სჭირდებოდი ნაკრებს. დღეს კიდეც გამოგიძახა, მაგრამ ფორმაში თუ ხარ?

— მე და საქართველოს ნაკრებს რომ გვინდა, ისე არა. იმ დონეს, სადაც ვთამაშობ, სრულიად შევეფერები, მაგრამ ნაკრებს — არა.

ბადრი კეთილაძის ფოტო

ბორჯღალოსნები საომრად ემზადებიან

პაატა თოთაძე
ირაკლი თამაძე

გუშინწინდელის მსგავსად, ტონგელებმა გუშინაც დილით მოინდომეს გავარჯიშება. მესამე მასივში „ბათუს“ სკოლას პოლინეზიელები თერთმეტის ნახევარზე ესტუმრნენ.

ოღონდ გავიდეთ და...

ეტყობა, მათი აფრიკელი დამრიგებელი რაღაცით უკმაყოფილო იყო და შეგირდებს უბღვერდა, თუმცა ამასაც არ დასჯერდა და სკოლის პერსონალს მკაცრად მოსთხოვა სათამაშო ბურთები — თქვენ პრეზიდენტს (რაგბის კაეშირისას) შეეხვდი და ის დამპირდა, რომ დილით ბურთებს მოიტანდნენო. ასეც მოხდა, მაგრამ ტონგელთა მოსვლიდან თხუთმეტი წუთის მერე გამოუძინებლობის ბრალი თუ იყო, ბურთის დანახვაზე მოთამაშეებს ხასიათი წაუხდათ, თუმცა ნახევარ საათში ყველივემ გაუარათ და ვარჯიშიც გაჩაღდა. მთელი ორი საათის განმავლობაში მეტოქეები მხოლოდ ბურთს ათამაშებდნენ. ვარჯიშის ბოლოს კი, მხოლოდ ათი წუთით, მორკინალებმა შერკინების „დაზგა“ აამოქმედეს.

თავიდან ტონგელებს რაკი ვარჯიში მეტად უხასიათოდ დაიწყეს, მწვრთნელმა უფლება მისცა, გახურებულიყვნენ და ვისაც როგორ სურდა, ისე ევარჯიშა. აქედანვე შეიმჩნეოდა, რომ პოლინეზიელები უპირატესობას ხელით ბურთაობას ანიჭებენ.

ნახევარი საათის შემდეგ მწვრთნელებმა მოთამაშეები თავისთან იხმეს და დერეფანში ბურთის მოგებაში და შეტევის სწრაფად განხორციელებაში დაიწყეს ვარჯიში. აუტების გათამაშებისას ხშირად მეოთხე კაცი გადმოდიოდა მეორეზე. გამოიყენებენ თუ არა ასეთ ტაქტიკას ხვალინდელ მატჩში, ძნელი სათქმელია, მაგრამ ხანდახან ეს ამართლებს. ყველაზე მეტად ბორჯღალონსები სტუმართა უკანახაზელებს უნდა უფრთხოდნენ. გუშინდელმა ვარჯიშებმა ცხადყო, რომ ტონგას ძალიან სწრაფი უკანა ხაზი ჰყავს. მოლში ბურთს ფაქტობრივად არ აჩერებენ, უცბადვე ათამაშებენ. ასევე სწრაფად შლიან მარაოს, მაგრამ ყოველ პასამდე თითოეული მოთამაშე დაახლოებით ოთხ-ხუთ ნაბიჯს დგამს. ასე რომ, თუ ქართველებმა დროულად მოასწრეს ჩახურვა, მეტოქე მათ ვერაფერს დააკლებს.

პირველი მატჩისგან განსხვავებით, სტუმრები თბილისს გვარიანად შესუსტებული შემადგენლობით ეწვივნენ. ამის მიზეზი კლუბების მიერ ტონგელ მორაგბეთა ნაკრებში არგაშვებაა. თუმცა არ იფიქროთ, ტონგელები ლეგიონერების გარეშე გვესტუმრნენ. ბრაიან უილი ახალ ზელანდიაში ბურთაობს, მაგრამ ამ სარაგბო ქვეყანაში თამაშის მიუხედავად, ეს ბიჭი ვერ უნდა იყოს მთლად კარგი მორაგბე, თორემ ისე ზნეკეთილი და მხიარული ადამიანია, საერთოდაც, ამის თქმა ლამის მთელ გუნდზე შეიძლება. და კვლავ, თვალშისაცემი ის არის, რომ პოლინეზიელები მეტად შრომისმოყვარე და დისციპლინირებულნი არიან. ზედმიწევნით ზუსტად ასრულებენ მწვრთნელის მითითებებს და ერთსაც არ წამოსცდენია სიტყვა ვარჯიშის ხანგრძლივობაზე ან იმ მძიმე დატვირთვებზე, რომელიც 28 საათიანი ფრენის შემდეგ მიიღეს.

ამ ვარჯიშებს რომ მორჩნენ, ბოლო ათი-თხუთმეტი წუთი მწვრთნელებმა გუნდი ორად გაყვეს და ისე ავარჯიშეს. უკანახაზელები მოედნის ერთ ნახევარზე ვარჯიშობდნენ, მორკინალები — მეორეზე. თვალშისაცემი ის იყო, რომ მეტოქე ხშირად ატრიალებდა შერკინებას 90 გრადუსით და ისე ეუფლებოდა ბურთს. მერე კი შეტევის გაგრძელება მათ არ ესწავლებათ, საკმაოდ მდიდარი ტექნიკური არსენალის მფლობელები არიან. ვარჯიშის მთელმა პროცესმა ორ საათს გასტანა და სტუმრებიც თავიანთ ადგილსამყოფელს დაუბრუნდნენ, ცოტას დავისვენებთ და მერე ქალაქსაც დავათვალიერებთო. თუმცა წასვლამდე სკოლის პერსონალმა სტუმრები კათხა ლუდზე მიიპატიჟა. მათაც უარი არ უთქვამთ, ამიტომაც მთავარ მწვრთნელთან გასაუბრებამ, მოთამაშეებისგან განსხვავებით, გვიან მოგვიწია. როგორც ვარჯიშზე გაირკვა, ხველინდელ მატჩში ტონგელებს იაპონიაში მობურთალი ელიზი ვუნიპოლა უკაპიტნებს, სწორედ ის, სამი კვირის წინ პირველ მატჩში ორი ლელო რომ გაგვიტანა. სამი კვირის წინანდელ მატჩში კი კაპიტანი მისი ძმა ფეაო იყო, რომელიც უელსურ „პონტიპრიდს“ არ გამოუშვია ამ თამაშისთვის. ჩვენი საუბარიც პირველი მატჩის შეფასებით დაიწყო.

ირაკლი ნიკოლაძის ფოტო

ელიზი ვუნიპოლა

— ნაკრებში თქვენთან ერთად თქვენი ორი ძმა თამაშობს. სულ რამდენი ხართ?

— სულ სამნი ვართ და სამივე მორაგბეები. ჩემი ერთ-ერთი ძმა, რომელიც უელსის „პონტიპრიდში“ თამაშობს, აქ ვერ ჩამოვიდა, რადგან მის გუნდს ძალიან პრინციპული თამაში ჰქონდა. სწორედ ის იყო საქართველოს წინააღმდეგ ჩვენი კაპიტანი. კვირას, მის არყოფნაში, ნაკრებს მე გავუძღვები მინდორზე.

— როგორ შეაფასებდით პირველ თამაშს საქართველოსთან?

— პირადად ჩემით კმაყოფილი ვარ. მაშინ ორი ლელო გავიტანე. რაც შეეხება გუნდს, ბევრი ხარვეზი გვქონდა და ვეცდებით, კვირას აღარ გავიმეოროთ.

— რას ფიქრობთ, კვლავ დაგვამარცხებთ?

— ძალიან ძნელი თამაში გველის. ჩვენ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, თუმც მთავარი მიზანი ხომ შემდეგ ეტაპზე გასვლაა, ასე რომ, 31 ქულაზე ნაკლებით წაგება გულს დიდად არ დაგვწყვეტს.

ბრაიან უილი

— რომელ კლუბში თამაშობთ?

— ახალი ზელანდიის ერთ-ერთ საშუალო დონის გუნდში.

— თქვენი აზრი საქართველოს ნაკრებზე

— ვფიქრობ, საკმაოდ კარგი გუნდია, არავისთვისაა ხელწამოსაკრავი. თქვენი ყველზე ძლიერი რგოლი შერკინებაა, რაც პირველ თამაშშიც გამოჩნდა. ჩემი აზრით სისწრაფესა და ხელით თამაშში მოიკოჭლებთ, რის ხარჯზეც მოგიგეთ კიდეც.

— რას ფიქრობთ კვირის მატჩზე?

— თამაში დაძაბული და მეტად საინტერესო იქნება. ქართველები უეჭველად თავიდანვე მთელი ძალით შეგვიტევენ, ჩვენ კი დაცვაზე ყურადღების გამახვილებით ტონგაში მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებას შევეცდებით, თუმცა ძალიან კი გაგვიჭირდება.

— დღეს წვიმასა და ტალახში მოგიხდათ ვარჯიში. თამაშის დღეს როგორ ამინდს ისურვებდით?

— დღევანდელის მსგავსს ნამდვილად არა. მირჩევნია, არ წვიმდეს და მზიანი დარი იყოს, როგორც ჩემს საშობლოშია. თუმცა ამინდს არსებით მნიშვნელობას მაინც არ ვანიჭებ, რადგან პროფესიონალი ვარ და ყველანაირ პირობაში უნდა შევძლო თამაში.

— როდესაც ვარჯიშზე მოხვედით, მუსიკას უსმენდით. რომელ სტილს ანიჭებთ უპირატესობას?

— საერთოდ, ყველანაირ მუსიკას ვუსმენ, განსაკუთრებით კი რეგი და ტეხნო მომწონს.

ტევიტა ტიუეტი

— გული რას გიგრძნობთ, გახვალთ შემდეგ ეტაპზე?

— ალბათ. თუმცა მიზნის მისაღწევად ბევრი ოფლის ღვრა მოგვიწევს. თამაში ორივე გუნდისთვის უთუოდ მძიმე იქნება, მაყურებლისთვის კი — კარგი სანახავი. მოდით მის სანახავად და არ ინანებთ.

— მეტოქეზე რა აზრისა ხართ?

— საკმაოდ ძლიერი ნაკრები გყავთ. თქვენი რამდენიმე მოთამაშე მაღალი დონის მორაგბეა, თუმცა გამოუცდელობაც გემჩნევათ.

— ვარჯიშისას ბარძაყი იტკინეთ და დროზე ადრე გამოაკლდით თანაგუნდელებს. რაიმე სერიოზული ხომ არ არის?

— მცირე ტრავმა მივიღე, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა.

— რომელი კლუბის ღირსებას იცავთ?

— უელსური „ნისის“, რომელმაც ამას წინათ უელსის თასზე თქვენს ნაკრებსაც მოუგო, ასე რომ, საქართველოს წინააღმდეგ უკვე ორჯერ ვითამაშე. იმ მატჩში დემიენ პენისინი მონაწილეობდა.

დემიენ პენისინი

— უელსის „ნისის“ შემადგენლობაში ქართველებს ეთამაშეთ, ტონგას ნაკრებს კი ყლდით პირველ მატჩში. ჩვენს ნაკრებზე თუ შეგექმნათ აზრი?

— უელსში ახალგაზრდული და ექსპერიმენტული შემადგენლობა გამოიყვანეთ და ამიტომ თქვენს ღირსებანაკლოვანებები კონკრეტულის თქმა მიჭირს. ისე, ვფიქრობ, საკმაოდ კარგი გუნდი გყავთ.

— თქვენი აზრით, ვინ მოიგებს?

— ვერაფერს გეტყვით, მობრძანდით სტადიონზე და ვნახოთ...

მოგვიანებით, სტუმართა ადგილსამყოფელს რომ ვეწვიეთ, მწვრთნელ პოლუტელე ტუიჰამალაპას ეძინა. მისმა ოთახის მეზობელმა რომ გაიგო, ჟურნალისტები ვიყავით, ბატონი პოლუტელე გააღვიძა და ისიც თავაზიანად დაგვთანხმდა საუბარზე.

ბადრი კეთილაძის ფოტო

— ტონგასა და საქართველოს პირველი მატჩზე რას იტყოდით?

— მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი ანგარიშით მოვიგეთ, ვთვლი, რომ ჩვენმა გუნდმა თამაშისას ბევრი შეცდომა დაუშვა, სხვათა შორის, ისევე, როგორც ქართველებმა. ჩვენდა საბედნიეროდ, თქვენ ჩვენი შეცდომებით ვერ ისარგებლეთ, ჩვენ კი კარგად გამოვიყენეთ საქართველოს ნაკრების სათამაშო ხარვეზები. კვირას ვეცდებით, უფრო მობილიზებულნი ვიყოთ.

— როგორ ფიქრობთ, პირველი მატჩის შედეგი გაძლევთ მომდევნო ეტაპზე გასვლის გარანტიას?

— გარანტიას არა, მაგრამ დიდ შანსს კი. მთავარია, ყურადღებით ვითამაშოთ და მეტოქეს ინიციატივა იოლად არ დავუთმოთ.

— რა არის თქვენი გუნდის მთავარი ღირსება და სისუსტე?

— სისუსტე ისაა, რომ შეუთამაშებლები ვართ და უყურადღებობის გამო ხშირად ვცოდავთ, სიძლიერე ჩვენი სწრაფი თამაშია.

— უძლიერესი შემადგენლობით ჩამოხვედით?

— არა. მოუცლელობის გამო რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გამოგვაკლდა.

— მოუცლელობის?!

— დიახ, მათ კლუბებს პრინციპული მატჩები ჰქონდათ და ამიტომაც ნაკრებში სათამაშოდ ვერ მოიცალეს.

— რა ტაქტიკას დაუპირისპირებთ მეტოქეს?

— დაცვითს. მთელი გუნდით შეეცდებით ტონგაში მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებას, თუმცა პირველი ხელსაყრელი შესაძლებლობისთანავე ჩვენმა სწრაფმა ფრთის მოთამაშეებმა იქნებ ლელოც გაიტანონ.

— პირველ შეხვედრაში თქვენებური პიტა ტანგინოა მძიმედ დაშავდა. ახლა როგორაა მისი ჯანმრთელობის საქმე?

— ის გაცილებით უკეთაა, თუმცა მისი მდგომარეობა ჯერაც მძიმეა. ექიმები იმედს გვაძლევენ, რომ პიტას დაახლოებით თვენახევარში ფეხზე დააყენებენ.

პაატა თოთაძე
გაიოზ თალაძვაძე
კოტა ჯაადუა

ბადრი კეთილაძის ფოტო

ტონგელები არაფრის დათმობას აპირებენ

გიო ახვლედიანის

მინდვრები

დღეს ფეხბურთია, ხვალ კი რაგბი. ჩვენთან ხშირად ხდება, რომ ხმაურიანი სპორტული ამბები ერთმანეთს მიეწყობა და კაცი სტადიონს მიეჩვევა ხოლმე. ფეხბურთის ბილეთი რვა ლარი ღირს, რაგბიზე შესვლა უფასოა. ფეხბურთს მხოლოდ 20 ათასი კაცი უნდა დაესწროს, რაგბიზე რაც მეტი მივა, მით უკეთესია. ფეხბურთელების ამოცანაა დღესვე არ გადაესვას ხაზი საევროპისჩემპიონატო ოცნებას. მორაგბეთა ამოცანაა მსოფლიოს თასისკენ გადადგან კიდევ ერთი ნაბიჯი.

ფეხბურთელებს წინ გრძელი გზა და მატჩების სერია აქვთ — მათ შემოდგომამდე უნდა ითამაშონ შესარჩევ ციკლში. მომავალი ბუნდოვანია. მორაგბეთათვის კი, შესაძლოა, დღეს დასრულდეს ყველაფერი. მეორე კვირაა, რაც ფეხბურთელები ვარჯიშობენ, ორმხრივ თამაშობენ და სლოვენთა დასამარცხებლად ემზადებიან. მორაგბეები შტურმით იღებენ სავანგებოდ დატბორილ მინდვრებს და საპროტესტოდ ვარჯიშობენ.

იდიოტი უნდა იყო, რომ ამტკიცო, საკუთარი ქვეყნის გუნდების გამარჯვება მართლა მიხარია და მოღალატედ ნუ ჩამთვლითთქო. საჭირო გამარჯვებით გამოწვეული სიხარული შრომის ნაყოფიერებასა და შობადობასაც კი ზრდის რიგ ჩვენნაირ ქვეყნებში. ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ როგორც კი ჩვენს ქალაქში საერთაშორისო ფეხბურთი და საერთაშორისო რაგბი ხმაურიანად მიეწყობა ერთმანეთს, გაირკვევა, რომ ფეხბურთი მთავარია და რაგბი კი მხოლოდ ხელს უშლის მას. მაღლი უფალს, რესპუბლიკის მთავარ მინდორზე მორაგბეებს კარს არ უკეტავენ. სტადიონის უფროსობა ხედავს, რომ რეპეშაჟის თამაშს წყეთის გზაზე ვერ გამართავ.

რა თქმა უნდა, ამბობენ, რომ მორაგბეებმა თავად უნდა მოიხერხონ და მოიწყონ მინდვრები და სტადიონებიო, მაგრამ რახან მათ ეს საქმე ვერ მოუგვარებიათ ათასი გასამართლებელი, თუ გაუმართლებელი მიზეზის გამო, მართლადა მრგვალ ბაღში ხომ არ აგდებენ ბურთს?

რა გახდა ორი საათით მინდვრის თხოვება, ან ჩუქება? ქართველ ბიძაკაცს რომ ჰკითხო, იმაზე ხელგაშლილი არავინ მოიძებნება. საქართველოს რაგბი კი დგას თავის ისტორიის უმნიშვნელოვანესი თამაშის წინაშე. ქართულ ფეხბურთს ჯერ არ დადგომია ასეთი დღე. ქართულმა რაგბიმ უნდა ამოიღოს ოცდათერთმეტქულიანი დეფიციტი — მან ხვალ უნდა შემოატრიალოს თავისი ბედი და ჩვენი ერთობლივი ომით გადადგას ნაბიჯი. ყოველივე ამის ფონზე, თურმე მორაგბენი თავისი ვარჯიშობით მინდორს უფუჭებენ ფეხბურთს. „სენ დენიზე“ ვერ უფუჭებენ, „ოლდ ტრეფორდზე“ ვერ უფუჭებენ და აქ უფუჭებენ. ეგებ მართლაც ასეა, მართლა უფუჭებენ. მაგრამ განა საქართველოში სათამაშო მინდორი მინდორია? განა, ის რასაც „აფუჭებენ“ რაიმეთი ჰგავს სათამაშო მინდორს, როგორიც, ვთქვათ, პრაღის გარეუბანში სკოლის ეზოში გვინახავს?

ფეხბურთელებს და მორაგბეებს კი არ ვაჯახებ. უბრალოდ, არ შეიძლება გამუდმებით იმის ლაპარაკი, რომ ვილაცა ვილაცას რაღაცას უფუჭებს. რა გახდა ერთი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც რაგბის ადგილს გაარკვევს ჩვენთან? შეხედეთ ტონგას — ღარიბი და უდარდელი ბიჭების ქვეყანა. თან შეხედეთ სლოვენიას, რომლის საუკეთესო გუნდსაც თბილისის „დინამო“ დუბლებით, ცალი ფეხით უგებდა ხოლმე.

რაც კი ოდესმე მოუგია დამოუკიდებელ საქართველოს სულ ენთუზიაზმის, ჯიგრის, ღირსების ხარჯზე. ამ შამათ-კვირასაც ასეთი იერი აქვს.

დები და სხვები

სპორტიელის არქივიდან

ლინდსი დევენპორტი

კი ბისკეინი. აშშ.
„ლიპტონის“ პირველობა. ჰარდი.
საპრიზო 4,75 მილიონი $

მეოთხედფინალი. ქალები: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ბარბარა შეტი (20, ავსტრია) 6:1, 6:1; შტეფი გრაფი (7, გერმანია) — ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) ტრავმა; ვინუს უილიამსი (6, აშშ) — იანა ნოვოტნა (4, ჩეხეთი) 5:7, 6:2, 6:3; სერენა უილიამსი (16, აშშ) — ამანდა კუტცერი (9, სამხრეთ აფრიკა) 6:4, 6:0.

მაშ ასე, დებ უილიამსებს ფინალში ერთმანეთთან შეხვედრამდე თითო დაბრკოლების გადალახვაღა სჭირდებათ. ინტრიგა დიდია — დაცვის უკანასკნელ ხაზზე ხომ ძველი და ახალი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები — მარტინა ჰინგისი და შტეფი გრაფი დგანან.

ხუთშაბათს ნახევარფინალში გასასვლელად დიდ გერმანელს ჩოგნის მოქნევაც კი არ დასჭირვებია — მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნების შერკინებას ლინდსი დევენპორტის მაჯის ტრავმამ შეუშალა ხელი.

აი, მის მომდევნო მეტოქეს, ვინუს უილიამსს კი გვარიანად გაუჭირდა. იანა ნოვოტნასთვის წინა სამ პირად შეხვედრაში მას ხელიც კი არ მოეგო, მაგრამ ამჯერად უიმბლდონის ჩემპიონი მატჩის პირველმა, საათნახევრიანმა სეტმა ისე დაღალა, ხეირიანი წინააღმდეგობა ველარ გასწია.

თუმცა არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ვინუსისა და შტეფის შეხვედრაზე დიდ ინტერესს ჰინგისისა და უმცროსი უილიამსის მომავალი ორთაბრძოლა იწვევს. მათ ბოლო შეხვედრას აგვისტოში სერენას ტრაბახი უძღოდა, თუმცა ენად გაკრეფილი შვეიცარიელი ვალში არასოდეს დარჩენია ვინმეს და დამარცხების შემდეგ შეურაცხყოფის ყლაპვა უკვე მთელ უილიამსების ოჯახს მოუხდა.

ამჯერად მარტინამ დიპლომატიური დაიჭირა და განაცხადა, ძნელი მატჩი მელის, სერენამ დიდი პროგრესი განიცადაო, თუმცა პირობითი ზავი მაინც ვერ შენარჩუნდა. „ჩემთვის ყველაზე მძიმე გამოცდა ჰინგისთან შეხვედრა არ არის. ასეთად მე ვინუსი მიმაჩნია“ — ხაზგასმით განაცხადა სერენამ ამანდა კუტცერის განადგურების შემდეგ.

ახლა პასუხი მარტინაზეა.

ნახევარფინალი. კაცები: რიჩარდ კრაიჩეკი (7, ჰოლანდია) — ტომას ენკვისტი (14, შვედეთი) 6:4, 6:2; სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) — ფრანსისკო კლავეტი (20, ესპანეთი) 3:6, 6:3, 6:1.

„ლიპტონის“ წლევანდელ პირველობაზე ერთი დიდი სიახლეა: კაცების შეხვედრები მთელს მსოფლიოში მიღებული ტრადიციის საწინააღმდეგოდ, დიაცებისაზე ადრე ტარდება. ამას ძალიან იოლი ახსნა მოეძებნება: ტურნირის ორგანიზატორებისთვის ამერიკის წამყვან სპორტულ ტელეკომპანია „FOX“-ს განუცხადებია, კვირას ხუთსეტიანი მატჩის ტრანსლირებისთვის საკმარისი დრო არ გვაქვსო და ამათაც ფინალი შაბათს გადაიტანეს.

თუმცა სავსებით შესაძლებელია, კაცების ფინალმა ქალებისაზე სულაც ნაკლები დრო წაიღოს: ზორბა რიჩარდ კრაიჩეკისა და 175-სანტიმეტრიან გროსჟანის შეხვედრა ერთი შეხედვით მეტად არათანაბარ ბრძოლას გვპირდება.

კრაიჩეკი ამჟამად არაჩვეულებრივ ფორმაშია — ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი ტომას ენკვისტი მან მარტო მოწოდებითა და ბადესთან თამაშით კი არა, მისივე ტერიტორიაზე, უკანა ხაზიდანაც დაჩაგრა და ისიც ათქმევინა, ქუდს ვიხდი რიჩარდის წინაშე, მისი მომგები დღეს არავინ იყოო.

ავთანდილ სვანიძე

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

ჩოგნით და საწოვრით ხელში

სპორტიელის არქივიდან

რიჩარდ კრაიჩეკი

— უკვე ფიქრობთ, რომ ეს სეზონი შეიძლება საუკეთესო აღმოჩნდეს თქვენს კარიერაში?

— მგონი, ამაზე ფიქრი ძალიან ადრეა. თუმც უნდა ვთქვა, რომ გასული წლის დასაწყისიდან ძალიან ბედნიერი და ნასიამოვნები ვარ კარიერაზე ფიქრით, ვარჯიშით, ჩემი პროფესიონალური ქცევით, პირადი ცხოვრებით.

შარშან დიდი სლემის ტურნირი არ მომიგია, მაგრამ ძალიან სტაბილური შედეგები მქონდა და ფსიქოლოგიურადაც მოვძლიერდი, რაც ამ სეზონშიც გადმომყვა. ვფიქრობ, ბოლო 15 თვის მანძილზე დიდი პროგრესი განვიცადე.

— რაკი ისეთმა ჩობურთელმა, როგორც კარლოს მოიაა, პირველ ჩოგნობას მიაღწია, ფიქრობთ, რომ იგივეს თქვენც შეძლებთ?

— დიახ, მაგრამ ეს მარტო კარლოსს კი არა, იმასაც ეხება, რაც ბოლო ორი სეზონის მანძილზე კლასიფიკაციაში ხდებოდა. რაფტერი, კორეტხა, მათ ერთი ნაბიჯი აკლდათ პირველობამდე. ისინი ძალიან კარგი ჩოგბურთელები არიან, მაგრამ არა მგონია, მათ ჩამოუუვარდებოდე. ადრე ვიცოდი, რომ ბეკერის, ედბერგის დამარცხება შეიძლო, მაგრამ მათ, თუნდაც აგასის, სამპრასსაც როგორღაც სხვა თაობად აღვიქვამდი და, ალბათ, ზედმეტადაც ვცემდი პატივს. ბოლო ხანებში ჩემზე უმცროსი კოლეგების წარმატებებმა დიდი ფსიქოლოგიური სამსახური გამიწია.

— კლასიფიკაციის სათავეში მოქცეულმა ბევრმა ჩოგბურთელმა ფსიქოლოგიურად ვერ გაუძლო ზეწოლას. ეს თქვენთვისაც ზედმეტი ტვირთი ხომ არ იქნება?

— პირველ ჩოგნობას ორი მნიშვნელოვანი რამ უკავშირდება: მისი მიღწევა და მერე შენარჩუნება. სამპრასი ამბობს, რომ პირველი უფრო იოლია, რასაც ნამდვილად არ ვეთანხმები, ორივე თანაბრად ძნელია. თუ გინდათ, ევგენის (კაფელნიკოვს) ჰკითხეთ. ლონდონში მას ერთი მატჩილა უკლდა იქამდე, მაგრამ ზედმეტი იფიქრა, ინერვიულა და არაფერი გამოუვიდა. ამჟამად მე პირველობის შენარჩუნებაზე კი არა, იმაზე უფრო ვფიქრობ, ამას როგორ მივაღწიო.

— რაც მამა გახდით, ცხოვრება შეგეცვალათ?

— ყველაზე დიდი ცვლილება, ალბათ, ის არის, რომ ერთი-ორი საათით ნაკლები მძინავს.

— ბავშვის საჰმელად ვინ დგება ღამღამობით?

— საერთოდ, ტურნირების დროს ძიძას ვიყვანთ ხოლმე, რათა ძალიან არ შეშეშალოს ხელი. თუმცა პირველ წრეში შალკენს რომ მოვუგე, ემას ჩვენთან ეძინა. დილის სამის ნახევარზე ავდექი, ბოთლი გავათბე, საწოვარა მოვარგე, მივეცი და ღმერთს ვევედრებოდი, ტირილი არ ატეხოს-მეთქი. ამჯერად გაგვიმართლა.

— წინა „ლიპტონი“, მგონი, იმიტომ გამოტოვეთ, რომ ბავშვის დაბადებას ელოდით, არა?

— დიახ, ემას სწორედ ხვალ, 26 მარტს, აქვს დაბადების დღე.

— ბავშვი თქვენს მატჩებს ესწრება ხოლმე?

— არა. აქ ის ჩემს მეგობრებთან რჩება რესტორანში. თუმცა ემა უკვე დიდი ხანია, მცნობს, როდესაც ვთამაშობ. ლონდონის ტურნირის ფინალში რუზეკის რომ ვხვდებოდი, ტელევიზორში ჩემი დანახვისას იცინოდა და ძალიან უხაროდა. გრეგს რომ ხედავდა, პომიდორების სროლას იწყებდა (იცინის). რა თქმა უნდა, ცოტათი ვაზვიადებ.

— მიუხედავად იმისა, რომ ემა, ვერც კი მიხვდება, რა დღე იქნება ხვალ, რაიმე განსაკუთრებულის გაკეთებას აპირებთ?

— პირველი დაბადების დღე შობლებისთვის უფროა, ვიდრე ბავშვისთვის. უკვე კარგა ხანია, საკუთარი დაბადების დღეები ძველებურად აღარ მახარებს, მაგრამ მახსოვს, პატარობაში რა ბედნიერი ვიყავი. მთავარი ის არის, რომ სამახსოვრო სურათები გადავიღოთ, კარგი დრო გავატაროთ.

— შეიძლება კი ბისკეინიდან სამახსოვროდ მთავარი პრიზიც გააყოლოთ ხელს, არა?

— რატომაც არა.

— დიდი წვეულება გექნებათ?

— არ ვიცი, ამას ყველაფერს ჩემი გელფრენდი უძღვება, ყველაფერი მის ხელშია. ჭერზე უკვე რაღაც დეკორაციები გააკრა, საჩუქრებიც იყიდა. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცი, რომ დიდი ტორტი გვექნება, რომელსაც ემას გავანადგურებინებთ და კარგად მოთხუპნის შესაძლებლობას მივცემთ კამერით გადასაღებად.

სპორტიელის არქივიდან

შარშანდელი ჩემპიონები: კენიელი ჯონ კიბოვენი და ირლანდიელი სონია ოსალივანი (109)

ნებიოლო და ნობელიანტები

კრეოსში მსოფლიოს ჩემპიონატის ბელფასტში ჩატარება მსოფლიოს სამოყვარულო მძლეოსნობის ფედერაციამ 1995 წელს გადაწყვიტა. არადა, მაშინ ჩრდილო ირლანდიაში ჯერ კიდევ მურდალი ვითარება სუფევდა და დედა-ირლანდიასთან მიერთებისა და გაერთიანებულ სამეფოში დარჩენის მსურველი ერთიმეორეს ტყვერეში სირბილზე მეტად ყუმბარების შეგდება-შემოგდებაში ეჯიბრებოდნენ.

მაგრამ მას შემდეგ ვითარება შესამჩნევად გაუმჯობესდა. ოლსტერელები მიხვდნენ, რომ დედამიწაზე ადამიანთა შორის ურთიერთობათა გარკვევის სხვა, უფრო მისაღები საშუალებებიც არსებობს. დღეს ჩრდილო ირლანდიაში სწორედ ამგვარი საშუალებების გამოყენებას არჩევენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქ დღეს ყუმბარები აღარ ფეთქდება, ბავშვები ქუჩაში თავისუფლად თამაშობენ და კაცური ირლანდიური ლუდიც წარბშეუხრელად და სიწინდისის უქენჯნელად ისმება.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ბელფასტი მშვიდად და აუღელვებლად მოელის 27-ე საკროსრბენო ჩემპიონატის დაწყებას, ხოლო მისი გმირები, შარშანდელი „მშვიდობის ნობელიანტები“, პროვინციის პირველი მინისტრი დევიდ ტრიმბლი და ზომიერი ოპოზიციის ლიდერი, ჯონ ჰიუმი IAAF-ის გოროზ პრეზიდენტს პრიმო ნებიოლოს ეგებებიან.

ნობელიანტთა გულის ფანცქალი გასაგებია. ისინი მსოფლიო მძლეოსნობის მახვშისა და მის თანამოაზრეებს ნდობისთვის უდიდეს მადლობას უცხადებენ — ხუმრობა ხომ არაა, ამ დღეებში ბელფასტს ხუთი კონტინენტის 70 ქვეყნის ათასამდე ათლეტი გადაურბენს და თავად დარწმუნდება, რომ ოლსტერში ისევე კარგად შეიძლება ერთად ცხოვრება, როგორც სადმე, ვთქვათ, რომელიმე მშვიდობიანი ზღვის მშვიდობიან სანაპიროზე...

დოქტორ ნებიოლოს მოსმენწერალთა პროდუქცია კი ამგვარია: „დარწმუნებული ვარ, ბელფასტი და ერთობ მთელი ჩრდილო ირლანდია გულთბილად მიიღებს აქ ჩამოსულ სპორტსმენებს და რომ ეს დიადი შეჯიბრი სრული მშვიდობისა და კეთილგანწყობის ატმოსფეროში ჩაივლის. ევროპისთვის ამ უძნელეს დღეებში განსაკუთრებით სასიხარულოა ხედავდე ძმობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ისეთ დიდებულ მაგალითს, რასაც დღევანდელი ოლსტერი ჰქვია“...

ჩვენ კი 1980 წლიდან მსოფლიოს ჩემპიონატებზე ნახეირებ კაცთა და დედაკაცთა ვინაობებსაც შეგატყობინებთ. ვინ იცის, ვის რაში გამოვადგებათ:

კაცები

1980 — კრეგ ვირჯინი (აშშ); 1981 — ვირჯინი; 1982 — მოჰამედ კედირი (ეთიოპია); 1983 — ბეკელე დებელე (ეთიოპია); 1984 — კარლუშა ლოპეში (პორტუგალია); 1985 — ლოპეში; 1986 — ჯონ ნგუგი (კენია); 1987 — ნგუგი; 1988 — ნგუგი; 1989 — ნგუგი; 1990 — ხალიდ სკაჰი (მაროკო); 1991 — სკაჰი; 1992 — ნგუგი; 1993 — ვილიამ სიგეი (კენია); 1994 — სიგეი; 1995 — პოლ ტერგატი (კენია); 1996 — ტერგატი; 1997 — ტერგატი; 1998 — ტერგატი (მოკლე დისტანცია), ჯონ კიბოვენი (კენია, გრძელი დისტანცია).

ქალები

1980 — გრეტე ვაიცი (ნორვეგია); 1981 — ვაიცი; 1982 — მარიციკა პუიკა; 1983 — ვაიცი; 1984 — პუიკა; 1985 — ძოლა ბადი (ბრიტანეთი); 1986 — ბადი; 1987 — ანეტ სერუე (საფრანგეთი); 1988 — ინგრიდ კრისტიანსენი (ნორვეგია); 1989 — სერუე; 1990 — ლინ ჯენინგსი (აშშ); 1991 — ჯენინგსი; 1992 — ჯენინგსი; 1993 — ალბერტინა დიაში (პორტუგალია); 1994 — ჰელენ ჩანგნონ (კენია); 1995 — დერარტუ ტულუ (ეთიოპია); 1996 — გეტე ვამი (ეთიოპია); 1997 — ტულუ; 1998 — სონია ოსალივანი (ირლანდია, გრძელი და მოკლე დისტანციები).

ლევან კელაურაძე

მასნადამ, გზას ბარაქაო!

ფრანგი სამთომოთხილამურე ქალი, 31 წლის ფლორენს მასნადა მსოფლიოს თასზე 1985 წლიდან გამოდის. სამწუხაროდ, მას ამ 14 წლის განმავლობაში ისეთი არა გაუკეთებია რა, რომ დიდი სპორტიდან მისი წასვლის გამო კაცს ნამეტანი გული დაწყდეს, მაგრამ, ალბათ, არც საერთოდ უთქმელობა ივარგებდა.

სხვა რომ არა მოეგო რა, მას ხომ ალბერვილის 1992 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჯამური, ნაგანოს შარშანდელ თამაშების სწრაფდაშვებისა და თებერვალში, კოლორადოში მოწყობილი მსოფლიოს ჩემპიონატის ჯამური ბრინჯაოები მოუგია. მოუგია და აბა, აწი აღარაფრის მომგები აღარა ვარო — ჯერ ეგრე უთქვამს და, ყველაზე უფრო გული იმაზე მწყდება, მსოფლიოს თასის სწრაფდაშვების ზარდახშას ეგრემც ოქროს გასაღები რომ ვერ მოვარგეო — ასე დუუმატებია.

ლევან კელაურაძე

გზა გრძელია და სველი
ბოტერო მუდამ ყვითელია

შვეიცარიელმა ბრუნო ბოსკარდენმა ოთხშაბათს „კატალონიის კვირეულის“ მესამე ეტაპი მოიგო. საერთო ჩათვლაში ლიდერობა კი კოლუმბიელმა სანტიაგო ბოტერომ შეინარჩუნა. მრბოლებმა კასტელო დამპურიესიდან ლოსპოტალეტ დე ლობრეგეტამდე წვიმასა და სიცივეში 176,6 კმ დაფარეს.

ბოსკარდენმა ფინიშის ხაზი ეულად გადაკვეთა. იგი საერთო ჯგუფს მე-60 კმ-ზე გაექცა და რამდენიმე ხანში ცხრაწუთიანი უპირატესობაც მოიპოვა. რა თქმა უნდა, ჯგუფმა ნელ-ნელა სხვაობა შეამცირა, მაგრამ შვეიცარიელმა მაინც ოთხ წუთზე მეტი მოუგო მეორე ადგილზე გასულ ერიკ ზაბელს.

წვიმა ბევრი სპორტსმენის წაქცევის მიზეზი გახდა. მათი უმრავლესობა მცირე ტრავმებს „დასჯერდა“, აი, ესპანელი ხოსე ბელოკი კი საავადმყოფოში მოსათავსებელი გახდა, რადგან წვივი გაიტეხა.

ხუთშაბათს ლოსპოტალეტ დე ლობრიგეტასა და სერდანიოლა დელ ვალეს შორის არსებული 166,2 კმ ველომრბოლებმა სპრინტით დაამთავრეს. გამარჯვებული „მავეის“ წევრი იტალიელი ჯულიანო ფიგუერასი გახდა, რომელიც 1996 წელს ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონი ყოფილა. ფიგუერასმა საფინიშო სპრინტში ფრანგ ლორან ჟალაბერს („ონსე“) აჯობა. ლიდერის ყვითელი მაისური კვლავაც კოლუმბიელმა ბოტერომ შეინარჩუნა.

ერთ-ერთი უძლიერესი მრბოლი, იტალიელი მარკო პანტანი ამ ეტაპში არ მონაწილეობდა, რადგან წინა დღეს დაეცა და მარცხენა ფეხის ტკივილმა სტარტზე გამოსვლის საშუალება არ მისცა.

გაიოზ თალაკვაძე

საერთო ჩათვლა 4 ეტაპის შემდეგ

1. სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია, „კელმე“) — 17 სთ, 7 წთ და 23 წმ
2. ვლადიმირ ბელი (იტალია, „ფერტინა“) — იგივე დრო
3. მიქაელ ბოგერდი (ჰოლანდია, „რაბობანკი“) — იგივე დრო
4. კლაუს მოლერი (დანია, ODM) — იგივე დრო
5. ჯულიანო ფიგუერასი (იტალია, „მაპეი“) — ჩამორჩება 6 წამით
6. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, „ონსე“) — იგივე დრო
7. ნიკო აებერსოლდი (შვეიცარია, „რაბობანკი“) — იგივე დრო
8. ბარტ ვოსკამპი (ჰოლანდია, ODM) — იგივე დრო
9. ფაბიო მალბერტი (იტალია, „რისო სკოტი“) — იგივე დრო
10. მელხორ მაური (ესპანეთი, „ბანესტო“) — იგივე დრო

REUTERS დეკანოზიდან

სანტიაგო ბოტერომ ლიდერის მაისური „გაცვითა“

პიტსბურგი მართლა პინგვინებივით...

25 მარტი

ბოსტონი — ჩიკაგო 3:3 (0:1 2:1 1:1 0:0)

0:1 პრობერტი 16'06 (4); 0:2 ამონტე 27'37 (37); 1:2 ჰაინცე 31'13 (19); 2:2 ჰაინცე 39'11 (20); 3:2 ბურკი 41'21 (9); 3:3 მირონოვი 58'36 (2)

ბოსტონმა სამივე გოლი რიცხვმრავლობაში გაიტანა და მოგებაც შეეძლო, მაგრამ სტუმრები ახალწვეულმა ბორის მირონოვმა იხსნა.

ვანკუვერი — სენტ ლუისი 1:4 (1:2 0:2 0:0)

1:0 მაკეიბი 6'17 (7); 1:1 პელერინი 9'40 (7); 1:2 იანგი 16'16 (17); 1:3 პიკარი 21'19 (8); 1:4 ტარჯონი 22'46 (27)

თვით მარკ მესიეს (1 პასი) დაბრუნებამაც კი, რომელმაც 18 მატჩი გამოტოვა, ვერ გაამხნევა მისი პარტნიორები.

23-ე წუთისთვის მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. სენტლუისელმა პიერ ტარჯონმა 3(1+2) ქულა დააგროვა.

ფინიქსი — ვაშინგტონი 4:2 (1:0 3:1 0:1)

1:0 სტეპლტონი 17'34 (9); 2:0 რაიხელი 21'59 (21); 3:0 რაიხელი 24'32 (22); 4:0 ტკაჩუკი 31'38 (32); 4:1 ბლეკი 35'17 (13); 4:2 ბელოუზი 52'36 (13)

აილენდერსიდან გადაყვანილი რობერტ რაიხელი ფინიქსის შეტევათა ლიდერი ხდება. ამ თამაშში ჩეხს ერთბაშად ჰეთ-თრიქის და კარიერაში მე-500 ქულის გაკეთება შეეძლო, მაგრამ ფორვარდმა ბულიტი ვერ გამოიყენა.

კალგარი — მონრეალი 2:1 (0:0 1:1 1:0)

1:0 უიმერი 36'11 (7); 1:1 უენრიჩი 39'09 (7); 2:1 ბურე 54'20

ვალერი ბურე კალგარიში გადამწყვეტი გოლების გატანაში დოსტატდა

ლოს ანჯელესი — დალასი 1:2 (0:1 1:1 0:0)

0:1 ჰოგი 13'33 (12); 1:1 რობიტაილი 24'58 (22); 1:2 ჰალი 30'34 (28)

დალასს „მეფეებთან“ აგერ უკვე მეოთხე წელია, არ წაუგია, წლეულს კი ხუთივე თამაში მინიმალური სხვაობით მოუგო.

ნიუ ჯერსი — პიტსბურგი 5:3 (2:3 0:0 3:0)

0:1 კოვალიოვი 7'55 (20); 1:1 მაკეი 11'05 (16); 2:1 არნოტი 12'58 (23); 2:2 ჰრდინა 13'39 (12); 2:3 ბარნაბი 17'53 (5); 3:3 ბომბარდირი 45'22 (1); 4:3 სიკორა 51'28 (24); 5:3 ელიაში 59'37 (14).

მესამე პერიოდში ნიუჯერსელებმა პინგვინები საშინელ დღეში ჩააგდეს. „ეშმაკებმა“ ამ მონაკვეთში 17-ჯერ დაარტყეს (სტუმრებმა კი მხოლოდ ერთხელ) და ატლანტის დივიზიონში ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცეს.

REUTERS ბოსტონიდან

ბოსტონელი დერენ ვან იმბი (20) ჩიკაგოელ ტონი ამონტეს გამოეწთო

სატურნირო ვითარება

აღმოსავლეთ კონფერენცია													
ოტავა	70	40	9	21	203:149	89							
ნიუ ჯერსი	70	39	9	22	207:173	87							
კაროლინა	72	31	14	27	185:179	76							
პიტსბურგი	71	36	12	23	218:189	84							
ტორონტო	71	38	5	28	222:207	81							
ფილადელფია	72	32	17	22	208:172	81							
ბუფალო	70	32	14	24	182:155	78							
ბოსტონი	71	32	12	27	187:162	76							
რეინჯერსი	72	30	10	32	198:200	70							
ფლორიდა	70	26	17	27	179:185	69							
მონრეალი	72	29	10	33	167:181	68							
ვაშინგტონი	71	29	6	36	181:188	64							
აილენდერსი	72	20	9	43	163:211	49							
ტამპა	70	17	5	48	151:252	39							

დასავლეთ კონფერენცია						
დალასი*	71	45	12	14	205:141	102
კოლორადო	71	36	9	26	202:180	81
დეტროიტი	71	35	6	30	210:183	76
ფინიქსი	72	35	12	25	181:172	82
ანაჰაიმი	70	31	11	28	184:172	73
სენტ ლუისი	71	31	11	29	206:186	73
სან ხოსე	71	27	16	28	166:166	70
კალგარი	71	28	11	32	189:197	67
ედმონტონი	71	26	11	34	194:195	63
ლოს ანჯელესი	71	27	5	35	164:188	59
ნეშვილი	71	25	7	39	169:225	57
ჩიკაგო	72	21	11	40	169:227	53
ვანკუვერი	72	20	11	41	170:225	51

კონფერენციებიდან პლეი ოფში 8-8 გუნდი გადის. კონფერენციათა ცხრილებში პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან. ვარსკვლავით გამორჩეულია პლეი ოფში გასული გუნდი.

იმას, რაც გაზაფხულის პირველ თვეს ნჰლ-ში „დედლაინის“ ბოლო წუთებამდე მოხდა, „მარტის სიგიჟეს“ თუ დავარქმევდით. ასე უწოდებენ ამერიკულ კალათბურთში სტუდენტური ასოციაციის საპლეიოფო ბატალიებს, რაც გაკვეული დროით ნბა-ს ჩემპიონატსაც კი ჩრდილავს-ხოლმე, მაგრამ ლიგური სიგიჟე სულ სხვა შინაარსისაა.

დეტროიტი 2 საათში 59 წლით დაბრძენდა



სარგბილელის არქივიდან

ის, რასაც ფილადელფიელთა გენერალური მენეჯერი ბობი კლარკი (მარცხნივ) მთელი სეზონი ცდილობდა, დეტროიტელთა თავკაცმა სკოტი ბოუმენმა ორ საათში გაახორხა

მოგეხსენებათ, მარტში ლიგაში ყველაზე მეტი გაცვა-გამოცვლაა, რადგან თვის მეორე ნახევარში „დედლაინის“ დრო დგება. წლეულს კი კლუბებს შორის ვაჭრობამ ერთგვარი შეჯიბრის სახე მიიღო, რომლის მთავარი მონაწილენიც კოლორადო, ფილადელფია და დეტროიტი იყვნენ.

ყველაფერი კი 1 მარტს დაიწყო, როცა „ველანშმა“ პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგა და კალგარის ლიდერი ტეო ფლერი შეიძინა. ეს სხვა კლუბების გამოწვევა გახლდათ და მას უმალ ფილადელფიელთა მენეჯერი ბობი კლარკი გამეხმაურა. საერთოდ, ამ პიროვნების საქმიანობა განსაკუთრებულ ანალიზსა და განსჯას იმსახურებს. სეზონის განმავლობაში მან მთლიანად (!) განაახლა შეტევის ხაზი. მისი საკადრო ცვლილებების მიღმა მხოლოდ ერიკ ლინდროსი, ჯონ ლეკლერი და როდ ბრინდამორი დარჩნენ. მენეჯერმა პირველ რიგში ახალგაზრდა მოთამაშეები — კრის გრეტონი და ალექსანდრ დეიგლი გაისტუმრა, ისინი, ვისი მეშვეობითაც მომავალი ფილადელფიის აშენებას აპირებდა და რომელთათვისაც დიდძალი ფული გადაიხადა. სამწუხაროდ, კლარკის იმედები ვერ გამართლდა და მათი და კიდევ რამდენიმე ვეტერანის სანაცვლოდ მენეჯერმა შეიძინა კეიტ ჯოუნსი, რომელიც უმალვე შეეწყო ლინდროს — ლეკლერის დუეტს და დაბრუნა გუნდში მიქაელ რენბერგი, რომელიც თავის დროზე „ტამპას“ მიჰყიდა, როგორც „მფრინავთა“ სათამაშო სტილისთვის შეუფერებელი. ასე რომ, მარტამდე ფილადელფიელთა გაცვლა-გამოცვლაში ათეოდე ჰოკეისტი მონაწილეობდა. გუნდი კი სულ უარესად და უარესად თამაშობდა. ამასობაში ფლერიც კოლორადოს შეუერთდა და კლარკმა შეიგნო რომ დასავლეთის მონსტრების გასამკლავებლად ახალი ხალხი სჭირდებოდა. მანაც არ დაყოვნა და მოულოდნელად მარკ რეკი შეიძინა, ფილადელფიიდან ადრე გასტუმრებულთაგან ერთ-ერთი. ამ ნაბიჯმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კლარკი ახალგაზრდებს აღარ ენდობოდა. (რეკი ხომ პერსპექტიულ ლიტველ დაინიუს ზუბრუსში გაცვალეს). სულ მალე მან ახალგაზრდა კოლინ ფორბსის ნაცვლად ტამიდან გამოცდილი მიკაელ ანდერსონი და ცნობილი მოჩხუბარი სენდი მაკარტი გადაიბირა. კლარკს ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა, დაცვის ხაზში ერთი საიმედო და გამოცდილი მცველის შემატება სჭირდებოდა. კლარკმაც კრის ჩელიოსს დაადგა თვალი, უკეთესს ვერც მოისურვებდა, მაგრამ დეტროიტელთა ხელმძღვანელებმა კოვზი ნაცარში ჩაუგდეს, ბოლო მომენტში ხელიდან გამოსტაცეს. თანაც „წითელფრთიანებმა“ სულ რაღაც ორიოდ საათში, „დედლაინის“ დღეს, კიდევ სამი ვეტერანი — უენდელ კლარკი, ბილ რენფორდი და ულფ სამუელსონი შეიძინეს (როგორც იქაური ჟურნალისტები ამბობენ, გამოცდილების 59 წელი. იგულისხმება ამ ოთხეულის საერთო ნჰლ-ური სტაჟი) და, როგორც ამბობენ, ბოლო სიტყვა მათ შერჩათ. დანარჩენი თავად მოგეხსენებათ (კლარკმა სულ სხვა ტიპის მცველი, სტივ დიუშენი შეიძინა). შეიძლება ითქვას, ზედიზედ მესამე სეზონია, დეტროიტის თავკაცობა, ბრძენი სკოტი ბოუმენის თავკაცობით, „დედლაინს“ ერთობ ნაყოფიერად იყენებს. უპირველეს ყოვლისა, საგრძნობლად ამაგრებენ დაცვას. სკეპტიკოსები ფიქრობენ, რომ ეს ვეტერანები ბოუმენს სამომავლო სადრაფტო არჩევნების ფასად დაუჯდა და ჩემპიონებს მერე გაუჭირდებათ. არავინ იცის, როგორ გამოადგებათ მათ თუნდაც სამუელსონი, რომელიც ჯერჯერობით ტრავმირებულია. თუმც ბოლო ორი წლის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბოუმენი საკადრო პოლიტიკაში იშვიათად ცდება და ამაში ლერი მერფის (ორი წლის წინ 36 წლისა ტორონტოდან გადავიდა) მაგალითიც გვარწმუნებს. ასე რომ, დეტროიტის მესვეურებმა ყველას ნათლად უჩვენეს, რომ ტახტის განთავისუფლებას სულაც არ აპირებენ და წლეულს მესამედ გაჩემპიონებისთვის იბრძვიან.

ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ორი გუნდის — კოლორადოს და ფილადელფიის გარდა სხვა ფავორიტები ნაკლებად აღელვა დეტროიტის გაძლიერებამ და „დედლაინიც“ და მისი წინა პერიოდიც პასიურად ჩაატარეს. ეს არ ითქმის ედმონტონზე, რომელმაც გრანდებს მიბაძა და 7 მოთამაშე შეიძინა.

დალასმა დუგ ლიდსტერის გარდა მხოლოდ ბენუა ჰოგი დაიბრუნა. პიტსბურგმა, რომელსაც დაცვაში სამი წამყვანი ფიგურა აკლია და განსაკუთრებით მდიდარმა ტორონტომ ყველა გააოცა — თითიც არ გაანძრიეს იმისათვის, რომ სუსტი დაცვის ხაზი გაეძლიერებინათ (იანიკ პეროც ტორონტომ იმულებით, ორი ცენტრის, იგორ კოროლიოვის და ალინ მაკოლის ტრავმების გამო შეიძინა). ვერც ოტავა (ჩიკაგოდან ფორვარდი ნელსონ ემერსონი, ხოლო აილენდერსიდან ასევე ფორვარდი ტედ დონატო გადაბირეს, ამჟამად ორივე ტრავმირებულია) და ფინიქსი (მიხაილ შტალენკოვი, ბრაიან ნუნენი) მოიწონებენ თავს სერიოზული შენაძენით, ხოლო ბუფალოს ახალწვეულები — ჯო ჟიუნო და სტიუ ბარნსი წლეულს მაინცდამაინც არ გამოირჩევიან. ასე რომ, დასკვნები თქვენთვის მოგვინდია. თუმც ისიც სათქმელია, რომ ფლერის დაკარგვის შემდეგ კალგარი უკეთესად ათამაშდა ანუ ძლიერი და გამოცდილი ჰოკეისტების მიწვევა სულაც არ არის წარმატების აუცილებელი პირობა. იქნებ ამიტომაც დარჩნენ უყურადღებოდ სახელოვანი მოთამაშეები — მარკ მესიე, ტრევორ ლინდენი, ალექსანდრ მოგილნი, ადამ ოუთსი და ბევრი სხვა, რომელთაც ზაფხულში კონტრაქტები უმთავრდებათ.

სამგელ ღარიბიანი

საამო კია საცქერლად
თუმც ეგეთები გვინახავს?!

პოლონელი ყინულზე მოსრიალე ქალი სილვია ნოვაკი თავის გულმკერდზე აშკარად გადაჭარბებული შეხედულებისა ყოფილა. მისი ჭკუით, საკმარისია, ოდნავ შილიფად ჩაიცვა და მსაჯებს შენი მაცდური ავლა-დიდება დაანახო, რომ მაღალი ქულებიც გარანტირებული გექნება. მაგრამ, ჯერ ერთი, განათლებულ სამყაროში მსაჯებს მაგისნაირი და მაგაზე უკეთესზე მეტი რა უნახავთ, მეორეცაა და, როგორც იტყვიან, მარტო მკერდი რას უშველის... მოკლედ: სილვია და მისი ძმობილი სებასტიან კოლაშინსკი ფინალური გასრიალების წინ მხოლოდ მე-9 ადგილზე იმყოფებიან და სრიალზე მეტად ყურადღება თუკი ისევ გარეშე ამბებს დაუთმეს, ვინძლო, ათეულიდანაც გამოსრიალდნენ. პირველი ადგილის ფავორიტებად კი, ანჟელიკა კრილოვასა და ოლეგ ოვსიანიკოვის (რუსეთი) წინ წამდგარი მარინა ანისინა და გვენდალ პეიზერი (საფრანგეთი) ითვლებიან.

ხუთშაბათს აქეთ კი ევროპის ორგზის ჩემპიონი, 19 წლის რუსი ფიგურულად მოსრიალე ალექსეი იაგუდინი (მარჯვენა ფოტოზე) მსოფლიოს ორგზის ზედიზედ ჩემპიონადაც ინოდება — მისი თავბრუდამხვევი ნახტომებისა და მალაყების ნინააღმდეგ ჰელსინკიში მოასპარეზე ვერც ერთ ჭაბუკთაგანს ანგარიშგასაწევი არგუმენტი ვერ აღმოაჩნდა. ალექსეის სამი წლით უმცროსი თანამემამულე ევგენი პლუშენკო, სავალალო შეცდომათა გამო მეორე ადგილს დასჯერდა. ამერიკელი მაიკ ვაისი — ბრინჯაოს, ხოლო სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი კანადელი ელვის სტოიკი, რომელსაც ეს სეზონი საზარდულის ტრავმის გამო ჩაუვარდა, ბოლო დღეს მეორიდან მეოთხე ადგილზე ჩაქვეითდა. რაც შეეხება ჩვენებურ ვახტანგ მურვანიძეს, მან ქართველთათვის ბოლო დროს უჩვეულო სტაბილურობით იასპარეზა და ფინალამდე დაკავებული მე-17 ადგილი ფინალში რიგიანად შეინარჩუნა...

REUTERS ალექსეი იაგუდინი

REUTERS რამათ ჰაშარონიდან

ქალის ტვირთი

ის, რომ ქალის ტვირთი მართლაც ძალიან მძიმეა, გუშინწინ რონკეტის თასის პირველ ფინალურ მატჩში მოასპარეზე ებრაული „რამათ ჰაშარონის“ უიღბლო მცველმა ორლი კესტენმაც გაიგო - მის ჯანსაღ მკერდს ალბათ კიდევ დიდხანს შერჩება ესპანური „გრან კანარიელი“ როსე სანჩისის ვეება და უმოწყალო ნატერფალი. მატჩი კი „რამათ ჰაშარონმა“ 79:72 მოიგო.

REUTERS ლოს-ჯეზელესიდან

ოსკარი და ვინა? ობა?

დიდი კრივის ოქროს ბიჭუნა, ამერიკელი ოსკარ დე ლა ჰოია (მარცხნივ) მშობლიური ლოს ანჯელესიდან ლას ვეგასში ჩასულა, რათა თავისი მორიგი ბრძოლის პრეზენტაციაზე გამოჩენილიყო. 35 ბრძოლაში დაუმარცხებელ ოსკარს საბჭოს (ვბკ) ჩემპიონის ტიტულის წართმევას დეტროიტელი ობა კარი (მარჯვნივ) უპირებს. ობამ გასულ ზამთარს დაამარცხა ფრენკი რენდალი და საბჭოს პირველ მოცილედ გამოცხადდა. მას ორმოცდათერთმეტჯერ უკრივია კარიერაში, ორჯერ დამარცხებულა, ერთი ფრედ დაუსრულებია, დანარჩენი კი მოუგია. ობასა და ოსკარის შერკინება 22 მაისს გაიმართება ლას ვეგასის „მენდელი მეი ივენოსის“ ცენტრში.

მტვერსასრუტი სტადიონისთვის

საიმისოდ, რათა შვეიცარიასთან დღეს გასამართი მატჩისთვის ეს ჩამბალ-ატალახებული მოედანი როგორმე გამოეცოცხლებინათ, ბელარუსებმა მინსკის სტადიონზე სამოქალაქო ავიაციაც მიიხმეს. ვერტმფრენთა პროპელერებმა მინდორზე დაგროვილი ლაფი აქეთ-იქით მიმოშხეფა და მართალია, ამით სარბენ ბილიკებსა და პირველ რიგებსაც ავნო, მაგრამ ასპარეზს კი მცირე რამ ადამიანური იერი დაუბრუნა.

REUTERS მინსკიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, ნინო დეკვაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29